CYAN BLACK

საქართველოს რესპუბლიკა

კვირა, 7 ნოემბერი, 2004 წელი. №259 (4988) * გაზეთი დაარსებულია 1918 წელს, * ფასი 50 თეთრი

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

◎ პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი: ჩვენ მიერ სამხედრო სფეროში გადადგმული ნაბიჯებით ვზრდით არა ომის, არამედ მშვიდობის შანსს

საქართველოს პრეზიდენტის ბრიფინგი 2004 წლის 5 ნოემბერს

როგორც უკვე ვიუწყებოდით, 5 ნოემბერს, გვიან საღამოს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ბრიფინგი გამართა, რომელზეც ილაპარაკა ქვეყანაში და მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებზე. ქვეყნის პირველმა პირმა, კერძოდ, განაცხადა:

– უპირველეს ყოვლისა, უნდა შევეხო იმ მოვლენებს, რომლებიც უკავშირდება ჩვენს სამხედრო აღმშენებლობასა და მონაწილეობას საერთაშორისო უსაფრთხოების სტრუქტურებში. როგორც იცით, ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ გავზარდოთ ჩვენი მონაწილეობა ერაყის სამშვიდობო ოპერაციებსა და ანტიტერორისტულ კოალიციაში.

ამერიკაში არჩევნებში გაიმარჯვა პრეზიდენტმა ბუშმა, რომელიც, მისივე განცხადებით (ეს ჩემთვის ძალიან კარგია), საქართველოს პრეზიდენტს საკუთარ მეგობრად თვლის. მაგრამ მე მიმაჩნია, რომ ეს ეხება არა პიროვნულად პრეზიდენტს, არამედ საქართველოს.

ღღევანდელ მსოფლიოში მოკავშირეებისა და მეგობრების გარეშე საკუთარი უსაფრთხოების პრობლემის გადაწყვეტა შეუძლებელია. ამიტომ ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ აღმოვუჩინოთ შემდგომი დახმარება ანტიტერორისტულ კოალიციას. რა თქმა უნდა, მისია გარკვეულად სარისკოა. ყველა ჯარისკაცი, რომელიც მიდის, მოხალისეა და ეს ძალიან მკაცრად დაცული პრინციპია. მაგრამ ამის შედეგად მკვეთრად იზრდება საქართველოს შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობა და მზადყოფნა პოტენციურად ორნახევარჯერ-სამჯერ უნდა გაიზარდოს. ეს მოხდება იმით, რომ მკვეთრად იზრდება სამშვიდობო ოპერაციების დარგში ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან დახმარება. ეს ხდება იმით, რომ ჩვენ თვითონ ვახორციელებთ სერიოზულ თავდაცვის რეფორმებს.

ვფიქრობ, ყველასთვის ნათელი სიგნალი იყო გუშინ საქართველოში ნატოს გენერალური მდივნის ვიზიტი. აღრე, როცა მათ ეკითხებოდნენ, ნატოში მიღების რა შანსები აქვს ამა თუ იმ ქვეყანას, ისინი ზოგადად პასუხობდნენ, რომ თეორიულად ნატოს კარები ყველასთვის ღია არის. ნატოს გენერალურმა მდივანმა გუშინ პირველად ღიად თქვა: საქართველოს აქვს ყველა შანსი იმისათვის, რომ მოახდინოს სრული ინტეგრაცია ამ ორგანიზაციაში. ეს, რა თქმა უნდა, არ არის პაერიდან მოგანილი განცხადება. ეს არის ის, რომ ჩვენ ვთანამშრომლობთ ამ ორგანიზაციებთან. ჩვენ ყველაზე ბოლოს შევიგანეთ განაცხადი. მათ პირდაპირ აიღეს და წინ გადმოგვახტუნეს სწორედ იმის გამო, რომ საქართველომ ბევრი ნაბიჯი გადადგა. ეს არის საქართველოს უსაფრთხოებისთვის დამატებითი გარანტიების შექმნის ძალიან კარგი შესაძლებლობა.

ამავე დროს უნდა ვთქვა, რომ ეს, რა თქმა უნდა, არ არის მიმართული რომელიმე მესამე მხარის წინააღმდეგ, კერძოდ, ამ შემთხვევაში, რუსეთის. ნინო ბურჯანაძეს საინგერსო კონსულტაციები ჰქონდა მოსკოვში. ჩვენ ვაპირებთ დაახლოებით 8-დან 10 ნოემბრამდე იქ გავაგზავნოთ გელა ბეჟუაშვილი.

ჩვენ ვართ გახსნილი დიალოგისთვის იქაც, მაგრამ მიგვაგები ჩვენს პოლიტიკაში არ იქნება. თუ ჩვენ მივიღებთ დახმარებას ჩვენი მთავარი ამოცანების გადაწყვეტაში, ჩვენ ვართ გახსნილი ძალიან ფართო თანამშრომლობისთვის. თუ ჩვენ ხელს შეგვიშლიან ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში, რა თქმა უნდა, აქ წარმოიქმნება ის პრობლემები, რომლებიც აქამდე მუდმივი პრობლემები არსებობს.

ერთი რამ სრულიად ნათელია. ამ წლისა და მომავალი წლის განმავლობაში ჩვენს მიერ სამხედრო სფეროში გადადგმული ნაბიჯებით ჩვენ ვზრდით არა ომის შანსს, არამედ მშვიდობის შანსს. რაც უფრო კარგად იქნება მომზადებული ჩვენი შეიარაღებული ძალები, რაც უფრო მეტი რეზერვისგი გვეყოლება (და ყოველთვიურად მათი რაოდენობა მატულობს იმ ბანაკებში, რომლებიც არის), რაც უფრო კარგად იქნებიან ისინი აღჭურვილები, რაც უფრო კარგი დისციპლინა იქნება და რაც უფრო მეტად ეცოდინება შესაძლო ტერორისტს, ამფეთქებელს, სპპარატისტს, რომ იგი მიიღებს საკადრის პასუხს, მით უფრო ნაკლებად ექნება შანსი მას, რომ პოლიტიკური მოლაპარაკებების პროცესს რაიმე წინააღმდეგობა გაუწიოს. აი, ეს არის ჩვენი ამოცანა შეიარაღებულ ძალებთან დაკავშირებით.

იხ. მე-2 გვ.

◎ კონფლიქტის ზონა

გატაცებულს კვლავ არ აბრუნებენ

კვლავ უკიდურესად დაძაბულია ვითარება ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში. სოფელ კეხვში მცხოვრები ელდარ კახნაშვილის გაუზიარებიდან უკვე სამი დღე გავიდა. ადგილობრივი მოსახლეობა კატეგორიულად მოითხოვს საქართველოს ხელისუფლებისგან, სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო მთავრობის პირველი პირებისგან და შერეული სამშვიდობო ძალების სარდლობისგან ყველა ღონისძიების განხორციელებას კახნაშვილის ადგილსამყოფელის დასადგენად და გასათავისუფლებლად.

ამოიწურა ის ვადაც, რომელიც ქართულმა მხარემ სამშვიდობო ძალების სარდლობას და ოსურ მხარეს 50 ქართველი ახალგაზრდის დაბარუნებლად მისცა, თუმცა ჯერჯერობით მათი აღგილსამყოფელიც უცნობია.

შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსი ალეკო სუხიტაშვილი ხეობაში იმყოფება, იგი ცხინვალში დისლოცირებული შერეული სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელობისგან აგტეგორიულად ითხოვს, ყველა ღონე იხმარონ გატაცებულთა დაბარუნებლად.

* * *

გუშინ სოფელ ქურთის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც რამდენიმე დღის წინათ გატაცებული ელდარ კახნაშვილის ბიძებინელად დილითვე ქართველი სამართალდამცველები, ოსური მხარისა და სამშვიდობო ძალების წარმომადგენლები ჟურნალისტებთან ერთად გაემგზავრნენ, აფეთქება მოხდა.

წინასწარი მონაცემებით, აღნიშნული ტერიტორია დანაღმული იყო და აფეთქდა ერთ-ერთი ნაღმი.

ინციდენტის შედეგად სხეულის დაზიანება მიიღო ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის ოპერატორმა ლევან დგებუაძემ, რომელიც ქურთის საავადმყოფოშია გადაყვანილი. როგორც ადგილიდან „ინტერ-პრესის“ კორესპონდენტმა იუწყება, ჟურნალისტის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

იხ. მე-2 გვ.

◎ ინფორმაცია

ამერიკა კვლავ გვეხმარება

საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო თანამშრომლობის ფარგლებში მომავალ წელს ამერიკის მთავრობა საქართველოში „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამის მსგავს ახალ პროექტს დააფინანსებს.

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს თავდაცვის მინისტრმა გიორგი ბარამიძემ განაცხადა, ახალი პროგრამა 2005 წლიდან დაიწყება და დახლოებით წელიწადნახევრის განმავლობაში გაგრძელდება.

პროგრამის ფარგლებში ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორები ვაზიანში დისლოცირებული მე-11 ბრიგადის ლოგისტიკის, კავშირგაბმულობის, საინჟინრო და საარტილერიო ბატალიონებს და ქუთაისის 21-ე ბრიგადის პირად შემადგენლობას გაწვრთნიან. წვრთნასთან ერთად დაგეგმილია აღნიშნული ქვედანაყოფების საჭირო ტექნიკით აღჭურვა.

გიორგი ბარამიძის განცხადებით, მორიგი ამერიკული დახმარება ერაყში ქართული სამხედრო მისიის გაგზავნის სანაცვლოდ ხორციელდება, რომელიც მომავალი წლიდან 850 სამხედრო მოსამსახურემდე უნდა გაიზარდოს. ორშაბათს კი ერაყში „კომანდოს“ ბატალიონის 300 სამხედრო მოსამსახურე მიემგზავრება, რომლებიც, წინა როგაციებისგან განსხვავებით, არა „სამშვიდობო“, არამედ „სტაბილურობის მისიას“ შეასრულებენ.

15 ნოემბრიდან ხელფასები გაეზრდებათ

საქართველოს შეიარაღებული ძალებისა და თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებს მიმდინარე წლის 15 ნოემბრიდან ხელფასები მნიშვნელოვნად გაეზრდებათ. ხელფასების ზრდა მხოლოდ იმ თანამშრომლებს შეეხება, ვისაც ქართულ-ამერიკული „წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა“ არ გაუვლია.

გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე თავდაცვის მინისტრმა გიორგი ბარამიძემ განაცხადა, თუ აქამდე სისტემაში მინიმალური ხელფასი 20 ლარი იყო, 15 ნოემბრიდან იგი 115 ლარი გახდება.

ბარამიძის თქმით, შესაბამის ბრძანებას პრეზიდენტმა უკვე მოაწერა ხელი და მის მთავარ მიზანს თავდაცვის სისტემაში კორუფციის აღმოფხვრა და „წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის“ ფარგლებში მომზადებული სამხედრო მოსამსახურეებისა და დანარჩენი პერსონალის თანაბარ პირობებში ჩაყენება წარმოადგენს.

აქამდე შეიარაღებულ ძალებში ყველაზე მაღალი ხელფასები „წვრთნისა და აღჭურვის პროგრამით“ გაწვრთნილ სამხედროებს ჰქონდათ. თუ ამ პროგრამაგავლილ კაპრალს ხელფასი 447 ლარი აქვს, პროგრამის გარეთ მყოფი იმავე წოდების სამხედრო მოსამსახურის ხელფასი მხოლოდ 32 ლარს შეადგენს.

თავდაცვის მინისტრს მიაჩნია, რომ შეიარაღებულ ძალებში ჯანსაღი ატმოსფეროს ჩამოყალიბებისთვის ერთნაირი სამხედრო წოდების ან სხვა თანამდებობრივი მდგომარეობის პირებს შრომის ანაზღაურებაც ერთნაირი უნდა ჰქონდეთ.

ძალა ერთობაშია

სასტუმრო „შერატონ-მეგეტი პალასისა“ და მუნიციპალიტეტის ერთობლივი ძალისხმევით გუშინ ვერის ბაღი დასუფთავდა.

ინიციატივა სასტუმროს ხელმძღვანელობამ გამოთქვა, შესაბამისი ტექნიკით კი მას თბილისის მთავრობა დაეხმარა.

დასუფთავების აქციაში „შერატონ-მეგეტი პალასის“ ხელმძღვანელობასთან ერთად, სასტუმროს 50 თანამშრომელი მონაწილეობდა. მათ თავად შეიძინეს ბაღის დასუფთავებისთვის საჭირო იარაღები და დილიდანვე დაიწყეს გაწმენდა. მოგვიანებით მათ „თბილისის კორპუსის“ წარმომადგენლებიც შეუერთდნენ.

ინტერ-პრესი.

◎ მსოფლიო თასი

დიდი ჭიდაობა სპორტის სასახლის სარბიელზე

ჭიდაობა რომ ჩვენი ხალხის საყვარელი სპორტის სახეობაა, ერთხელ კიდევ დარწმუნდებით, თუ გივი კარგოშიას სახელობის სპორტის სასახლეში მსოფლიო თასის გათამაშების ორთაბრძოლებს ნახავთ. გუშინ, 11 საათზე ჩვენი უპირველესი დახურული სპორტული არენა მაყურებელებით უკვე გვარიანად იყო შევსებული. რაც ყველაზე სასიამოვნოა, ჭიდაობის სანახავად მეგწილად ახალგაზრდები მოვიდნენ – ეროვნული დროშებით ხელდამშვენებულნი და თავიანთი ფალავნების ენერგიულად მხარდამჭერნი.

აქვე იყვნენ ჩვენი სახელოვანი ვეტერანები – ოლიმპიური, მსოფლიო თუ ევროპის ჩემპიონები და პრიზიორები. მათი ჩამოთვლა საგაზეთო წერილში, მოგეხსენებათ, ერთობ გაჭირდება. ერთს კი ვიტყვი, რომ ბაგონი გურამ საღარაძე, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ჩვენი რეპორტაჟის თანაავტორიც კი გახლა: მიგვანიშნებდა ხოლმე ამა თუ იმ მოჭიდავის ძლიერ თუ სუსტ მხარეებზე, პროგნოზებსაც შუსგად აკეთებდა. ასე, მაგალითად, საქართველოსა და საფრანგეთის ნაკრებთა შეხვედრების დროს მან შეაქო ახალგაზრდა ფალავნები ლაშა ლომაძე (60 კგ) და ომარ ბაღურაძე (64 კგ).

იხ. მე-5 გვ.



ნომერში წაიკითხავთ:

„საქართველო იყო მათი საოცნებო სახელი“

ელგუჯა ამაშუკელის დიდებული „ქართველის დედა“ უკვე ნახევარი საუკუნეა გადმოჰყურებს თბილისს და უიმისოდ წარმოუდგენელია ჩვენი დედაქალაქი, მაგრამ ზოგ-ზოგთ, ახალი დროისგან გაყვანიზებულთ, რაგომღაც თურმე თვალში აღარ მოსდით ქანდაკების „მონუმენტური წესრიგი“, სწორედ ამაზე წერს აღელვებული პუბლიცისტი გვანცა კოპლატაძე.

მე-3 გვ.

წარდგენილია სახელმწიფო პრემიაზე



გაგეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“ სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად წარადგინა ჩინებული პოეტი ილია ბარამიძე, რომლის შესახებაც თამამად შეიძლება თქმა, რომ იგი ქართული ლექსის ჭეშმარიტად გამორჩეული ოსტატია. ამ ჩვენი აზრის დასტურად ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში პოეტის რამდენიმე ახალ ლექსს გთავაზობთ.

მე-4 გვ.

სასწაულმოქმედი სტიმულატორი

რატომ დგას ექიმ-ოტოლარინგოლოგ სამსონ ბარამიძის კაბინეტთან მუდამ რიგი? რა სასწაულებს ახდენს იგი თავისი პაგარა ხელსაწყოს მეშვეობით, რომელიც გელეფონის აპარატს წააგავს?

მე-6-7 გვ.

◎ კვირის თვალსაწიერი

ჩრდილოეთის დათვი და ვარდუა მკითხავი

გამორჩეულად საინგერსო და სისხლსავსე კვირა გვქონდა. პირდაპირ სიუხვის რქით დაგვაბერგყა ცინცხალი ამბები.

ჯერ იყო და ამერიკაში ჯორჯ ბუშმა მეორედ გაიმარჯვა საპრეზიდენტო არჩევნებში. მართალია, მცირე უპირაგესობით, მაგრამ იმაზე დამაჯერებლად, ვიდრე ოთხი წლის წინათ – გორზე.

ხომ ასეთი დაპირისპირება ჰქონდათ, ხომ თითქმის თანაბარი შესაძლებლობისანი იყვნენ, იმ უზარმაზარ ქვეყანაში, სადაც – ჰავაის კუნძულებიდან ალიასკამდე – ფაქტობრივად მზე მართლა არ ჩადის, ერთი უკადრისი არაფერი მომხდარა არც – აქედან, არც – იქიდან.

რაც მთავარია, შეაგყო თუ არა ჯონ კერიმ, ვაგებო, ჯერ ხმების დათვლა დამთავრებულიც არ იყო, აიღო გელეფონი და გამარჯვებულ ჯორჯ ბუშს და მის მეულეს ლორას გამარჯვება მიულოცა.

არ დაუწყია, არიქა, არჩევნები გაყაღბესო. ვაშინგგონი არ აჯაგრულა დროშებითა და ლოზუნგებით და არ მოუთხოვიათ, ხელახალი არჩევნების ჩაგარება, საშიშმილოც არ დამსხდარან კაპიგოლიუმის კიბეებზე და ა.შ.

ჯერ ერთი, ამერიკელები ენდობიან თავიანთ ხელისუფლებას და ამდენად, ვერც დაუშვებენ აზრს, რომ შეიძლება მათ ამ ხელისუფლებამ არჩევნების გაყალბება აკადროს.

მეორეც, კაცმა რომ თქვას, მათთვის ვირი და სპილო ერთნაირად შინაური პირუგყვია და, ამდენად, რესპუბლიკელი გაიმარჯვებს თუ დემოკრაგი, არსებითი მნიშვნელობა სულაც არ აქვს, ერთმაც და მეორემაც ამერიკის განდიდების საქმე უნდა აკეთოს.

ამიგომ არჩევნების შედეგები გამოცხადდა თუ არა, ქვეყანამ მშვიდად გააგრძელა ცხოვრება ბუშის პრეზიდენგობით, რომელიც, რა თქმა უნდა, ავგომატურად კერის მხარდამჭერთა პრეზიდენგიც გახდა და ეს რაგიმე ამ მხარდამჭერებმა უყოყმანოდ მიიღეს.

ამერიკაში შემდგარმა არჩევნებმა კიდევ ერთხელ მანგარა ილიასავით „ღმერთო, ღმერთო, ეს ხმა გკბილი, გამაგონე ჩემს მამულში“-მეთქი. ღმერთმა მოგვასწროს იმ დღეს, როცა არჩევნები სუფთად და ულაქოდ ჩაგარდება და დამარცხებული კანდიდაგი, ვთქვათ ნიკა და მისი მეორე ნახევარი ლიკა გამარჯვებულ მიკას დაურეკავენ, შენ და თიკას გილოცავთ, თუ რამეში დაგჭირდეთ, აგერ ვართო.

თორემ, მიიღებს ჩვენში რომელიმე კანდიდაგი საპრეზიდენგო არჩევნებში 127 ხმას და მერე, მთელი 5 წელი ყალიონს გაბოლებს თვალებში ან შავრა ცხენით დაჩინჩრაკობს, გამიყალბეს, გამარჯვება ხელიდან გამომაცალეს.

ახლაც ასე არ ხდება ინგურს გაღმა? აფხაზეთი ხომ საქართველოს ნაწილი, სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანია, რა თბილისი და რა სოხუმი! ჰოდა, გაიმარჯვა იმ კაცმა, სერგეი ბაღაფშმე მოგახსენებთ, მაგრამ ხელიდან აცლიან გამარჯვებას.

მოსკოვი, რომელმაც წყალი აამღერია, ახლა გამარჯვებული ბაღაფშისა და დამარცხებული ხაჯიმბას შერიგებას ცდილობს.

ბაღაფშს რა ჭირს შესარიგებელი, გამარჯვებულია.

შესარიგებელი და დასაბმელი ხაჯიმბაა, დამარცხებული გამარჯვებას რომ ეპოგინება.

შერიგდებიან? ალბათ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბაღაფშს თავში აგურს ჩაარგყამენ ან სხვა რამ უკეთური გზით მოაცილებენ თავიდან (სხვაგვარად მოსკოვი აფხაზეთში თავის მიერ ჩაეხრეულ საქმეს ვერ გამოასწორებს).

იხ. მე-2 გვ.

ინტერპანორამა

რომის უნივერსიგეგის სგუდენგებმა დაიწყეს ახალი საბნის – მაფიის ისგორიის შესწავლა

კურსი გათვლილია 20 ლექციად და ორ სემინარად, რის შემდეგაც სგუდენგებმა გამოცდა უნდა ჩააბარონ. კრიმინალური კლანების „ევოლუციის“ თაობაზე შესავალი ლექცია წინადღეს წაიკითხა მაფიისთვის წინააღმდეგობის გაწევის საკითხებზე მთავრობის მრჩეველმა.

გერმანიამ იძიგება არც გაღასცეს ესპანეთს „ალ-ყაიდას“ ერთ-ერთი სავარაუდო ლიდერი

დაკავებული მამუნა დარყაზანლი აცხადებს, რომ არავითარი საქმე არა აქვს გერორიზმთან. ის მხოლოდ იმას აღიარებს, რომ იცნობს სამ გერორისგს, ვინც მადრიდში გერაქგები მოაწყო და განახორციელა.

CYAN BLACK

⊙ პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი: ჩვენ მიერ სამხედრო სფეროში გადადგმული ნაბიჯებით ვზრდით არა ომის, არამედ მშვიდობის შანსს

საქართველოს პრეზიდენტის ბრიფინგი 2004 წლის 5 ნოემბერს

(პირველი გვერდიდან)

როცა ჩვენ მოვედით, დაგვხვდა დანგრეული, განადგურებული ყაზარმები, დაგვხვდა ორი კვირის უჭმელი ორიათასი დამშეული ჯარისკაცი, დაგვხვდა გაძარცვული ტექნიკა და იარაღი, ყველაფერი წაღებული. არც ერთ საბჭოთა რესპუბლიკაში ეს არ ყოფილა. ამ ერთ წელიწადში მოხდა შემობრუნება და მომავალი წელი, საერთოდ, ამ პროგრამებიდან გამომდინარე, რომლებიც ახლა დამტკიცდა, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი წინსვლის პერიოდი იქნება.

მე ვიცი, როდესაც ამაზე ვსაუბრობ, შემდეგ ამას მოჰყვება ჩვენი მტრების ძალიან ნერვიული რეაქცია და მათი კონტრრეაქცია. მაგრამ ჩვენ ვართ სახალხო მთავრობა და ამიტომ ჩვენმა ხალხმა უნდა იცოდეს, რა კეთდება, მიუხედავად იმისა, რომ ამას იგებს საქართველოს მოწინააღმდეგეც. რა თქმა უნდა, ისიც ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ხელი შეგვიშალოს ამ პროცესების განვითარებაში. მაგრამ ვფიქრობ, ამ მხრივ ჩვენ საიდუმლო ჩვენი საზოგადოებისგან არ უნდა გვქონდეს. ეს ერთი და მნიშვნელოვანი.

მეორე – ის საკითხი, რომელიც ეხება მიმდინარე პროცესებს მთავრობაში, პარლამენტში. მე მიმაჩნია, რომ ჩვენი მთავარი დაპირება, რომ გადასახადები შემცირდება, ჩვენ ამ დაპირებას ვასრულებთ იმ კოდექსით, რომელიც პარლამენტში შევიდა. თუ ამ კოდექსმა კარგად იმუშავა და ადმინისტრირების დონე ამაღლდა, შემდეგ ეტაპზე ჩვენ შეგვეძლება უკვე სრულად ავამოქმედოთ პირველადად ბიზნესის განთავისუფლების მექანიზმები. მაგრამ მე ვვარაუდობ, რომ ამ კოდექსის ამუშავებიდან ამას ერთი წელი დასჭირდება. ახლა ინდივიდუალური მეწარმეები თავისუფლდებიან, საერთოდ, ყველა საწყისი ბიზნესი, რაზეც მე დიდი ხანია ვოცნებობ, რომ, ვთქვათ, პირველი ორი წელი არ იხდიდეს გადასახადებს, ეს იქნება მას შემდეგ, რაც ეს კოდექსი ამუშავდება და დაამტკიცებს, რომ საქართველოში დაბალი გადასახადის პირობებში შესაძლებელია გადასახადების აკრეფა. გადასახადები მკვეთრად მცირდება. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი და ეს პირველი იანვრიდან იქნება.

ამასთან ერთად, ჩვენ პარლამენტში შევიტანეთ ფინანსური ამნისტიის საკითხები და ბევრმა ეს მონათლა ისე, რომ, აი, უნდათ ვიღაცა გაათავისუფლონ პასუხისმგებლობისაგან, შექმნან კორუმპირებული მოხელეების სისტემა. ნურას უკაცრავად! ეს არ მოხდება სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში.

ჩვენ ვსაუბრობთ არა იმაზე, რომ ვიღაცა პასუხისმგებლობას დაუძვრეს. ვსაუბრობთ იმაზე, რომ რამდენიმე კაცმა წინა ხელისუფლების დროს მთელი საქართველო აქცია პოტენციურ დამნაშავედ, ყველა ადამიანი, ვისაც რაიმე შემოსავალი ჰქონდა, უცხოეთიდან დახმარება თუ რაღაც თავისი პატარა მცირე ბიზნესი ან საწარმო, აქცია კანონის დამრღვევად. პრაქტიკულად, დღევანდელი არსებული კანონმდებლობით ყველა ამ ადამიანის ქონების ლეგალიზაცია შეუძლებელია. ამგვარად, ჩვენ ამ ხალხისთვის ვაკეთებთ ამნისტიას. ამნისტია ეხება პრაქტიკულად ყველას, გარდა იმ 10-15 ადამიანისა, რომლებმაც შექმნეს ის სისტემა და რომელშიც ჩვენ ვმუშაობდით. ეს იმ კანონში ჩადებულია და თუ რაიმე არ არის ჩადებული, დარწმუნებული ვარ, პარლამენტში ეს გასწორდება და სათანადო დონეზე იქნება დაცული.

ამავე დროს, როგორც დავპირდით ჩვენს მოსახლეობას, ხალხს და ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი, რომ დაპირებები შესრულდეს. როცა ჩვენ მოვედით, პენსია 14 ლარი იყო და 6-7 თვე ხალხს იგი მიღებული არ ჰქონდა. მომავალი წლის პირველი იანვრიდან პენსია 28 ლარი იქნება. ასეთია მთავრობის დაპირება და იმედია, მას მთავრობა შეასრულებს. ეს იქნება მინიმალური პენსია საქართველოში ყოველ ადამიანზე. ძალიან კარგია, რომ ჩვენ მოვახერხეთ საშუალებების მობილიზაცია და რევოლუციის წლისთვისთვის წინა წლების დატოვებული კიდევ ერთი თვის დავალიანება გასტუმრებული უნდა იქნეს. და, საერთოდ, ჩვენ ხალხს უნდა ვუთხრათ, რა გავუკეთეთ და რას დავპირდით.

როგორც წესი, არჩევნების წინ მოდიან პარტიები და ეუბნებიან ხალხს: ამას და იმას გაგიკეთებთო. შემდეგი არჩევნები, თუ არ ვცდები, სამწელიწადნახევარშია. ჩვენ ახლა უნდა ვუთხრათ, რა გავუკეთეთ ამ წელიწადში.

მე ვფიქრობ, ეს წელიწადი იყო სერიოზული შემობრუნების წელიწადი იმიტომ, რომ ჩვენ დავალიანების უმეტესი ნაწილი გავისტუმრეთ და სადაც არ გაგვისტუმრებია, იმასაც ალბათ ძალიან მალე გავისტუმრებთ. იყო შემობრუნების წელიწადი იმიტომ, რომ დავიწყეთ დისციპლინის დამყარება. იყო შემობრუნების წელიწადი იმიტომ, რომ დავიწყეთ ჯარის შექმნა. იყო შემობრუნების წელიწადი იმიტომ, რომ გადავწყვიტეთ ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი, რომელიც აჭარას ეხებოდა. შემდეგი წელიწადი, დაფუძნებით იმისა, რასაც ჩვენ ვამზადებთ, საქართველოში უნდა იყოს ეკონომიკური გარღვევის, პროგრესის, ეკონომიკური აღმშენებლობის და ინფრასტრუქტურის განვითარების წელიწადი, რომელიც თავისთავად თითოეული ქართული ოჯახისთვის ასევე შექმნის ძალიან ბევრ პოზიტიურ პროცესს.

შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა უპასუხა ჟურნალისტთა შეკითხვებს. კერძოდ, ცხინვალის რეგიონში შექმნილ დაძაბულ ვითარებასთან დაკავშირებით მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა:

– ჩვენი სტრატეგია ცხინვალთან დაკავშირებით დღესავით ნათელია. ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ ჩვენ არ გადაგვეკეტა ივნისში კონტრაბანდა ერგნეთიდან. ეს ნიშნავდა იმას, რომ დღეს ჩვენ არა მხოლოდ პენსიების გაზრდის საშუალება არ გვექნებოდა, არა მხოლოდ წიგნებს ვერ დავარიგებდით უფასოდ, არა მხოლოდ სხვა ღონისძიებებს ვერ განვახორციელებდით, არამედ, ელემენტარულად ჩაიშლებოდა, არმიისთვის არც ტყვია-წამალი, არც საკვები არ გვექნებოდა, აღარ ვლაპარაკობ პოლიციელებზე და ბევრ სხვა პროცესზე. ერგნეთის დაკეტვა ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

წარმოიდგინეთ ერთი წუთით, რომ ზაფხულში ჩავეთრიეთ ფართომასშტაბიან სამხედრო კონფლიქტში, როგორც ეს დაგეგმილი იყო და ჩვენ შევყოლოდით, როგორც ეს 1992 წელს აფხაზეთში მოხდა. ეს, რა თქმა უნდა, არ იქნებოდა ომი რამდენიმე ასეულ ადგილობრივ ყაჩაღთან. ეს იქნებოდა შეტაკება გარედან შემოსულ ძალიან დიდ ძალასთან. ამ შემთხვევაში ყველანაირი ლაპარაკი ნატოსთან თანამშრომლობაზე, დიდ პროექტებზე, ეკონომიკის გაუმჯობესებაზე, ადამიანებისთვის რაღაცის შექმნაზე საბოლოოდ დამთავრებული იქნებოდა. აი, ეს იყო საქართველოსთვის მომზადებული სცენარი. ჩვენ კონტრაბანდა ჩავკეტეთ, თუმცა კიდევ არის იქ პატარ-პატარა ნაკადულები, ხანდახან შემოდის ზოგან ერთი სამარგულით სიგარეტი, მაგრამ, ძირითადად, იგი გადაკეტილია. ჩვენ ეს ძალიან კარგად ვიცით და ამას ვგრძნობთ ჩვენი ბიუჯეტით. პირველი, რაც ქნეს, ჩაგვიკეტეს ლარსის გადასასვლელი იმ კონტექსტით, რომ ეს ბესლანთან იყო დაკავშირებული. თუმცა ამაში მე ძალიან სერიოზულად მეპარება ეჭვი. ორი თვე ლარსი ჩაკეტილი იყო. ჩემი ღრმა რწმენით, ბევრი ადამიანისთვის იყო ერთადერთი მოტივაცია, რომ აი, არ გინდოდათ ერგნეთიდან შემოსავლის ერთად გაკეთება? ახლა იძულებული იქნებით, გახსნათ ცხინვალიც და იძულებული იქნებით ისევ კოკოითს აკეთებინოთ ფული. ჩვენ გამოვაგზავნეთ იქიდან სომეხი, ქართველი ეროვნების ბავშვებს (რა მნიშვნელობა აქვს ამას) ქალებს, ვაჩვენებთ მათ ტელევიზიით. თითოეული ასეთი ავტობუსიდან 250-700 დოლარამდე შედის იმ ბანდიტურ ფორმირებებში, რომლებიც შემდეგ ყიდულობენ იმ იარაღს, რომელსაც ესვრიან მშვიდობიან მოსახლეობას და ჩვენ გაიძულებთ, რომ თქვენ ეს გააკეთოთ. ჩვენ ვთქვით, რომ სულ რომ გადაკეტოთ ლარსი, არასოდეს ჩვენ მაინც ცხინვალს აღარ გავხსნით. იმიტომ, რომ ჩვენთვის ძალიან პრინციპული საკითხია საქართველოს საზღვრების კონტროლი და მანამ, სანამ ბოლომდე არ აღგვიდგენია კონტროლი (და ამის დროც ძალიან მალე დადგება, ბევრად უფრო მალე, ვიდრე მათ ჰგონიათ), ჩვენ მინიმალურ წესრიგს მაინც დავამყარებთ.

აქედან გამომდინარე, რა გვაქვს ცხინვალში? იქ არის რამდენიმე ასეული გაბოროტებული, გამხეცებული კონტრაბანდისტი, კრიმინალი თავიანთი ავტომატებით (ძალიან ბევრი იარაღი ზაფხულის განმავლობაში მათ ჩრდილოეთიდან ჩამოუყარეს), რომელთაც არ იციან, რა ქნან, რადგან საჭმელი შემოაკლდათ, კონტრაბანდით ფულს ვეღარ აკეთებენ და, ბუნებრივია, ფართომასშტაბიან თავდასხმას ჩვენს სოფლებზე ვეღარ ახორციელებენ, იმიტომ, რომ ჩვენი სოფლები გამაგრებულია. ამიტომ, თუ რომელიმე სოფლის მოსახლე გასცდა თავის ბაღბოსტანს და ცოტა იქით გადავიდა, მოკიდებენ ხელს და მოიტაცებენ და ორ დღეში აბრუნებენ. იქ ძროხებს იტაცებენ, იქ გზებს გვიკეტავენ და ასე შემდეგ ერთადერთი რამის გამო – მათ გამოსავალი არა აქვთ. ჩვენ, როგორც სახელმწიფოს, გამოსავალი გვაქვს. ჩვენ უნდა გავუფრთხილდეთ ჩვენს მოსახლეობას – ოსებსაც და ქართველებსაც. ჩვენ გავუგზავნეთ ძალიან ბევრი ჰუმანიტარული ტვირთი ეგრეთ წოდებულ ქართულ სოფლებს, თუმცა იქ ოსებიც და რუსებიც ცხოვრობენ. ჩვენ მზად ვართ იგივე გავუკეთოთ ოსებს.

მაგრამ ყოველი დღე მშვიდობის, ყოველი დღე ფართომასშტაბიან კონფლიქტში ჩვენი არჩათრევის, ჩვენ გვაძლიერებს (როგორც ამ პროგრამებიდან ნათლად ჩანს, რომლებიც მივიღეთ) და მათ ასუსტებს. ამიტომ დიდი სიბრიყვე და სიბეცე იქნება, რომ ახლა მათ მივცეთ საშუალება რაიმე პროვოკაციაში ჩვენი ჩათრევისა. აი, ეს არის ის, რაც ყველას უნდა გვესმოდეს. დრო დღეს საქართველოზე მუშაობს, ყოველდღე ხდება საოცრება: მე ვერასდროს წარმოვიდგენდი იმას, რაც გუშინ ნატოს გენერალურმა მდივანმა ამ დარბაზში თქვენთან შეხვედრისას განაცხადა. ვერ წარმოვიდგენდი, რომ პრეზიდენტი ბუში არჩევნების წინ გამოაგზავნიდა წერილს, სადაც გვესაუბრებოდა ამერიკის სამხედრო დახმარების ასეთ მკვეთრ ზრდაზე. ვერ წარმოვიდგენდი, რომ ჩვენ თვითონ შევძლებდით ჩვენი ბიუჯეტის ამოქაჩვას ისე, რომ ჩვენი პოლიცია, უშიშროების სტრუქტურები ასეთ დონეს მიაღწევდნენ. დღეს უშიშროებამ დააკავა სატელეფონო ხულიგნები. ეს ხომ ტექნიკით ხდება. ჩვენ არაფერი არ გვქონდა. ახლა გვაქვს ყველა საშუალება იმისა, რომ ეს ვაკეთოთ. ეს გვაქვს სწორედ იმის გამო, რომ დრო დღეს მუშაობს ჩვენზე. დღეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩაგვითრიონ ამ პროვოკატორებმა იმაში, რაც მათ უნდათ.

ჩვენი ამოცანაა ძლიერი საქართველო. დავით აღმაშენებელმა ათი წლის შემდეგ შეუწყვიტა მტერს ხარკის გადახდა, ვიდრე არ მოძლიერდა. ათი წელი ნამდვილად არ ვაპირებ მოცდას. დავით აღმაშენებლის დროს არც ჯორჯ ბუში იყო ამერიკის პრეზიდენტი, არც „რუსთავი-2“, „იმედი“, „მზე“, და პირველი არხები არსებობდნენ, არ მინდა რომელიმეს ვაწყენინო, „კავკასია“ და ასე შემდეგ და საზოგადოება ასე ინფორმირებული არ იყო. მაგრამ, რა თქმა უნდა, მოთმინებაა საჭირო. ყველა ხედავს, რომ ნაბიჯ-ნაბიჯ ჩვენ ვდგავართ ჩვენს გზაზე. ამას ხედავს ჩვენი მტერი, რომელიც ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ რაღაცნაირად ეს გააჩეროს. ის, რაც ხდება, ეს, რა თქმა უნდა, არის გლობალური თამაშის ნაწილი. ეს არ არის ჩვეულებრივი რაღაც. ხაჩიროვის ბანდა, რომელმაც ააფეთქა ელექტროგადაცემის ხაზი, გავანადგურეთ და დღემდე ხმას ვერ იღებენ ისინი, ვინც მას – ჩვეულებრივ, ადგილობრივ კრიმინალს გადაუხადა და გამოაგზავნა. მათაც ვერ ატეხეს დიდი ხმაური, რადგან არ მოელოდნენ, რომ ჩვენ ამას გავაკეთებდით. ეს წვრილმანი პროვოკაციები არის იმისთვის, რომ როგორმე ჩაგვითრიონ. ზამთარი წინ არის. ჩვენ არსად არ გვეჩქარება. ის, რომ პენსია გავზარდოთ, ის, რომ (მე გუშინ მოვაწერე ხელი ბრძანებას) ჩვენს ჯარში მინიმალური ხელფასი პროფესიონალებისთვის ახლანდელი პირველი ნოემბრიდან უკვე არის 115 ლარი, ის, რომ სხვა მიმართულებით ბევრი რამის გაკეთების საშუალება გვეძლევა, ის, რომ მომავალ წელს იწყება დიდი ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც არ უნდა გავაჩეროთ, ის, რომ პრივატიზაცია არ უნდა ჩაგვეშალოს, რადგან აქედან შემოსული ფულის სამი მეოთხედი მოხმარდება სოციალურ მიზნებს, ერთი მეოთხედი კი – ჩვენი სახელმწიფო სტრუქტურების გამაგრებას, ეს ყველაფერი მუშაობს ჩვენზე. ახლა ჩათრევა იმაში, რაც მათ უნდათ, დიდი სიბრიყვე იქნება.

მე დიდი ილუზიები არა მაქვს ზურაბ ჟვანიასა და იმ კაცის შეხვედრაზე. რასაც ეტყვიან ჩვენს მეზობელ ქვეყანაში, ყოველთვის იმას გააკეთებს. მაგრამ, იმედია, მოსკოვში მას ეტყვიან ამის შესახებ. იმიტომ, რომ ყველა უნდა მიხვდეს, რომ არც საქართველოს და არც რუსეთის ინტერესებს არ შეესაბამება ამ რეგიონში დესტაბილიზაცია. დანარჩენი ეს უკვე ჩვენს მარიფათზეა, ჩვენს სიძლიერეზე, ყოველდღიურ ჩვენს საქმიანობაზე, იმაზე, რომ ყველაფერი გავაკეთოთ იმისთვის, რომ როგორც ახლა ვართ ძლიერები, ექვს თვეში ბევრად უფრო მაგრები ვიყოთ, ერთ წელიწადში ჩვენი დამმარცხებელი არავინ არ იყოს. ამიტომ სურვილიც არავის არ გაუჩნდეს, რომ ვინმემ რაიმე დაიწყოს. პოლიტიკურად ჩვენ ამას მოვაგვარებთ. ამასობაში ეკონომიკა იქნება, ამასობაში დიდი პროექტები იწყება. წელს ჩვენ უცხოური დახმარება, პრაქტიკულად, არ გვქონია. მომავალ წელს უკვე იწყება სერიოზული დახმარება სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების კუთხით. ეს ვიცი მე და მინდა იცოდეს ჩვენმა საზოგადოებამ. ეს იცის ჩვენმა მტერმაც, რომელსაც არ უნდა, რომ ეს ყველაფერი მოხდეს. ეს არის და ეს.

აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა, რომ აფხაზეთის იმ ნაწილმა, ვინც დარჩა აფხაზეთში, დაინახა, ვინ არის მათი მეგობარი და ვინ არის მათი ნამდვილი მტერი და არაკეთილმოსურნე. მათ ეს ამ არჩევნებზე იმდენად ნათლად დაინახეს, ამ არაკეთილმოსურნემ იმდენად ნათლად აჩვენა თავისი სახე, რომ, მე ვფიქრობ, ჩვენს მიმართ ყველაზე უფრო სკეპტიკურად განწყობილი აფხაზები ხვდებიან, რომ აქ ქართველები უკვე არაფერ შუაში არ არიან. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი და კარგი შედეგი ყველაფრისა, რაც იქ მოხდა, თუნდაც კარგი გაკვეთილი.

მეორე. მე ვფიქრობ, რომ მოვლენები სწორი მიმართულებით ვითარდება. რომ გითხრათ, ხვალ და ზეგ იქ რაიმე მოხდება, არ მოხდება. ბევრი რამ დამოკიდებულია ჩვენზე, უწინარესად, ჩვენს ეკონომიკურ განვითარებაზე, იმაზე, რომ თავად ვიპოვოთ ჩვენში შიდა ძალა, რომ ძალიან სერიოზული სამშვიდობო პროცესი დავიწყოთ, ძალიან სერიოზულად ველაპარაკოთ თითოეულ ადამიანს აფხაზეთში. აქ არ არის საუბარი მარტო ამ ლიდერებზე, რომლებიც, პირდაპირ ვთქვათ, ამ უკანონო არჩევნებში აირჩიეს, არამედ მათზეც და იმ ადამიანებზეც, ვინც მათ გარშემო არიან.

ერთი რამ სრულიად ნათელია ჩემთვის და იმედია თითოეული ქართველისთვის, მე ეს ღრმად მწამს, აფხაზეთი ეს არის მთავარი დანიშნულება, მთავარი მიზანი, მთავარი იდეოლოგია ჩვენი საქმიანობისა. აფხაზეთის გზა გადის ძლიერ საქართველოზე. ძლიერი საქართველო – ეს არის ეკონომიკურად ძლიერი საქართველო. ძლიერი საქართველო არის ის, სადაც ხალხს აქვს იმედი და მზად არის – იბრძოლოს თავისი ქვეყნის მომავლისთვის. ძლიერი საქართველო არის სახელმწიფო, რომელსაც ჰყავს ძლიერი მეგობრები, მოკავშირეები და რომელიც თავის მოკავშირეებთან ერთად ცდილობს, რომ ჩაერთოს არა მხოლოდ შიდაქართულ, არამედ საერთაშორისო პროცესებში.

ის, რაც ხდება ბოლო დღეებში, ის, რა გამოხმაურებაც არის ქართულ ინიციატივებზე, ის, რა დახმარებასაც ჩვენ ვიღებთ, ის, რომ ასევე გავააქტიურეთ დიალოგი რუსეთთან, (თუმცა ერთხელ კიდევ ვიმეორებ, რომ ეს არის პრინციპებზე დაფუძნებული დიალოგი), სრულიად ნათლად აჩვენებს, რომ ჩვენ ვდგავართ სწორ გზაზე. დანარჩენი – ჩვენი მოთმინების, ჩვენი გამძლეობის, ხელისუფლების ტექნიკის, ასევე ჩვენი კარგი მუშაობის და საერთაშორისო ურთიერთობებში ძალიან სწორი გათვლების შედეგი უნდა იყოს.

დარწმუნებული ვარ, უახლოეს პერიოდში აფხაზეთში დავიწყებთ ძალიან სერიოზულ დიალოგს. ამისთვის ჩვენ მზად ვართ. მზად ვართ, ხელი გავუწოდოთ აფხაზ ხალხს, ეს აღარ არის ძველი ურთიერთობები, გავუწოდოთ ხელი როგორც სახელმწიფომ, რომელსაც შეუძლია ყველა ეროვნების მოქალაქეები დაიცვას, როგორც სახელმწიფომ, რომელსაც შეუძლია ყველა ეროვნების მოქალაქეების ინტეგრაცია მოახდინოს, როგორც სახელმწიფომ, რომელსაც შეუძლია ყველა პატარა ერის (ვინაიდან ჩვენ თავად არა ვართ დიდი ერი) სატკივარი, გულისტკივილი, შიში გაიგოს. ამავე დროს, როგორც სახელმწიფომ, რომელმაც მშვენივრად იცის, რომ მისი საზღვრები არის ყველაზე წმინდა რამ, რაც შეიძლება იყოს და ვერასოდეს საქართველო ვერ იქნება ბოლომდე თავისუფალი და თითოეული ქართველი და ყველა ეროვნების მოქალაქე (მე მათ, რა თქმა უნდა, არ ვანსხვავებ) ბოლომდე ბედნიერი, სანამ საქართველო არ იქნება მთლიანი. საქართველოს მთლიანობა არის ის მთავარი, რასაც ჩვენ მივაღწევთ. დარწმუნებული ვარ, ჩვენ ამას მივაღწევთ ჩემი პრეზიდენტობის ვადაში და ჩემი პრეზიდენტობის პირობებში, ჩვენი გუნდის მმართველობის პირობებში.

შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა ილაპარაკა იმის თაობაზე, თუ როგორ აღინიშნება 23 ნოემბერი. მზადდება ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიებები. მისი თქმით, ამ დღეს თითოეულმა ადამიანმა უნდა ჩააბაროს ანგარიში საკუთარ ხალხს, თუ რა გააკეთა და რის გაკეთებას აპირებს. თბილისს ეწვევიან უცხოელი სტუმრები. იგეგმება წმინდა სამების ტაძრის გახსნა, რაც უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენაა.

მიხეილ სააკაშვილმა ასევე კომენტარი გააკეთა ჟურნალისტთა სხვა შეკითხვებთან დაკავშირებით.

⊙ კვირის თვალსაწიერი

ჩრდილოეთის დათვი და ვარდუა მკითხავი

(პირველი გვერდიდან)

ხშირად კითხულობენ, რატომ არ უნდა რუსეთს ბაღაფში, მას ხომ რუსეთი ურჩევნია საქართველოს, აკი ღიად აცხადებს, რომ აფხაზეთი აღარასოდეს დაუბრუნდება საქართველოსო, ისიც ხომ მართლმორწმუნე რუსოფილიაო. ასეა, მაგრამ მოსკოვი არ ენდობა ბაღაფშს, რადგან იგი, უპირველეს ყოვლისა, აფხაზია და მერე რუსოფილი, ამ რუსოფილობას აფხაზეთის ინტერესებზე მაღლა არ აყენებსო.

საქმე ის არის, რომ რუსეთი ღიად აცხადებს, აფხაზეთმა არძინბას გზით უნდა იაროსო. არძინბას გზა კი ასეთია: აფხაზეთი არც დამოუკიდებელი იქნება და არც საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნდება, ის რუსეთზე იქნება მიჯაჭვული. ანუ, „არა სიკვდილი, არა სიცოცხლე, არამედ სულ სხვა რაღაც“...

ამიტომ იჭრის ვენებს მოსკოვი, არძინბას ფეხი ხაჯიმბა როგორმე პრეზიდენტად რომ გააძვრინოს და ეს კურსი ჯიბეში ჩაიდოს.

ამ დღეებში ბაღაფში და ხაჯიმბა მოსკოვში, შაჰის კარზე დაიბარეს. რა უთხრეს მათ იქ, დანამდვილებით არავინ იცის, მაგრამ ბაღაფში რომ ცოტა ხასიათწამხდარი დაბრუნდა, ფაქტია. როგორც ჩანს, „შერიგების“ პირობები მისთვის აშკარად მიუღებელია.

აფხაზეთი დღეს ორ ნაწილად არის გაყოფილი. ბაღაფშის მხარეს პარლამენტის უმრავლესობაა. არძინბას კლანი ყველაფერს აკეთებს, რათა პარლამენტი არ შეიკრიბოს (დეპუტატებს შიგნით არ უშვებენ) და ბაღაფშის სასარგებლო გადაწყვეტილება არ მიიღოს (რაც მართლაც სრულიად შესაძლებელია). ჰოდა, სპიკერმა განაცხადა, თუ არ შეგვიშვებენ, სხვაგან შევიკრიბებით და ჩვენს გასაკეთებელს იქ გავაკეთებთო.

მაგრამ, ყველა ხედება, რომ ამან შეიძლება ისედაც უკიდურესად გამწვავებული სიტუაცია კიდევ უფრო გაამწვავოს, ამიტომაც ჯერჯერობით თავს იკავებენ.

ბევრი აფხაზი მოღვაწე ეძებს შექმნილი ჩიხიდან გამოსავალს, იციან, სამოქალაქო ომის დაწყება დაღუპავს აფხაზეთს. დე ფაქტო ხელისუფლების თავდაცვის მინისტრმა ძაღლებისა და მგლების უბარი ვარიანტი მოიშველია (როცა მოშუღარი ძაღლები მგლის გამოჩენაზე ჩხუბს წყვეტენ და ერთად ესხმიან მტერს), – არიქა, ქართული საჯარისო ნაწილები სამეგრელოში იყრიან თავს და აფხაზეთში შემოჭრას გეგმავენო. გათვლა სწორი იყო: ამ „საშიშროებას“ დაპირისპირებული მხარეები უნდა დაეზავებინა. მაგრამ სოხუმში საქართველოს სიძულვილით თვალები ყველას როდი აქვს აბმული და კარგად ატყობენ, ტყუილის მოკლე ფეხებს. პარასკევის პრესკონფერენციაზე საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მართებულად განაცხადა, აფხაზეთში დღეს კარგად ხედავენ, ვინ არის მათი ნამდვილი მტერი და ვინ მოყვარეო.

თბილისი კვლავაც დინჯ და სწორ პოლიტიკას ადგას სოხუმში განვითარებული მოვლენების მიმართ. იგი ნეიტრალიტეტს იცავს. ამასთან, ხაზს უსვამს, რომ საბოლოო გამარჯვების შემთხვევაში სერგეი ბაღაფშთან მოლაპარაკება შეიძლება.

ოთარ იოსელიანის ცნობილ ფილმ „გიორგობისთვეში“ ასეთი კადრია: ლაწირაკი, რომელსაც ზურგს მხარბეჭიანი „ძველი ბიჭი“ უმაგრებს, ქალიშვილის სადარბაზოში არ უშვებს სტუმრად მისულ თაყვანისმცემელ ჭაბუკებს.

ეს სიტუაცია წარმოგიდგებათ ცხინვალის რეგიონში მიმდინარე მოვლენების შემხედვარე. „გიჟმაჟი ბიჭუნა“ – კოკოითის ხელისუფლება, რომელსაც ზურგს უკან ჩრდილოეთის დათვი უდგას, თავს გავიდა და პროვოკაციებზე მიდის: ქართულ სოფლებს ტყვიებსა და ჭურვებს უშენს, ნაღმებს დებს, ხალხს იტაცებს.

სავარაუდოა, რომ ეს ყველაფერი ცხინვალს სოჭის მოლაპარაკების წინ თავის დაფასებისთვის სჭირდებოდა (ვინც ეს ხერხი უკარნახა, გასაგებია).

აი, სოჭის მოლაპარაკებაც გაიმართა, რომელმაც რაღაც-რაღაც კი შეათანხმა მხარეებს შორის, მაგრამ როგორც მოსალოდნელი იყო, ვერ გადაწყვიტა ერთ-ერთი მთავარი – როკის გვირაბის ერთობლივად გაკონტროლების საკითხი.

თუმცა, ამის მიუხედავად, ეს შეხვედრა მაინც წარმატებულად უნდა ჩავთვალოთ, თუნდაც იმით, რომ ის მაინც შედგა და, ამდენად, შემდგომში ასეთი შეხვედრების ორგანიზება უფრო გაიოლდება. ვნახოთ, მოლაპარაკებათა შედეგებმა (რა საკითხებშიც შეთანხმდნენ) მალე უნდა იჩინოს თავი.

საქართველოსთვის კვირის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა მაინც თბილისში ნატოს გენერალური მდივნის იააპ დე ჰოოპ სხეფერის ვიზიტი გახლდათ, რომელიც გასულ კვირას ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას – ჩვენს ქვეყანასთან ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმის დამტკიცებას – მოჰყვა. ამ ვიზიტმა კიდევ ერთხელ გამოკვეთა, რომ ნატო მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, თუმცა არ აპირებს მის საშინაო საქმეებში, კერძოდ, აფხაზეთთან და ე. წ. სამხრეთ ოსეთთან კონფლიქტებში ჩარევას; ისიც, რომ ნატოში ინტეგრაციამდე საქართველოს გრძელი გზა აქვს გასავლელი, რათა მისი სტანდარტები დააკმაყოფილოს.

გრძელი გზა კია გასავლელი, მაგრამ, რაც მთავარია, ეს გზა უკვე გამოკვეთილია, ვიცით, რა გზაა და რა სიგრძისაა. ამიტომ ვამბობთ, ნატოს კონტურები გამოჩნდაო.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბატონმა სხეფერმა რუსეთს ეუთოს სტამბოლის გადაწყვეტილების (თავისი ბაზების საქართველოდან გადაყვანის თაობაზე) უთუო შესრულების აუცილებლობა შეახსენა.

ნატომდე შორია? შორია, მაგრამ იქითკენ სვლა დაწყებული გვაქვს, იმ სიშორეს უკვე ვამოკლებთ.

ესეც საქმეა!

ოღონდ, თუ ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობელმა არ გვიხიმანა რამე!

ამ შიშს რატომ გამოვთქვამ, იცით? რაღაცის მიმნიშნებელია, რომ რუსულ მასმედიაში ამ ბოლო დროს საგულდაგულოდ უსვამენ ხაზს: „ინგუშეთზე რამდენიმე თვის წინათ მომხდარ მოთარეშეთა თავდასხმის საქმეზე დაკავებულია საქართველოს ერთი მოქალაქე, ჩეჩენი პანკისის ხეობიდან!“; „სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა ამ დღეებში განაცხადა, მაქვს მტკიცებულება, რომ ბესლანში ბავშვებზე თავდამსხმელთა შორის იყო საქართველოს მოქალაქე. მისი დაღუპვის შემდეგ პანკისის ხეობაში, მშობლიურ სოფელში პანაშვიდი გადაუხადეს“...

მე არ ვიცი, რამდენად მართალია ზემოთ მოყვანილი „მტკიცებულობანი“, ის კი უტყუარად ვიცი (ისევ რუსული გაზეთებიდან), რომ ბესლანის ტერაქტში სხვადასხვა ეროვნების მოთარეშენი მონაწილეობდნენ, მათ შორის რუსი და ოსიც კი. რატომღაც „საქართველოს მოქალაქე პანკისელი ჩეჩენი“ (თუ ქისტი?) ხვდებათ თვალში. ეს შემთხვევით არ ხდება – როცა სპექტაკლის პირველ მოქმედებაში კედელზე თოფი ჰკიდია, მეორე მოქმედებაში ის უნდა გავარდეს.

ან ასეთი რუსული „რკინის ლოგიკის“ ნიმუში ავიღოთ. „მოსკოვსკი კომსომოლეცი“ წერს (4-6 ნოემბერი): „რუსეთს არ შეეძლო (არც მოისურვა) ეჩუქებინა მიხეილ სააკაშვილისთვის სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი“.

ჯერ ერთი, რა ხელი აქვს რუსეთს, საერთაშორისო სამართლით, სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან, რომ ვინმეს აჩუქოს“! მეორეც – რას ნიშნავს „არც ისურვა“? რატომ არის მის სურვილზე დამოკიდებული სხვისი ტერიტორიის ჩუქება-არ ჩუქება? ყველაფერს თავი დავანებოთ, სად არის მრავალგზის დეკლარირებული ფიცი-მტკიცი, რომ რუსეთი აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას (ამ მთლიანობაში კი, კარგად მოეხსენება, აფხაზეთი და ე. წ. სამხრეთ ოსეთიც მოიაზრება, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი)?

ასე რომ, როდის რა გამოგვიხტება, ვარდუა მკითხავიც ვერ იწინასწარმეტყველებს.

ალეკო ასლანიშვილი.

⊙ კონფლიქტის ზონა

აფხაზური პარლამენტის პიკეტირება გრძელდება

მე-8 დღეა, თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტობის დამარცხებული კანდიდატის რაულ ხაჯიმბას მხარდამჭერები პარლამენტის შენობის პიკეტირებას განაგრძობენ. პარალელურად მე-9 დღეა, პრეზიდენტობის გამარჯვებული კანდიდატის სერგეი ბაღაფშის მომხრეები სახელმწიფო ტელევიზიას აკონტროლებენ. კრემლის მიერ აფხაზეთის პრემიერ-მინისტრად ხელდასხმული ნოდარ ხაშბას განკარგულების მიუხედავად, სახელმწიფო ტელევიზია მუშაობას განაგრძობს. შენობის უსაფრთხოებას შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფის გარდა, ბაღაფშის მხრადამჭერები იცავენ.

პრეზიდენტობის კანდიდატთა შტაბების ინფორმაციით, მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტისა და ტელევიზიის შენობებთან 250-300-მდე მოქალაქე მუდმივად იმყოფება და ხაჯიმბას მომხრეთა შორის ქალბატონები ჭარბობენ, სოხუმში პოლიტიკურმა დაძაბულობამ მნიშვნელოვნად იკლო.

სოხუმის ხელისუფლების შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების ქვედანაყოფები დღე და ღამე გაძლიერებულ რეჟიმში მუშაობენ, ისინი პრეზიდენტის ადმინისტრაციის, პარლამენტისა და მინისტრთა საბჭოს შენობებს იცავენ.

ხაჯიმბას მხარდამჭერთა განცხადებით, ისინი პარლამენტის შენობის პიკეტირებას მანამდე განაგრძობენ, ვიდრე ბაღაფშის შტაბი 2 თვის ვადაში ხელახალი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების შესახებ მოქმედი პრეზიდენტის განკარგულების შესრულებას არ დასთანხმდება და ამის შესახებ ოფიციალურად არ განაცხადებს.

ბაღაფშს სოხუმელი ძალოვნებიც ემხრობიან

აფხაზეთში 3 ოქტომბერს ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებულ სერგეი ბაღაფშს სოხუმის ხელისუფლების შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის 250 თანამშრომლის გარდა, უშიშროებისა და თავდაცვის სამინისტროების თანამშრომლებიც უჭერენ მხარს.

ბაღაფშის არჩევნებში გამარჯვების აღიარების შემთხვევაში სოხუმის ხელისუფლების პრემიერ-მინისტრობის სავარაუდო კანდიდატის ალექსანდრე ანქვაბის შეფასებით, აფხაზეთში არსებული, ერთი შეხედვით, დაძაბული ვითარების მიუხედავად, დაპირისპირებულ ბანაკებს შორის ინტენსიური მოლაპარაკებების პროცესი „მშვიდ და კონსტრუქციულ“ ატმოსფეროში მიმდინარეობს.

გაპრეზიდენტების შემთხვევაში

თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებული სერგეი ბაღაფში დარწმუნებულია, რომ მისი ოპონენტი რაულ ხაჯიმბა 3 ოქტომბრის არჩევნებში დამარცხებას აღიარებს და 6 დეკემბრისთვის დაგეგმილი ახლადარჩეული პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ აფხაზეთის რესპუბლიკაში პოლიტიკური ვითარება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება.

როგორც გუშინ ინტერ-პრესს ბაღაფშმა განუცხადა, იგი არჩევნების შემდეგ აფხაზეთში არსებული ვითარების დაძაბვას არ აპირებს და მზადაა ოპონენტებთან ვითარების განმუხტვის კომპრომისული ვარიანტების განსახილველად.

ბაღაფშის განცხადებით, იგი აფხაზეთში ვითარების გამწვავების შემდეგ ჩადენილი ყველა დანაშაულის შესახებ ამომწურავ ინფორმაციას ფლობს და გაპრეზიდენტების შემთხვევაში საზოგადოებას დამნაშავეთა დასჯას ჰპირდება.

აკაბა ადანაშაულებს

მოსამართლე გიორგი აკაბა თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის მოქმედ პრეზიდენტს ვლადისლავ არძინბას მისი მმართველობის პერიოდში თავისუფალი აზრის დევნასა და საზოგადო მოღვაწეების ზურაბ აჩბას და იური ვორონოვის მკვლელობის დაკვეთაში ადანაშაულებს.

აღნიშნული განცხადება აკაბამ ადგილობრივი ტელევიზიით გამოსვლისას გააკეთა.

აკაბას მტკიცებით, იგი საკმარის ინფორმაციას ფლობს 1997 და 1999 წლებში საზოგადო მოღვაწეების, პროფესორ იური ვორონოვისა და ზურაბ აჩბას მკვლელობებთან დაკავშირებით.

მისი განმარტებით, ზურაბ აჩბა და იური ვორონოვი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მკაცრად აკრიტიკებდნენ არძინბას მიერ წარმოებულ პოლიტიკას და „პოლიტიკური ტერორის მსხვერპლიც გახდნენ“.

ინტერ-პრესი.

№ 259, კვირა, 7 ნოემბერი, 2004 წელი.

ჩვენებური

ის კაცი იყო, კაცი ბრძენი, ყარაჩოხელი...

ვინც კვდება თავის თავს უკვდებაო, ნათქვამია.

ასეა, მაგრამ გამონაკლისებიც არსებობს: ლევან ონიკოვი, უპირველეს ყოვლისა, თავის მეგობრებს, თავის საძმოს მოუკვდა.

სიკვდილის წინ, ზიარებისას, მოძღვარმა ჰკითხა: „გეშინიათ სიკვდილის“?

„არა, მამაო, მე სიცოცხლის არ მეშინოდა და სიკვდილის რატომ უნდა მეშინოდეს. იცით, რა ჰქვია სიკვდილს ქართულად? — გარდაცვალება, ანუ ერთი მდგომარეობის მეორით შეცვლა, ამიტომ საშიში არაფერია!“.

ეკლესიაში, პანაშვიდზე, მღვდელმა ლიტურგია შეაჩერა და ანთებული სანთლებით მდგარ თავჩაქინდრულ ხალხს მიმართა: „მართლაც განსაცვიფრებელი კაცი წავიდა. იცით, რა თქვა მან ბოლოს? მხოლოდ იმას ვნანობ, რომ მივდივარ და ჩემს მეგობრებს ვეღარ გამოვადგებიო“...

ასობით დამწუხრებული კაცი უჯდა ქელეხის სუფრას. ეს უჩვეულო მოვლენა იყო მოსკოვისათვის (ერსტ ნეიზვესტნი მის დაკრძალვაზე სპეციალურად ჩამოფრინდა ამერიკიდან). ისიც უჩვეულოა, რომ იმ დღის შემდეგ ოთხი წელიწადი გავიდა და „იტარ-ტასში“ ლევანის მაგიდა კვლავ ცარიელი დგას, ოთახებში კი მისი „მეგობრობის ათი დოგმატია“ გამოკრული, როგორც ხსოვნის დიდი საგალობელი.

თენგიზ აბულაძე და ლევან ონიკოვი.

ლევან ონიკოვი თელავში დაიბადა 1924 წელს. იქ დაიწყო სწავლა ქართულ სკოლაში. შემდეგ ოჯახი თბილისში გადმოვიდა და სიმწიფის ატესტატი დედაქალაქში მიიღო. ომის დროს საავიაციო ტექნიკუმში განაგრძელა სწავლა. რაც მთავარია, თავისი თაობის „პლეხანოველების“ სული და გული გახდა. ბრწყინვალე იუმორი, საოცარი ნაკითხობა, მეგობრობის გრძნობის უმაღლეს კატეგორიად აღიარება გამოარჩევდა არა მხოლოდ თანატოლებში, არამედ თავისზე ბევრად უმცროსებშიც და უფროსებშიც. იმ წლებში საფუძველჩაყრილი კაცური სიყვარულის, მაშინ ნაჭამი ფიცვერცხლის მადლი ბოლომდე გაჰყვათ ლევანსა და ვლადიმერ ბურაკოვსკის (ცნობილ ქირურგ-კარდიოლოგს), ევგენი პრიმაკოვს (თვალსაჩინო მეცნიერსა და სახელმწიფო მოღვაწეს), რეზო თაბუკაშვილს, ჭაბუა ამირეჯიბს, მელორ სტურუას, ოთარ თაქთაქიშვილს, დავით ჩხიკვიშვილს, სპარტაკ ბაღაშვილს, მიხეილ თუმანიშვილს, თენგიზ აბულაძეს, რეზო ჩხეიძეს, ნოდარ დუმბაძეს, ნოდარ ყიფშიძეს, მურმან ლებანიძეს, კოტე მახარაძეს, რამაზ ჩხიკვაძეს, დოდო აბაშიძეს, პოლიციის გენერლებს შოთა გორგოძეს, რობინზონ თუშურაშვილს... რომელ უბანში, რომელ წრეში არ ჰყავდა ძმაკაცები და პატივისმცემლები — სპორტსმენებში, „შავებში“, მძღოლებში, დალაქებში, მედუდუკეებში: გამოჩენილი მოკრივე ანდრო ნავასარდოვი თუ აღიარებული აშუღი გლახო ზახაროვი...

დედის — მარო აბულაძის გარდაცვალების შემდეგ, 1947 წელს, რუსეთს მიაშურა და მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტში ჩააბარა გამოცდები. სტუდენტობის წლებში გამოირჩეოდა ფართო და ღრმა განათლებით, აზრის გადმოცემის და მსმენელის დარწმუნების უნარით, მსჯელობის სიცინცხალით, ნათლად წერის კულტურით, სიბრძნით. „ჩარადეის“ ეძახდნენ. იმდენად გამოირჩეოდა, რომ ხმამ ამის შესახებ სტალინის ყურამდე მიაღწია და სამომავლო გზა გაუწალდა.

ინსტიტუტის დამთავრების უმალ სამიოდ წლით კომპარტიის ესტონეთის ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიის განყოფილებაში მიავლინეს, შემდეგ სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გადმოიყვანეს. იქ მუშაობდა სტალინის, ხრუშჩოვის, ბრეჟნევის, ანდროპოვის, ჩერნენკოს, გორბაჩოვის დროს, სანამ კომპარტია და სსრკ არ დაეცა და მოისრა.

მისი ასეთი პოლიტიკური სიცოცხლისუნარიანობა — თითქმის 40-წლიანი უწყვეტი კარიერა კომუნისტთა მთავარ ციტადელში, იშვიათი გამონაკლისია. ამის საფუძველი ლევანის შეუცვლელობა იყო, თორემ „რუხი კარდინალი“ მიხეილ სუსლოვი, რომელსაც ჭირივით ეჯავრებოდა ყველა „ნაცმენი“, განსაკუთრებით კავკასიელები, ძალისძალად იტანდა, რადგან უბრალოდ მაგიერს ვერ პოულობდა.

ასეთი პირქუში გარემოს მიუხედავად, ლევანმა შეინარჩუნა მეობა, გაუბზარავი კაცობა და სადი მსოფლმხედველობა, ღვთის რწმენა.

როცა იმპერიამ თქვენი ჭირი წაიღო, ლევანი „ნეზავისიმაია გაზეტასა“ და „იტარ-ტარში“ გადავიდა პოლიტიკურ მიმომხილველად. წერდა სხარტად, მომხიბვლელად, მართლად, თამამად გამოსცა არაერთი საინტერესო წიგნი, მათ შორის ისეთი ანალიზური, როგორიც არის „კრახის ანატომია, ანუ სკკპ ცკ შიგნიდან“. ამ წიგნს ბომბის აფეთქების ეფექტი ჰქონდა და უმალ ბესტსელერად იქცა.

თბილისს გიჟი იყო. ეამაყებოდა, თავისი სიჭაბუკის ქალაქის საპატიო მოქალაქედ რომ აირჩიეს. ყოველ წელს, გამოუტოვებლად ჩამოდიოდა „თბილისობაზე“. საყვარელ მეგობრებს, საყვარელ ქუჩებს მოეფერებოდა, მოილხენდა, ითამადებდა, ორ ფუთ ღვინოს დალევდა და მომავალი შეხვედრის ნატვრით აუყვებოდა თვითმფრინავის ტრაპს, — მითხრა ლევანის ბიძაშვილმა, პოლიციის გადამდგარმა პოლკოვნიკმა ლადო აბულაძემ.

საშინლად განიცდიდა, რომ ულმობელ დროს თავისი გაჰქონდა და მისი თაობის ბიჭები, სიყრმის მეგობრები თანდათან ეცლებოდნენ ხელიდან. ცრემლიანი ღიმილით იხსენებდა ნოდარ ყიფშიძესთან ერთად საავადმყოფოში როგორ მოინახულა გადადებული ნოდარ დუმბაძე. გამოჩენილ ექიმს მეგობარი მწერლისთვის გასამხნევებლად უცხოური მუდმივი კალამი მიურთმევია. ერთი ამას შეხედე, ლევან, — მძიმედ, მაგრამ ჩვეული იუმორით უთქვამს ნოდარ დუმბაძეს, — ამას ჰგონია, იმქვეყნიდანაც მოვწერ წერილებს“...

მოსკოვში მშვენიერი ოჯახი ჰქონდა. სანამ მეუღლე ცოცხალი ჰყავდა (იგი ლევანზე რამდენიმე წლით ადრე გარდაიცვალა) მისი ბინა მოსკოვის „ქართული ლობის“ (მასში ქართველებთან ერთად „პროქართველი“ რუსებიც შედიოდნენ) „შტაბბინა“ იყო. მასთან იყრიდნენ თავს გია დანელია, ევგენი პრიმაკოვი, მარლენ ხუციევი, ლევ კულიჯანოვი, სერგეი ბონდარჩუკი, ბულატ ოკუჯავა... ის იყო თბილისელების, ქართველების ხელის გამმართავი და დამხმარე. მასზე მოსკოვში წიგნიც კი გამოვიდა რუსულ ენაზე — „ყარაჩოხელი“.

2000 წლის 17 ოქტომბერს გარდაიცვალა, წლეულს, შემოდგომაზე მას 80 წელი შეუსრულდებოდა. დარჩა სამი შვილი და სამი შვილიშვილი. რაც მთავარია, დარჩა ნათელი ხსოვნა და ქაღალდზე გადატანილი აზრები, რომლებშიც, როგორც სარკეში, არეკლილია ამ ნათელი კაცის ნათელი სული. დღეს მკითხველს გაზეთის მეოთხე გვერდზე ვთავაზობთ მათგან ერთ-ერთს — ზემოთ გაკვრით ნახსენებ „მეგობრობის ათ დოგმატს“, როგორც დიდი კაცის დიდბუნებოვნების თვალსაჩინო ნიმუშს. ის განსაკუთრებით აქტუალურია დღეს, როდესაც დავიწყებას ეძლევა ბევრი ტრადიცია და ადამიანთა, თაობათა შორის ურთიერთობების დამკვიდრებული წესები, რასაც საოცრად განიცდიდა.

„ის კაცი იყო, ვით შეჰფერის კაცსა კაცობა“...

ამქვეყნიდან არაორდინარული პიროვნების წასვლა დედამიწას აღარიბებს. ლევან ონიკოვის სიკვდილით მისი მშობლიური ქართული მიწაც გაღარიბდა, რომელზეც ის ლოცულობდა.

სანდრო ალექსიძე.

რას არ გაიგონებ!

«საქართველო იყო მათი საოცნებო სახელი»

საქართველო ის ქვეყანაა, სადაც ქალს ყოველთვის გამორჩეული პატივისცემით ეპყრობოდნენ და ამის მიზეზი უწინარესად თვითონ ქალები იყვნენ. ცნებას — ქართველი ქალი განყენებული ხასიათი არასოდეს ჰქონია. მისი შექმნა საუკუნეთა განმავლობაში ჩვენი დედების მიერ კონკრეტულად გამოვლენილმა თვისებებმა განაპირობა, და მაინც რა თვისებები იყო ეს? უწინარესად თავისუფლების სიყვარული და ღირსების დაცვა, რაც მათ ოდითგანვე მოსდგამდათ და რაც ოჯახისა და სამშობლოს ერთგულებას გულისხმობდა. ძველი ბერძენი ისტორიკოსი ქსენოფონტე (V-IV სს. ქრისტეს შობამდე) გაოცებით აღწერს, რომ, როცა ბერძნებმა ტაოხების ციხე-სიმაგრე აიღეს და შიგნით შეიჭრნენ, ქალებმა თავისუფლების დაკარგვისა და ღირსების შელახვას, არა მხოლოდ თავიანთი თავისთვის, არამედ შვილებისთვისაც, სიკვდილი ამჯობინეს: ისინი ჯერ ბავშვებს ისროდნენ უფსკრულში და შემდეგ თვითონაც თან მიჰყვებოდნენ.

თავისუფლებისა და ღირსების დაცვისთვის ბუნებით მიმადლებულ თავგანწირვის ნიჭს ქრისტეს სარწმუნოებამ ახალი ძალა და შინაარსი შესძინა. მტკიცედ ირწმუნეს რა მაცხოვრის მცნებათა ერთგულებით უკვდავების მოპოვებისა, ქართველი დედები შვილებს სამშობლოს ერთგულებასთან ერთად სარწმუნოების ერთგულებასაც აკვნიდანვე შთააგონებდნენ. მართლაც რა უსაზღვრო უნდა ყოფილიყო სიყვარული რწმენისა და მამულისა, რომ დედას მათი დაცვისთვის შვილის სიცოცხლის შეწირვა შეძლებოდა, ხოლო ეს სიყვარული რომ მართლაც ასეთი იყო, ამას ჩვენი ისტორიაც ადასტურებს: ასე გაზრდილი შვილები რომ არა, ჩვენი მცირერიცხოვანი ერი ურიცხვი მტრის გამკლავებასა და თავის გადარჩენას ვერაფრით შეძლებდა. ამიტომაც ჟღერს სრულიად ბუნებრივად სიტყვები, წმიდა ილია მართალმა ქართველ დედას განსაცდელში ჩავარდნილი მამულისთვის რომ ათქმევინა:

ეჰა, ამ დღისთვის გაგიზარდე,
მამულო შვილი,
სიცოცხლე მივეც, რომ შეიძლოს
შენთვის სიკვდილი
... ჩემი სიბერის სანუგეშოდ
ისღა მშთენია,
მაგრამ, მამულო, წაიყვანე,
დღეს ის შენია.

საქართველოს ისტორიულმა სინამდვილემ შთააგონა ვაჟა-ფშაველას შეექმნა სანათას სახე, რომელსაც სამშობლოს ბედ-იღბალზე ზრუნვასა და წუხილზე ხელი ვერც ბრძოლის ველზე შვიდი ვაჟისა და ქმრის ერთ დღეს დაცემამ ააღებინა, რომელთაც საფლავები საკუთარი ხელებით გაუთხარა:

შვიდი გავზარდე ვაჟკაცი,
თითო ლომისა დარია,
შვიდივ გამიწყდა ერთ დღესა,
მამაც იმათთან მკვდარია.
ხოშარის გორზე დავმარხენ,
თავზე დასტირის ქარია.
ორ კვირას საფლავებ ვთხარე,
იმათ თავშესაფარია.

ასეთ დედებს ნამდვილად შესწევდათ ძალა, რომ ომში მიმავალი შვილებისათვის ეთქვათ:

თუ ისარი ზურგში მოგხვდეთ,
არ დაიჭრათ მკერდები,
ხელმეორედ ნუ გენახოთ,
საქართველოს ქედები.

ხოლო როცა უთანასწორო ბრძოლაში ჩაბმულ ქართველ მხედართა რიგები ავისმომასწავებლად შეთხელდებოდა და ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხი დგებოდა, ქართველი ქალები თვითონაც იღებდნენ ხელში იარაღს და მამაკაცების მხარდამხარ იბრძოდნენ. ხალხის მეხსიერებამ რამდენიმე მათგანის სახელი შემოგვინახა: თინა წავკისელი, თამარ ვაშლოვნელი, მაია წყნეთელი... ფიზიკურად შედარებით სუსტ არსებებს სიყვარული აძლევდათ ძალას, რომ სიკვდილისათვის თვალი გაბედულად გაესწორებინათ. მაღალი იდეალებისთვის თავგანწირვის ენით უთქმელი სილამაზე ჩვენმა დიდებულმა პოეტმა ლადო ასათიანმა ისეთივე ძალდაუტანებელი და ლაღი სტრიქონებით გადმოგვცა, როგორი ძალდაუტანებელი და ლაღიც იყო სულისკვეთება ქართველი ქალებისა, რომელნიც თავისუფლებისა და ღირსების დაკარგვას მათი დაცვისათვის ბრძოლაში ქმრების, ძმებისა და მამების გვერდით სიკვდილს ამჯობინებდნენ:

მათი ხმალი ცეცხლს აფრქვევდა,
მტერი თრთოდა ვერანი,
საქართველოს ცის ფერს ჰგავდა
ფერი მათი მერანის,
სადაც უნდა ყოფილიყვნენ
მარად დაუზრახველნი —
საქართველო იყო მათი
საოცნებო სახელი.
სპარსეთში თუ დაღესტანში,
კრწანისთან თუ შამქორთან,
საქართველოს ერთი მუჭა
ცხელი მიწა თან ჰქონდათ.

მამულისთვის ამგვარი თავდადება ნიკოლოზ ბარათაშვილის თვალში ქართველ ქალებს წმინდანთა რანგამდე აღამაღლებდა. ამიტომაც იგრძნობა განსაკუთრებული კრძალვა მის მიმართვაში:

ჰოი დედანო, მარად ნეტარნო,
კურთხევა თქვენდა,
ტკბილსახსოვარნო.

ისტორიულად ქართველი კაცი, ერთი ხელით რომ გუთანს ეჭიდებოდა, მეორე ხელით თავდამსხმელთა მოსაგერიებლად ხმალს იქნევდა. ამგვარი ყოფა ქართველი ქალისაგან საოჯახო საქმეებშიც განსაკუთრებულ მხნეობას მოითხოვდა და ისიც ოჯახის უღელში ქმრის მეწყვილედ შებმული მას ვაჟკაცურად ეწეოდა. შესაძლებელია, მისი ეს თვისებაც იყოს მიზეზი ჩვენს ენაში ცოლ-ქმრული კავშირის გამოსახატავად სიტყვა „მეუღლეობის“ წარმოშობისა. როდის ეძინა, როდის ისვენებდა? თავისი თავის მისახედად როდისღა იცლიდა? მრავალი შვილის გამზრდელი, ქმარშვილისათვის ლამაზი გარემოს შექმნაზეც ზრუნავდა და მისივე დართული და შეღებილი ძაფებისაგან თვალის საამებელსა და გულის გამხარებელ ჭრელ ფარდაგებსა და ხალიჩებს ქსოვდა, რათა ყოველდღიური საზრუნავით დატვირთულებს ამ ქვეყნად სილამაზის არსებობა საბოლოოდ არ დავიწყებოდათ და მისკენ ლტოლვა არ ჩაქრობოდათ. ყველაფერთან ერთად პოეზიისთვისაც იცლიდა და სოფელ-ქვეყნისათვის თავდადებულთა საგმირო საქმეებს თუ პირად ინტიმურ გრძნობებს იმგვარი პოეტური სახეებით გადმოსცემდა, უკეთესის მოძებნა სიტყვის დიდოსტატებსაც რომ გაუჭირდებოდათ.

ჩვენი ერის განთქმული სტუმართმოყვარეობაც ხომ ქართველი ქალის სახელს უკავშირდება, რადგან სტუმრის შესაფერისად მიღება-გასტუმრება უწინარესად ქალის, ოჯახის დიასახლისის ღირსებებზეა დამოკიდებული.

ქართველი ქალი სათაყვანებელი და სადიდებელი გახდა ქართველი პოეტებისათვის, ხოლო ის, რაც მათ სიტყვით გამოხატეს, დიდმა მოქანდაკემ ელგუჯა ამაშუკელმა ქანდაკების ენაზე აამეტყველა. მისი ბრწყინვალე ქანდაკება „ქართვლის დედა“, რომელიც უკვე ნახევარი საუკუნეა გადმოჰყურებს თბილისს, ხელოვნების ამ დარგისათვის დამახასიათებელი ლაკონური ენით გამოხატავს ქართველი ქალის ფენომენს, რომელიც უწინარესად მოყვრისთვის მოყვრულად და მტრისთვის მტრულად დახვედრას გულისხმობს. არ გვეგონა თუ ამ საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტების ვინმესთვის გამეორება დაგვჭირდებოდა, მაგრამ ეს ე.წ. ელიტური საზოგადოების ერთ ნაწილში ქართველი ქალის ხმლიანი ქანდაკების მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულებების საეჭვოობის შესახებ წარმოშობილმა მითქმა-მოთქმამ გვაიძულა. ამგვარი თვალსაზრისისათვის პასუხის გაცემა მით უმეტეს საჭიროდ ჩავთვალეთ მას შემდეგ, რაც დაიწერა კიდევაც, რომ საბედნიეროდ „მონუმენტური წესრიგი“ ნარიყალას ქართვლის დედისა, „რომელსაც ნამდვილი ქალური ვნებები ხმალში აქვს მოთოკილი“, დაიშალა, რისი წყალობითაც „ქალის იდეა ქართულ პოეზიაში გადარჩა“.

ქართულ პოეზიაში ქალის იდეის გადარჩენაზე რა მოგახსენოთ, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც გავიხსენეთ ჩვენი დიდი პოეტები ამ საკითხზე რა აზრისანი იყვნენ, მაგრამ ის კი არა გვგონია საკამათო იყოს, რომ ხმალი ქართვლის დედის ხელში არა დათრგუნულ ვნებებზე, არამედ ჩვენს ისტორიაზე მიანიშნებს, რომელმაც თავისი სიმკაცრის მიუხედავად ჩვენს დედებს სინაზე და მოკრძალება ვერ წაართვა. ეს თვით ძეგლის ავტორმაც შესანიშნავად იცოდა და ხმლიან დედას ბუნებით მიმადლებული ქალური სინაზე და მოკრძალება თავდახრილი დგომის მანერით შეუნარჩუნა.

დღეს ყველა ვხედავთ, რომ საზოგადოებისთვის თავისუფლებისა და ზნეობრივი თავაშვებულობის სინონიმებად წარმოდგენისთვის გულმოდგინე გარჯამ და ეროვნულ ცნობიერებაზე განსაკუთრებული ძალისხმევით გალაშქრებამ ნაწილობრივ ნაყოფი უკვე გამოიღო, რის გამოც უფრო მეტი საფუძველი გვაქვს ნიკოლოზ ბარათაშვილის ძველი ქართველი დედებისადმი მიმართული სტრიქონების განმეორებისა, რომელშიაც პოეტი მისი თანამედროვე ქართველი ქალების მამულის ბედზე გაგულგრილების გამო გულისტკივილს გამოხატავდა:

რა იქნებოდა რომ ჩვენთა დედათ
გულიცა თქვენი გამოჰყოლოდათ,
ვინღა ჰყავს გულისშემატკივარი
მამულს ასული ახლა თქვენგვარი?

ვფიქრობ, ამგვარ სიტუაციაში ძველი ქართველი დედებისადმი, რომელსაც სიმბოლურად „ქართვლის დედა“ განასახიერებს, სრულიად გაუმართლებელი კრიტიკული დამოკიდებულების გამომჟღავნებაზე უკეთესი ჩვენი თანამედროვე დედებისთვის მათი მაგალითებად დასახვა და მთელი ერის სახელით მათთვის წმიდა ილია მართლის თხოვნის განმეორება იქნებოდა:

დედავ, ისმინე ქართვლის ვედრება,
ისე აღზარდე შენ შვილის სული
რომ წინ წარუძღვეს ჭეშმარიტება,
უკან ჰრჩეს კვალი განათლებული.

გვანცა კოპლატაძე.

ინფორმაცია

სახალხო დამცველი ამოქმედდა

სახალხო დამცველის რეაგირების შედეგად სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებიდან მსჯავრდებული ბესიკ მეჩხია გათავისუფლდა.

სახალხო დამცველის აპარატის მონაცემებით, მსჯავრდებული ციხის საავადმყოფოში „ბ“ და „ც“ ჰეპატიტისა და შაქრიანი დიაბეტის დიაგნოზით მოხვდა. მკურნალობის კურსის გავლის მიუხედავად, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ბოლო პერიოდში მკვეთრად გაუარესდა.

სახალხო დამცველის აპარატის განმარტებით, პატიმრის სამედიცინო ცნობაში აღნიშნული იყო დაავადებების მთელი კომპლექსი, რომელიც ჯანდაცვის მინისტრის 2003 წლის 27 მარტის ბრძანების თანახმად, მისი სასჯელის მოხდისგან გათავისუფლების საფუძველს წარმოადგენდა.

სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა ბესიკ მეჩხია მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში 3 ნოემბერს მოინახულეს.

ინტერ-პრესი.

სიტყვა მეგობარ მწერალზე

უწაუწა ნოველა და მისი ავტორი

„პირველად აქ გაიგებ, რა უჭირს და რა ულხინს მშრომელ ადამიანს, მეორეც — ბაზარში მარტო სურსათი კი არა, სიტყვაც მოაქვთ, ესა თუ ის გამოთქმა, ანდაზა, ლექსი, ნაკვესი“...

გალაკტიონი

(პავლე ფირფილაშვილის მოგონებიდან)

ამას წინათ, რეზო მიშველაძეს ახალი ლექსები მივუტანე. გამომართვა ხელნაწერი და დაიწყო კითხვა, ხმადაბლა, მაგრამ ისე, მეც რომ გამეგონა...

წვრილად ვწერ, გადაბმულად; უჭირთ ჩემი ხელნაწერის ამოკითხვა რედაქციაში, გადაბეჭდეო, მეუბნებიან. მე კი საბეჭდი მანქანა და კომპიუტერი არა მაქვს და ვჯახირობ ასე.

რეზომ შეუფერხებლად წაიკითხა ჩემი ხელნაწერი.

ეს ქართველი პროზაიკოსი, როგორც ყველამ იცის, პედაგოგიც გახლავთ (ლექტორი), პროფესორი, უახლესი ქართული ლიტერატურის კათედრის გამგე, მწერალთა კავშირის მდივანი, — ხშირად უწევს სტუდენტთა (აგრეთვე ახალბედა პოეტებისა და პროზაიკოსების) ხელნაწერთა გადაკითხვა და ალბათ, ამან განაპირობა ჩემი ხელნაწერის თავისუფლად წაკითხვა-მეთქი, გავიფიქრე, და თითქოს გულში ჩამხედაო, მითხრა:

— ქართული ასო-ნიშნების სიყვარული სკოლის მერხიდან მომყვება, რამდენი კაციცაა, იმდენი კალიგრაფიაა, იმდენი ხელი, შენ ნამეტანი ხელმომჭირნეობ, წვრილად წერ, ეს ქაღალდის უქონლობიდან მოდის თუ რჯულში გაქვს? დამკბინეს ჭიანჭველებმა, მაგრამ გავუძლებ, მთავარია ჭიანჭველებივით იმუშაონ სიტყვებმა.

— ზოგი უშრომელი ჭიანჭველასტრიქონი ხომ არ ურევია ამ ხელნაწერში? — ვკითხე.

— ცუდი ვის არ გამოერევა, მაგრამ ამისთვის მთელი ოჯახის ამოწყვეტა არ იქნება.

წაკითხულიდან: რუბენ დარიოს ცოლი, პოეტის გარდაცვალებიდან მოკიდებული, მთელი თავისი ცხოვრება ჭიანჭველებს აპურებდა.

რეზო მიშველაძე:

— ფუტკრები არიან სიტყვები, კაცს რომ თაფლი მისცეს და ღმერთს სანთელი, როგორც ამბობდა ჩვენი შოთა ნიშნიანიძე. რა წვითა და დაგვით აგროვებენ ნექტარს. სკა — ფორმაა, თაფლი — შინაარსი; — გააჩნია, სადაური თაფლია და რისი თაფლი: მინვდრის ყვავილების, ცაცხვისა თუ დაფნის ყვავილების.

რეზო მიშველაძე მთელი წლის განმავლობაში ბეჭდავდა ერთ-ერთ გაზეთში ნოველებს, ყოველკვირეულად, თითო ნოველას.

საიდან ამდენი დრო?

— „მუშა მუდამ 18 წლისაა“ (პაზოლინი).

ეს თქვა პოეტმა.

...„მოდიან უმუშევარი მუშები“.

ესეც პოეტის გამონათქვამია.

ჩვენებურად: უთოხო მთოხნელები.

— მომიტინგეები, დემონსტრანტები...

— უკალმო მწერლები?

უმუშევარმა მუშებმა და უთოხო მთოხნელებმა მოიყოლიეს უკალმო მწერლები.

პრეზიდენტი მამა-მარჩენალია, რომელიც აპურებს უმუშევარ მუშებს, უთოხო მთოხნელებს, უკალმო მწერლებს...

ზღაპრის ჩიტი ბარტყებს იმიტომ აპურებს, რომ ბარტყმა ფრენა ისწავლოს (მარტოკამ) და ლუკმა-პურის მოპოვება.

„არ გათოხნი, არ მოგივა,
არ გამარგლავ, ტყე მოგივა“.

მაგრამ თოხი რომ დაიკარგა? კალამი რომ დაიკარგა? ყველას არ დაუკარგავს, ცხადია.

რეზო მიშველაძე შრომობს ნიადაგ, შეუსვენებლივ. წერა — მისი



პროფესიაა, მისი მთავარი საქმე, ვენახი და ყანა. მას შეუძლია ნებისმიერი საგანი, მოვლენა აღწეროს. იგი უებრო მოამბეა. ის არის, რაც არის პროზა სინამდვილეში, არის კი ისეთი მოვლენა, ამბავი, სიტუაცია, რასაც ის ვერ აღწერს?

სხვა საქმეა, ცხადია, როგორ!

ჩამოვტეხოთ მწერლის შემოქმედების ყანას ერთი ტარო (ერთი ნოველა), გავქურჩნოთ, გამოვუჩინოთ კბილები — სიტყვები, თეთრი სიტყვები, ათასში ერთხელ ყვითელსაც რომ გაირევენ. ნოველას ეწოდება:

„მტრედი თავდაღმა ჰკიდია“.

პალატაში სამი „ავადმყოფია“.

...„ერთი ქაქუთელი დიაკვანია, დღემუდამ ლოცულობს, ვეკითხები, ვისთვის ლოცულობ ამდენსთქვა, ვინც მე აქ შემომაგდოვო; მეორე, პატრიკეთელი სინაურიძეა, მატარებელი უყიდია საწყალს, სახლი გავყიდეო (რ. ფროსტის ერთ-ერთი ლექსის გმირმა სახლ-კარი გაჰყიდა და ტელესკოპი შეიძინა), ჰოდა, მოუპარავთ ღამე, როცა ეძინა, ის მატარებელი და ამის ბარობაზე გაგიჟებულა“.

მესამე თვად ნოველის გმირია.

„სანერვიულო ხომ არ შეგემთხვა?“ — ეკითხება მას ექიმი (ავტორი).

„სანერვიულოა ირგვლივ ყველაფერი...“

ამ ესეის პირველი პირი რომ რედაქციაში მივიტანე, მირჩიეს, იქნება შეამციროთო, ვამცირებ, მაგრამ, ვატყობ, არაფერი გამომდის, ამ ნოველის ყოველი სიტყვა თავის ალაგას ზის (აუცილებელია) და როგორ გინდა რომ შეამცირო. ამ პასაჟს კი ვერ შევველევი:

„სანერვიულოა ირგვლივ ყველაფერი... კაჭკაჭი რომ ზის გზის პირას, ხეზე. ლამაზ ფრთებს რომ გაშლის და დაეშვება ასფალტზე, რალაცა არის ასაკენკი იქანა. გასკუპგამოსკუპდება კაჭკაჭი, ნისკარტის ჩაკვრას ვერ მოასწრებს და მოშხუილდება მანქანა, აფრინდება კაჭკაჭი ხეზე. ჩაიქროლებს მანქანა, ისევ დაეშვება ასფალტზე. სკუპ, სკუპ, მიაგნო, როგორც იქნა, დაარტყა ნისკარტი მარცვალს და მოშხუის მორიგი მანქანა... აფრინდება ისევ კაჭკაჭი... ასე წვალობს მთელი დღე. არ არის ეს სანერვიულო?“

„ეგრე რომ გავყვეთ...“

„გაყოლით არ გაყვები, მარა თვალსაც ვერ დახუჭავ.... ა, ჩემსას მოგიყვები, მივდივარ დილით სამსახურში... ვხედავ, პენსიონერ კიკნაძეს კიბე მიედგა ანძაზე და ქუჩის დენი სახლში შეჰყავდა...“

ის. მე-4 გვ.

ინფორმაცია

კახელები პირუმტკიცობას აპროტესტებენ

კახეთიდან ჩამოსული გლეხები რამდენიმე დღეა, სახელმწიფო კანცელარიასთან აქციას მართავენ და საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრს დავით შერვაშიძეს პირობის დარღვევაში ადანაშაულებენ.

მათი განცხადებით, დავით შერვაშიძე თვენახევრის წინათ ჩაბარებული ყურძნის სანაცვლოდ გლეხებს თანხის მიცემას დაჰპირდა, მაგრამ პირობა პირობად დარჩა.

„შერვაშიძე დაგვპირდა, რომ თანხას ოც დღეში მივიღებდით, მაგრამ როგორც ჩანს, მოგვატყუა, ამიტომ დახმარებას საქართველოს მთავრობასა და პრეზიდენტს ვთხოვთ“ - აცხადებენ კანცელარიის წინ შეკრებილი გლეხები.

ბჭობენ ენდოკრინოლოგები

სასტუმრო „ქორთიად მარიოტში“ გუშინ დსთ-ის ქვეყნების ენდოკრინოლოგთა პირველი რეგიონული კონფერენცია გაიმართა.

მასში დსთ-ის ქვეყნების ცნობილ ენდოკრინოლოგებთან ერთად საქართველოს რეგიონებიდან მოწვეული 260 სპეციალისტი მონაწილეობდა.

ღონისძიების ფარგლებში „თბილისის დეკლარაცია“ შემუშავდა.

სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ გუშინ ენდოკრინოლოგთა პირველი ყრილობა გაიხსნა. კონფერენციაც ამ ყრილობის ფარგლებში მიმდინარეობს.

ინტერ-პრესი.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 259, კვირა, 7 ნოემბერი, 2004 წელი.

ჩვენებურები

ლევან ონიკოვი

სულის სიმშვიდის მოსაპოვებლად

მეგობრობის ათი მცნების შესახებ

მეგობრობაზე უამრავი თქმულება აქვს მსოფლიოს ყველა ხალხს, ამ ფენომენს ეძღვნება მრავალი ანდაზა, აფორიზმი, გამონათქვამი, ფრთიანი ფრაზა და ასე შემდეგ.

ბედმა გამიღიმა, დავიბადე იღბლიან ვარსკვლავზე, რომელმაც იცის, თუ რა არის მეგობრობა. მე ვიცი მისი ფასი. ნახევარ საუკუნეზე მეტია, ჩემს ირგვლივ მრავალი მეგობარია, ამ დროის განმავლობაში ერთხელაც არ დავრჩენილვარ მარტო, ისე, რომ არ მეგრძნოს მათი სითბო და მზრუნველობა.

მაგრამ ეს მხოლოდ იღბალი კი არა, მძიმე ტვირთიცაა, განსაკუთრებით, ჩვენი ზნეობრივი უდროობის ჟამს, როცა მეგობრობის წმინდა ცნება, რომელსაც შევფიცეთ ერთგულება სიჭაბუკის წლებში, ზოგჯერ სარფიან გარიგებამდეა დაყვანილი, მისი საზომი კი დოლარები ხდება.

ასეთ შემთხვევაში, დუმილი დანაშაულის ტოლფასია. ზნეობრივი მოვალეობა მაიძულებს ამ ხანდაზმულ ადამიანს, ვილაპარაკო მეგობრობის კანონებზე, ნორმებსა და პრინციპებზე, ისეთებზე, როგორიც მე ჩამომიყალიბდა უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, უფრო ზუსტად კი — 70 წელი. ამას მაიძულებს მოვალეობა როგორც ჩემი ამჟამად ცოცხალი მეგობრების, ისე იმათი სულის წინაშე, რომლებმაც საუკუნო სასუფეველი ჰპოვეს.

ახლა ჩამოვაყალიბოთ მეგობრობის ის მცნებები, თუ გნებავთ კოდექსი, კატეხიზმო, რომლისაც მწამს, და რომელსაც განუხრელად ვიცავ.

ჭეშმარიტი მეგობრობის **პირველი მცნება** გვასწავლის, რომ გვიყვარდეს მეგობარი როგორც საკუთარი თავი. მისი გაჭირვება და უბედურება – შენი უბედურებაცაა. ჩვენს ცოდვილ საუკუნეში ქრისტეს მცნება „გიყვარდეს მოყვასი შენი", ჯერ კიდევ საკმაოდ შორს დგას აღსრულებისგან. მაგრამ ეს მცნება, თუნდაც მეგობართან ურთიერთობაში, უნდა ბატონობდეს. მეგობარზე უფრო დიდი ღირებულება დედამიწაზე შეიძლება იყოს მხოლოდ დედა, მამა, შვილები, შვილიშვილები, სამშობლო. ჭეშმარიტი საყვარელი მეგობარი ღვიძლი ძმისაგან განურჩეველია.

ჭეშმარიტი მეგობრობის **მეორე მცნება** მოითხოვს, რომ მეგობრობის დროს იყოს სრული თანასწორობა. მეგობრობაში ყველა თანასწორია, სწორედ ეს არის მისი საფუძველი. არავინ არ არის ვინმეზე მეტი. ერთადერთი სხვაობაა ასაკი, მაგრამ ისიც მხოლოდ პატივისცემის თვალსაზრისით.

მეგობრებს შორის იმაზე ლაპარაკი, თუ ვის ვისთვის უფრო მეტი გაუკეთებია, ცოდვის ტოლფასია. აქ ყველა თანაბრად არის მოვალე ერთმანეთის წინაშე და არავინ არ არის ვინმეს მიმართ დავალებული. ყველაზე უკეთ ამის შესახებ თქვა დიოგენემ: „როცა მე მიჭირს ფული, არ ვეუბნები მეგობრებს მასესხონ. მხოლოდ ამას ვამბობ: დამიბრუნეთ ჩემი ვალი".

ჭეშმარიტი მეგობრობის **მესამე მცნება** გამორიცხავს საკითხს მეგობრის ეროვნების ან მისი აღმსარებლობის შესახებ, რადგან მეგობრობა ზოგად-საკაცობრიო ცნებაა, ეროვნული დაყოფა კი შხამია მეგობრობისათვის, განსაკუთრებით — ნაციონალიზმით მოწამლულ ჩვენს საუკუნეში. ადამიანს ცხოვრებაში იმდენი უბედურება და იმედის გაცრუება ელის, ხოლო სიცოცხლე კი ისე ხანმოკლეა, რომ ადამიანებს შორის მეგობრობა არ შეიძლებოდა არ წარმოქმნილიყო ეროვნებისა და რელიგიის მიუხედავად, და ამან არ უნდა შეუშალოს მას ხელი.

ჭეშმარიტი მეგობრობის **მეოთხე მცნება** ღაღადებს: თუ შენ განაწყენდი მეგობარზე, ამის შესახებ პირველმა უნდა გაიგოს მან და არა ვინმე სხვამ. თანაც, მან ეს უნდა შეიტყოს შენგან და არა მესამე ადამიანისგან. ეს პრინციპი საკმაოდ ხშირად ირღვევა, რაც მეგობრობისთვის დამღუპველია.

ჭეშმარიტი მეგობრობის **მეხუთე მცნება** გვავალებს წინასწარ ვიცოდეთ, თუ რას გვთხოვს ჩვენი მეგობარი, გავიგოთ მისი გასაჭირი, არ მივიყვანოთ საქმე იქამდე, რომ მან თხოვნით მოგვმართოს. შენ თვითონ პირველმა უნდა დაინახო და შეიგნო ყოველივე ეს და შესთავაზო დახმარება. ამის მიღწევა, სამწუხაროდ, ყოველთვის როდი ხერხდება. მაგრამ თუ ხედავ, რომ მეგობარი გასაჭირშია, პირველად მის დასახმარებლად, რა ფორმითაც არ უნდა იყოს ეს, უნდა მიხვიდე შენ, ისე, რომ არ დაელოდო, სანამ იგი თვითონ გთხოვდეს დახმარებას. ამ დროს არ უნდა იფიქრო იმაზე, თუ რა მოჰყვება შენს ამ საქციელს. ჯერ დაეხმარე მეგობარს, ასეთი დახმარების შედეგებზე კი იფიქრე შემდეგ. ამას მოითხოვს მეგობრობის კანონი.

ჭეშმარიტი მეგობრობის **მეექვსე მცნება** კრძალავს მეგობრის სახელის გამოყენებას შენი ინტერესებისათვის ან მეგობრის დამოწმებას მის შეუთანხმებლად. ის, ვისაც მეგობრობა მხოლოდ პირადი სარგებელის მიღებამდე დაჰყავს, კლავს მას. ნუ მიმართავ მეგობარს დახმარებისათვის, თუ იცი, რომ შენი დახმარების დროს მას მოუწევს უღალატოს თავის პრინციპებს, უხერხულ მდგომარეობაში ჩაიყენოს თავი. თუ მეგობარი უარს გეტყვის ასეთ დახმარებაზე, ეს მეგობრობის დარღვევის საბაბი არ უნდა იყოს.

ჭეშმარიტი მეგობრობის **მეშვიდე მცნება:** თუ გრძნობ, რომ მეგობარი შენზე ნაწყენია, უწინარეს ყოვლისა, ჩაფიქრდი, შენ თვითონვე ხომ არ მიეცი მას მიზეზი წყენისთვის, თუ ასეთ საბაბს ვერ იპოვი, ჰკითხე მას, მართლა ნაწყენია იგი თუ შენ უბრალოდ ასე მოგეჩვენა. თუ მეგობარი მართლაც ნაწყენია, უწინარეს ყოვლისა, თქვენ ორმა უნდა გაარკვიოთ, რომელია თქვენში მართალი, სცადოთ შერიგება, და არა უთანხმოების კიდევ უფრო გაღვივება. თუ უთანხმოება დაუძლეველია, მაშინ სცადეთ, რომ ამაზე იმსჯელოთ სხვების, მაგრამ უთუოდ საერთო მეგობრების წრეში, უცხოების გარეშე, ეცადეთ მიაღწიოთ თანხმობას. თუ ამის შემდეგაც დარწმუნებული ხარ, რომ შენი მეგობარი უსამართლოდ მოგექცა, მასთან უნდა გაწყვიტო ყველა ურთიერთობა. თუ მოგვიანებით მეგობარმა აღიარა თავისი შეცდომა, და ამ შეცდომას არავისთვის არ მიუყენებია ზიანი, უნდა შეუნდო მეგობარს, აღადგინოთ ძველი ურთიერთობა და აღარ გაიხსენოთ ეს უსიამოვნო ამბავი.

მეგობრობის **მერვე მცნება** გვავალებს ყველგან და ყოველთვის დავიცვათ მეგობრის ღირსება და ავტორიტეტი. კერძოდ, თუ მისი მისამართით ვინმე ცილისწამებას გამოთქვამს, თანაც იმ დროს, როცა იქ შენი მეგობარი არ იმყოფება, ამან შენ გულგრილი არ უნდა დაგტოვოს და საკადრისი პასუხი უნდა გასცე ასეთ ბრალდებას, ნებისმიერ შემთხვევაში უნდა მოახერხო ამის აღკვეთა. ან ამ ადამიანს უნდა შესთავაზო საუბარი განაგრძოს შენი იმ მეგობრის თანდასწრებით, რომელსაც აუგად მოიხსენიებდა, ან თავაზიანად უნდა სთხოვო, რომ შენთან ამ თემაზე შეწყვიტოს ლაპარაკი.

მეგობრობის **მეცხრე მცნება** ითვალისწინებს, რომ პირადი, ოჯახური თუ ინტიმური უსიამოვნების დროს მეგობარს ტაქტიანად შესთავაზო დახმარება. თუ მეგობარი ამაზე უარს გეტყვის, უნდა გაჩუმდე და შემდგომში არასდროს აღარ დაუბრუნდე ამ თემას. არ უნდა ჩაყო ცხვირი სხვის საქმეებში!

ჭეშმარიტი მეგობრობის **მეათე მცნება** გვავალდებულებს, რომ მუდამ გვახსოვდნენ გარდაცვლილი მეგობრები. სუფრაზე აუცილებლად უნდა გაიხსენო ისინი, მაგრამ ერთი რამ არ უნდა დაივიწყო: ამ დროს უნდა გაიხსენო ან ყველა გარდაცვლილი მეგობარი ისე, რომ არ ჩამოთვალო მათი სახელები, ან სახელით ახსენო მხოლოდ ერთი, მაგრამ მაშინ, როცა არის ამისი საბაბი. მეგობრის გარდაცვალების წლისთავი, დაბადების დღე თუ სხვა. დაუშვებელია, ერთბაშად რამდენიმე მეგობრის ხსენება, რადგან, ღმერთმა ნუ ქნას, შეიძლება ვიღაც გამოგრჩეს, ეს კი მძიმე ცოდვაა. ძველი ქართული ადათით, გარდაცვლილი მეგობრები, როცა ჩვენ, ცოცხლები მათი ხსოვნის შესანდობარს ვსვამთ, ამ დროს მდუმარედ დაეშვებიან მუხლებზე ცარიელი ფიალით ხელში. როცა ჩვენ ვიხსენებთ მათ სახელებს, თითოეულს, რომელსაც ვახსენებთ, ღვინით ევსება ფიალა, ისინი კი, ვინც გამოგერჩება, ცარიელი ფიალით რჩებიან და ამით ჩრდილს ვაყენებთ იმათ ნათელ ხსოვნას.

დაბოლოს. მეგობრობის მთელი სიმდიდრის ამ თითზე ჩამოსათვლელ თეზისებში ჩატევა რომ სცადო კაცმა, მეტი რომ არა ვთქვათ, გულუბრყვილობა იქნება, სისულელე თუ არა. მე მხოლოდ ის ვთქვი, რაც შემეძლო და ამით შვება მივანიჭე ჩემს სულს და იმედს, რომ სხვებიც იგივეს გააკეთებენ.

სიტყვა მეგობარ მწერალზე

(მესამე გვერდიდან)

უწაუწა ნოველა და მისი ავტორი

ამ ფრაზაში, ჩემი აზრით, მთელი ჩვენი ქვეყნის სადღეისო ვითარებაა გამოფენილი.

ასწია თავი ნოველის გმირმა და დაინახა:

„მტრედი თავდაღმა ჰკიდია. კონსერვის ქილა აქვს ფეხზე გამობმული და ისეთ უბედურ ადგილასაა გაჩხერილი საწვიმარზე, რომ ვერ მიუდგები ვერაფრით..."

ბევრი ეცადა კაცი მტრედი გაენთავისუფლებინა, მაგრამ ვერ მოახერხა.

„მირჩიეს, წადი, ტრანსპორტის სამმართველოში, ამწე მოიყვანე და ხელით ჩამოხსნიანო. წავედი. ხონის გადასახვევთან გადაუტანიათ. ახლა ყველაფერს დეპარტამენტი ჰქვია (გავუსვათ ხაზი და მივყვეთ ტექსტს) – უფასო არაა. მოადგილე დალოცოს ღმერთმა. მოადგილესთან შეხვალ როცა გინდა და გამოხვალ..."

გარაჟისკენ გაასწავლეს. ნახა, როგორც იქნა, ამწეს შოფერი.

„სამი თვეა მოტორი ამოღებული მაქვს. რა გიშველო; მეტი არაფერი მახსოვს, გონს პალატაში მოვედი. ხელფეხი ზეწრით მქონდა შეკრული და თავზე ოთხი ექიმი მადგა. სიცხეს მიზომავდნენ და წნევას მისინჯავდნენ. სიცხემ თუ ამიწია, ან თუ წნევა მომაწვა, მე ვერ გევიგებ? სიცხემ შეცივება იცის და სახსრებში ტეხვა, წნევამ ყურებში შუილი. არ ვარ მართალი?!"

ავტორი (ექიმი):

„წამლები დავუნიშნე. სასწრაფოდ ჩავიცვი და ჯაჭვის ხიდისკენ გავიქეცი. ერთ მომცრო მიტინგს რომ შეეფრება, იმდენი კაცი დგას კუთხის სახლთან. მტრედი ცალ ფეხზე ჰკიდია. ტრანსპორტის დეპარტამენტში უნდა გავიქცე".

ეს რომ წავიკითხე, ნოველის არშიაზე მივაწერე:

...ახლა ალბათ ამასაც იქ მიაბრძანებენ-მეთქი.

მერე მე მიმარბენინებენ, მერე შენ, მერე იმას, ყველას, ყველას, ვინც ღრმად ჩაუფიქრდება და გულთან ახლოს მიიტანს თავდაღმა დაკიდული მტრედის ტრაგედიას.

მაგრამ რამდენი ასეთი „გიჟი" მოიძევება საქართველოში?

ნოველა გრძელდება – იწყება ახალი ნოველა, ფარული, გამოუფენელი, რასაც ქვეტექსტსა და ქვეცნობიერს ვეძახით, რაც რეზო მიშველაძის ნაწარმოებების უმთავრესი მახასიათებელია...

* * *

...რეზო მიშველაძე ჩვენი თანამედროვეობის ბარომეტრია. მისი მაჯის შემატყობარი. ისაა, რაცა ვართ ჩვენ ისაა, რაც არა ვართ ჩვენ. რაც უნდა ვიყოთ. სარეცენზიო ნოველის ავტორი – ქმარი პროფესიით ექიმია („ექიმის წინაშე კეისარიც არაფერია", მარგერიტ იურსენარი), სხვაგან ის შოფერია („შოფრებს არ უყვართ შენიშვნას რომ აძლევენ", **რ. მ.**), სხვაგან პედაგოგია, მშენებელი, გენერალი, „კანონიერი ქურდი" და ა. შ. მართალი, მტყუანი, კარგი, ცუდი, შესანიშნავი, შეუნიშნავი, მთქმელი, არამთქმელი, როგორიც არის ენა ჩვენი ი. აბაშიძის გენიალური განსაზღვრებით. და მაინც, უფრო მთქმელი; მარადი პოეტის გამონათქვამს „**ზოგჯერ თქმა სჯობს**", – პირველი სიტყვა რომ ჩამოვაშოროთ, იგი მუდამ ამბობს იმას, რაც აუცილებელია: ეკამათება პარლამენტს, მთავრობას, მეგობარ მწერლებს, არა-მწერლებს, ხმამაღლა, პირში და არა პირს-უკან, ზურგს უკან, ცდება კიდევაც, შეუძლია დღეს სხვა თქვას და ხვალე სხვა, „არ ესდევ ჟამთა ცვლას" არ ნიშნავს მუდამ ერთ აზრზე დგომას. ჟამთა ცვლას იგი აზრთა ცვლას უსადაგებს და არის ისეთი, როგორიც არის: „მე ახლა ასე ვფიქრობ", „მე ახლა ასე მგონია", სულმნათი აკაკი ამბობდა: „ნურავინ იტყვის მომავალში ამას ვიზამ და იმას არ ვიზამო". ასე და ამგვარად. ყოველგვარი გეგმიანობის გარეშე. მწერალთა სასახლეს აწვიმს. აწვიმდა. თავდადების ტოლფასი იყო, ჩემი აზრით, რაც მან გააკეთა. რკინის ქალამნები ჩაიცვა ამ გაგანია ზაფხულში და ქვეყანა მოიარა, და ჩვენს ხელმომჭირნე ხელოვნებას 600 კვ. მ. თუნუქი გამოჰგლიჯა, ფეხი არ მოიცვალა, ვიდრე მწერალთა სასახლეს გადახურავდნენ... გეგმა სხვაა, იდეა სხვა. როგორ გინდა დაგეგმო, როგორი ამინდი გამოვა. ცდებიან სინოპტიკოსებიც. არაგეგმიურია წყალდიდობა, ზვავი, ტაიფუნი, მიწისძვრა. რეზო მიშველაძე წამიერის აღმწერია და აღმნუსხველი. წამი – წუთის ნათესავია, წელიწადის ნაწილია. წამი კი ჩვენი თანამედროვეა, რეალობაა.

„მტრედი თავდაღმა ჰკიდია".

– მტრედი მე ვარ, შენ ხარ, იგია... და ფიქრს რომ გავუყვეთ, შენი და ჩემი საქართველოა. მტრედი იმ დღეს უამრავმა ამვლელ-ჩამომვლელმა ნახა. მაგრამ".

ვინაც მტრედის შველა დააპირა, კარგად ვიცით, რა ბედი ეწია.

„მტრედი თავდაღმა ჰკიდია".

მტრედია იგი, ვინაც მტრედი თავდაღმა დაჰკიდა.

მტრედია იგიც, ვინაც მტრედის მაშველი საგიჟეთში მოაქცია.

ჩვენ ყველანი ერთ ტაფაში ვიწვით.

ასე ცდილობს უწაუწა ნოველების ავტორი – გამოგვიყვანოს ქართული ხალხური ძილიდან.

...„ტირილი აუცილებელი არ არის" – რეზო მიშველაძის ნოველების ბოლო (რიგითი) კრებულია. არ შეიძლება აქ სხვა გამონათქვამიც არ მოგვაგონდეს: „მოსკოვს ცრემლების არ სჯერა". იტირე, რამდენიც გინდა, რუსი ამას არ შეიმჩნევს, ვერ შეიმჩნევს. მაშ, რა უნდა ვაკეთოთ? შენც იფიქრე, მკითხველო, ჩვენი დიდებული ენა, ჩვენი ქართული ქრისტიანია და მოყვასის (მკითხველის) მოყვარული, – ინიციატივას უთმობს მას (მკითხველს), რათა მიხვედრის სიხარული განაცდევინოს.

მურმან ჯგუბურია.

P. S. **ამ ესეის ეპიგრაფად პოეტის უჩვეულო გამონათქვამი იმიტომ ავირჩიე, რომ იგი ჩემი გაგებით, კარგად მიგვანიშნებს მწერლის მიმართებას სიტყვასთან. ჩვენ ყველანი სურსათ-სანოვაგის შესაძენად დავდივართ ბაზარში (ხალხში), მწერალი – სიტყვის შესაძენად.**

მ. ჯ.

გულის ბუხარი

რობერტ ძერია

4. არეულ ტალღაზე

ჩაფიქრებული კაცის ჩანაწერები

მართლა რა იყო ყველაზე ადრე — კვერცხი თუ ქათამი?

მარცხი მძიმე სიტყვაა. წარმოსათქმელად ძნელი.

მოსანელებლადაც არ არის იოლი.

ყველაზე მძიმედ მოქმედებს.

მოზარდებზე – განსაკუთრებით.

ამიტომაც ერთგვარი შიში მიპყრობს. როცა ვუყურებ გადაცემას „ყველაზე ნიჭიერი."

თავისთავად კარგია, მართლაც გონივრულად მოფიქრებული. სახალისოც.

მონაწილეებისათვის კი არა, ნებისმიერი მოზარდისთვის – ცოდნის შემოწმების, ახლის გაგების, შესწავლის კარგი საშუალება, მაგრამ, ახლა რომ ვფიქრობ, დედამიწის ზურგზე არაფერი გაჩენილა ისეთი, ეს დალოცვილი „მაგრამ" თავდაყირა რომ არ აყენებდეს, წაღმას უკუღმა რომ არ ატრიალებდეს.

როგორც არ უნდა შევალამაზოთ, იქ ყველა გამარჯვებული ვერ იქნება. ამ შემთხვევაში მალამოდ ვერ გამოდგება ოლიმპიური ლოზუნგი: „მთავარია მონაწილეობა და არა გამარჯვება."

გამარჯვების გარეშე დარჩენა მოზარდისთვის ძნელი გადასატანია. არადა, ყველა არც შეიძლება გამარჯვებული იყოს.

ამას მრავალი, მოზარდისგან სრულიად დამოუკიდებელი მიზეზი განაპირობებს.

ჯერ ერთი – ბავშვებმა მეტ-ნაკლებად იციან ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, ხელოვნება, მუსიკა.

მეორე – შეუძლებელია ყველა ბავშვს აზროვნების ერთნაირი სისწრაფე, გადამწყვეტ მომენტში კონცენტრაციის ერთნაირი უნარი ჰქონდეს.

ეკრანზე, მილიონობით მაყურებლის წინაშე სხვის მიერ დაჯაბნა არ არის მოზარდისათვის სასიამოვნო წუთი.

ეს, ალბათ, ვიმეორებ, ალბათ, გარკვეულწილად მოქმედებს მოზარდის ფსიქიკაზე. არა მგონია ეს ზემოქმედება უსათუოდ დადებითი მუხტით იყოს სავსე.

ამიტომ ვფიქრობ, რომ აქ ფსიქოლოგებთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობაა საჭირო და ასჯერ გაზომილის კიდევ ერთხელ გაზომვა.

გაჭრა – ასმეერთედ გაზომვის შემდეგ.

დარწმუნებული ვარ: გადაცემის ავტორებს ესეც ექნებათ გათვალისწინებული.

უპირველესად ფსიქოლოგების დასკვნა, რჩევები.

მეორე – არაერთხელ მივაქციე ყურადღება: როცა არჩევანის ჯერი დგება, მოზარდები ყველაზე ნაკლებად ლიტერატურას ირჩევენ.

შეიძლება ძალიან მარტივი, მაგრამ მაინც მიჩნდება ფიქრი. ვაკეთებ დასკვნას.

ეტყობა, რომანტიკა ძალიან სწრაფად იცვლება პრაგმატიზმით.

ნუ დამაბრალებთ მარქსისტობას. ამ შემთხვევაში ყოფიერება ცნობიერებაზე აშკარად მაღლა დგება.

მომხმარებლობა ცვლის სულიერებას.

სულიერება, რამდენადაც ვიცი, ყოველგვარი მატერიალურის საწყისია. ყოველ შემთხვევაში მკვდარი სულიერება ცოცხალ მატერიალურობას ვერ ქმნის.

ცხოვრებისადმი მომხმარებლურ დამოკიდებულებას ნამდვილად განაპირობებს.

აი, ეს არის თავსატეხივით: მართლა რა იყო ადრე– კვერცხი, თუ ქათამი?.

თავსატეხია ისიც, თუ რას წარმოადგენს მატერიალური ფასეულობა სულიერი ღირებულების გარეშე.

ამაზე ხელაღებით დასკვნის გაკეთების უფლება მე ნამდვილად არ მაქვს.

ნამეტანი მძიმეა და ვერ ავწევ.



პოეტს გასაყიდი საქონელი არ უწყვია ბრინჯაოს კალთაში

საქართველოში ცხოვრება ჭირს.

განსაკუთრებით ბოლო ათი წლის განმავლობაში.

მცირე ხელფასები, პენსიები.

გაჩერებული სამრეწველო საწარმოები, აქედან გამომდინარე შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმების დაბალი პროცენტი.

უმუშევრობა კი უფულობაა. უფულობა – შიმშილის წინა დღე.

ლტოლვილების დიდ რაოდენობასთან ერთად დედა-ქალაქს მთელი მოსახლეობის ერთი მესამედი მაინც შეეკედლა.

მოინახა გამოსავალიც – ტროტუარები, ქუჩის პირები დაიფარა სავაჭრო დახლებით, ათასი წვრილმანით, კვების პროდუქტებით...

მერე ამას გარე ვაჭრობა დაერქვა.

გაიგებდა, აიტანდა თბილისი სიდატაკის ზღვრამდე მისულთა გასაჭირს, საქციელს, მაგრამ თანდათანობით მდინარემ კალაპოტი გადალახა, ჭაობად აქცია მიმდებარე ადგილები – თბილისი აშკარად დაემსგავსა აღმოსავლურ ბაზარს.

გასაგებია: გარემოვაჭრეებს ნამდვილად უჭირთ. დარსა და ავდარში, თოვლსა და წვიმაში, თაკარა მზესა და ყინვაში ღია ცის ქვეშ დგომა ანადგურებს ამ ადამიანების ჯანმრთელობას.

სხვათა შორის, ფსიკიკასაც.

გარევაჭრობის შეძლებისდაგვარად აღკვეთისკენ მიმართულ სამთავრობო ღონისძიებებისადმი მათი დამოკიდებულებაც არ იყო მოულოდნელი და გასაკვირი.

უკანასკნელი თეთრების დაკარგვის პერსპექტივა გარკვეული სიძნელეების წინაშე აყენებდა თითოეულ მათგანს.

დახურულ ბაზრებში შესვლის შიშიც ბუნებრივი იყო ღია სივრცეს მიჩვეული ადამიანებისათვის.

...და მაინც: მოსახდენი მოხდა.

სრულიად შეიცვალა გარემო. მარტო „დინამოს" სტადიონის მიმდებარე ტერიტორიის განთავისუფლება შოკიდან გამოსული ადამიანის პირველ ამოსუნთქვას დაემსგავსა.

რაც მთავარია, გასაყიდი ძონძები მაინც არ ჰკიდია ერის დიდების – აკაკი წერეთლის გრანიტის მხრებზე.

წინანდელზე ბევრად უფრო ღირსეულად წარმოჩინდა პოეტის სახელობის კარგად ცნობილი ბაღი, რომლის ხელახლა დაბადებას პრეზიდენტმაც დასდო პატივი თავისი სტუმრობით.

კიდევ ერთხელ საჯაროდ გაცხადდა:

თბილისს სილამაზე უყვარს;

თბილისი უფრთხილდება ყველა მკვიდრის სიმშვიდეს;

პატივს სცემს წარსულს;

აფასებს სახელოვან წინაპრებს და არაფრის ფასად არ დათმობს მათი ისტორიულად ჩამოყალიბებულ იერსახის შელახვას.

გარემოვაჭრეების უმრავლესობამ უკვე მონახა ახალი ადგილი. სხვებიც იპოვნიან თავისას.

მალე. სულ მალე.

მთავარია: პოეტს ბრინჯაოს კალთაში არ უწყვია გასაყიდი კაბები და პერანგები.

„დინამოს" სტადიონსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ტრანსპორტის მოძრაობასაც რომ შეელებოდა...

„მარადისობის კანონში" გამომძიებელს სახელი არა აქვს

მექრთამეობა ძნელად განსაკურნებელი სენია. მხოლოდ მექრთამეა დაზიანებული სხეულიდან ადვილად მოსაკვეთი.

სამხილებლადაც იოლია, მარტივად გასაკოჭი.

კომუნისტებმაც იცოდნენ ეს.

ხერხიც ბევრი ჰქონდათ მომარჯვებული.

პოტენციურ კანონის დამრღვევს დაუნომრავდნენ ფულს, დაუმუშავებდნენ საგანგებო ხსნარით და საქმეც მოთავებული იყო – ყოველგვარი ხმაურის, ტელეკამერების გარეშეც კუთხეში იმწყვდევდნენ გრძელსაცეცებიან ადამიანებს. მერე სასამართლო და... პატიმრის უკან მძიმედ იხურებოდა რკინის კარი.

ყინვაგამძლე გამოდგა ძველისძველი მეთოდი.

ვარდებით მოსულ ხელისუფლებასაც მოერგო შეკვეთით შეკერილი ხელთათმანივით.

შეიძლება ფორმის სიმარტივის გამოც.

ერთი პარლამენტარიც კი გააბეს ამ წესით დაგებულ მახეში.

ზოგს მოსწონს. ზოგს კიდევ აღიზიანებს დამნაშავეებთან ბრძოლის ეს დაჟანგებული მეთოდი.

რა საოცარიც არ უნდა იყოს, სრულიად პატიოსან ადამიანებსაც არ ახალისებთ მხილების ეს ყავლგასული ფორმა.

შეიძლება, კომუნისტურ გადმონაშთად თვლიან, არ მიაჩნიათ ბრძოლის პატიოსან გზად.

არ ვიცი.

სიმართლე რომ ვთქვა, არც მიცდია ჩაღრმავება, გარკვევა.

ერთია ცხადი: ასეთი ფორმა კომუნისტური რეჟიმის დროსაც არ მოსწონდათ.

შეიძლება გავუგოთ ასეთ ხალხს.

ერთი უბრალო მიზეზის გამო შეიძლება გავუგოთ.

გარეგნულად მართლაც ურიგო ფორმაა დანომრილი ფულით დამნაშავის მხილება, როცა ვიცით, რომ ვიღაც დანაშაულის ჩადენას აპირებს, ჩვენ არაფერს ვაკეთებთ, მხოლოდ ვუცდით ბოროტი საქმის აღსრულებას.

ეს რაღაცნაირად ბიძგის მიცემას, ცდუნებას უფრო ჰგავს, ვიდრე დანაშაულის პროფილაქტიკას, წინასწარ აღკვეთას, რაც გაცილებით უფრო საღვთო საქმეა, ვიდრე ვიღაც ვიგინდარის საპყრობილეში გამომწყვდევა.

ადრეც იყო ამაზე სერიოზული საუბრები.

ნოდარ დუმბაძის „მარადისობის კანონი" მაგონდება.

რედაქციაში თანამშრომელი ქრთამს იღებს.

იღებს სწორედ იმ დანომრილი ფულით, რომელიც სამართალდამცავებმა მოხერხებულად შეაპარეს დამუშავებული, არც ისე პატიოსანი კაცის ხელით.

სახელი გაუტყდა რედაქციას.

ეჭვქვეშ დადგა თითოეული თანამშრომლის წესიერება.

გაუბედურდა მექრთამის ოჯახი.

სახელი გაუტყდა დას, ძმას, მეგობარს, მეზობელს, ყველა იმათ, ვისაც უკუღმართად გაჩენილი არამზადა არასოდეს გაუმხელდა თავისი ბნელი ზრახვების საიდუმლოს.

ამიტომაც წუხს „მარადისობის კანონის" მთავარი მოქმედი გმირი, გაზეთის რედაქტორი ბაჩანა რამიშვილი. ამიტომაც ეუბნება საყვედურს შინაგან საქმეთა ორგანოების წარმომადგენელს ვინმე ხელაიას: „თქვენ რომ ჩემთვის დროზე გეცნობებინათ ეს ყველაფერი, მე მას მოვხსნიდი სამსახურიდან და ბოროტებაც თავისთავად აღიკვეთებოდა."

ძნელია ერთი ხელის მოსმით განსაჯო აქ მტყუანი და მართალი.

ცნობილია მხოლოდ: მიზანი ყოველთვის არ ამართლებს საშუალებას.

სხვაც არის საგულისხმო.

სამართლის აღმასრულებელ ხელაიას რომანში სახელი არა აქვს.

ვერ გაიმეტა ავტორმა სახელი.

რატომ?

ეს კითხვა დღემდე უპასუხოდ რჩება.

თითქოს ყველა ერიდება მასზე პასუხის გაცემას.

ვატყობ: ვერც მე გამოვხატე სათქმელი ნათლად და გასაგებად.

ერთია: არც არავიძის გზა მიდის სასურველ ტაძართან.

წარდგენილია სახელმწიფო პრემიაზე



ილია ბარამიძე

დედას

შორიდან, მკრთალად,
როგორც ნისლიდან,
ვხედავ შენს თავშალს,
დროით ფერშეცვლილს.
ჩემს საფერებლად შენ ვერ იცლიდი,
რომ მოიცალე, მე გაგექცეი.
მიხმობდა ლურჯი ფსკერი ბროლის ცის,
ქვეყნის დაპყრობა მსურდა ლექსებით.
შენს საფერებლად მალე მოვიცლი
და ძალიან გთხოვ, ნუ გამექცევი.

ორი საფლავი

ჩვენ, ალბათ, ერთ დროს დაგვკრძალავენ,
გვერდიგვერდ, იქნებ,
სადმე, თბილისში, ჩვენს საფლავებს
გათხრიან ვიწროს.
მე დავაობლებ სევდაწაურილ
საყვარელ წიგნებს,
შენს მიცვალებას ალბათ მთელი
ქალაქი იგრძნობს.
მე დამკრძალავენ მორცხვი ცრემლით
და შუბლზე კოცნით,
შენ — გრძელი სიტყვით,
გლოვა-ზარით,
მწუხარე მარშით.
შენი დაკრძალვა ემგვანება
ბოშათა ქორწილს,
ჩემი კი — ნათელ მირონცხებას
ობოლი ბავშვის.
არ მოელება იქაც ბოლო
ჩვენს ორთა ჭიდილს,
თუმცა, დრო ჩაკლავს წყენას, როგორც
მაძღრობა — შიმშილს.
ჩემი საფლავის ჯვარზე ალბათ
დაფრთხება ჩიტი,
შენი საფლავის ჯვარზე მჯდარი
მიმინოს შიშით.

მუხამბაზი

გავუქცევი თმეში ჩანათოვარ წლებს
და სიყვარულს კიდევ
ერთხელ მოვასწრებ.
აბორგებას ცხელი სისხლის ხმაურზე
ჩემი გული კიდევ ერთხელ გაუძლებს.
გავებმები თვალთა შენთა მახეში
და სიმძაგე ჩემი მერე ნახე შენ.
თუ სიყვარულს აქვს თავისი ასაკი,
მაშინ როცა გაგიცანი, მას აქეთ
შენ ვინა ხარ, რომ არაფრით არ მინდა
უშენობის წარმოდგენა წამითაც.
შენ ახლო ხარ, შორი არის საშველი
და არ ვიცი, რა მინდა და რას ველი.
მე შენამდე გამივლია სულ სხვა გზა,
ვწერდი ლექსებს, მაგრამ არა მუხამბაზს
და მავან ქალს მე ასეთი თავხედი
გარითმული ფლირტით
თავბრუს ვახვევდი.
ყველაფერი იყო, მაგრამ არც ისე,
რომ მხვდომოდა გაფითრება ცარცისებრ.
დღეს კი ალბათ ერთხელაც თავს ავიშვებ,
ავიშვებ და ვაი მე და ვაი შენ!

ლექსი, რომელიც სიკვდილის მერე დავწერე

აი, ეს არის, მმაო, რაც არის,
რაც დამაცალეს, რაც მოვასწარი,
რაზეც გამიწვდა გრძნობა, ნიჭი და...
შენ ვერ გაიგებ, როგორ მიჭირდა,
როგორ ვიწექი ურვა წუხილთან,
ჩემს მტრებს ჩემ გამო
როგორ ულხინდათ
და მამაღლებდა, როგორც ობელისკს,
მოშურნე — ჩემი უარმეოფელი.
ზოგნი კი წერად დამჯდარ მორისკეს
მიმახედებდნენ პანთეონისკენ:
შენ როგორ ბედავ წერას მათებრო,
მათ ნათქვამს რაღას დაუმატებო,
სხვა პანთეონიც იყო — ცოცხალთა,
რომელშიც ყველა ყველას მოძღვრავდა
და ბრძოლა ჰქონდათ
დაფნა-თუღისთვის.
იყვნენ მათ შორის ღირსნიც, უღირსნიც,
მწვდომნიც, ვერწვდომნიც ჰგავს —
მერნისთვის.
მე ვინ ვარ! — განსჯის ყველას
მერმისი.
იყვნენ გმირებიც, იყვნენ წუნკლებიც,
მე კი მიყვარდა ყველა, უკლებლივ.
და აჰა, ცივი ნესტით გათოშილს
უსულოდ მძინავს მუხის პალტოში.
გმადლობთ, შენდობას ახლა
ვინც მითვლით,
გმადლობთ ცრემლისთვის
და ყვავილისთვის.

მოკლედ

უკრაინის ოპოზიცია იწყებს რესპუბლიკურ მარათონს. პრეზიდენტობის კანდიდატი ვიქტორ იუშჩენკო და მისი გუნდის წევრები მადლობას გადაუხდიან იმ ამომრჩევლებს, რომლებმაც მისცეს ხმა მას არჩევნების

პირველ ტურში. აქციის დროს გამოაცხადებენ ხმათა პარალელური დათვლის შედეგებს, რომელიც იუშჩენკოს შტაბის წევრებმა განახორციელეს.

* * *

ინდოეთში 140 ბავშვი დაიღუპა ჯერჯერობით დაუდგენელი ავადმყოფობის შედეგად. უტარ-პრადეშის შტატის საავადმყოფოებში ამჟამად მოთავსებულია 500 პატარა პაციენტი. ისინი

უჩივიან ღებინებას, მაღალ ტემპერატურას, ციებ-ცხელებას და მეხსიერების დარღვევას. ინფექციურ დაავადებათა ინსტიტუტის სპეციალისტების ვარაუდით, ბავშვები დაავადებული არიან ენცეფალიტის ერთ-ერთი ფორმით.

* * *

ერაყის პოლიციის განცხადებით, ორი დანაღმული ავტომობილი აფეთქდა ერაყის ქალაქ სამარის პრეფექტურის, აგრეთვე, პოლიციის გაერთიანებული შტაბისა და ერაყის ეროვნული გვარდიის შენობების მახლობლად. მესამე აფეთქება მოხდა ქალაქის ბაზრის მოედანზე.

* * *

აფეთქებაზე პასუხისმგებლობა ბრიტანეთის ბატალიონზე განხორციელებული თავდასხმისთვის. შესაბამისი განცხადება განათავსეს ერთ-ერთ ისლამისტურ ინტერნეტ-საიტზე. როგორც ცნობილია, ხუთშაბათს, ტერორისტმა კამიკაძემ აიფეთქა თავი ბაღდადის სამხრეთ ნაწილში მდებარე კოალიციური ჯარების ბლოკ-საგუშაგოსთან. აფეთქების შედეგად დაიღუპა სამი და დაიჭრა რვა კაცი.

* * *

პრეზიდენტად მეორე ვადით არჩევის შემდეგ ჯორჯ ბუში აპირებს განახორციელოს მთელი რიგი ცვლილებები თავის მთავრობაში. სარწმუნო წყაროების დამოწმებით, გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ წერდა, რომ თავდაცვითი უწყების მეთაურის თანამდებობაზე, სავარაუდოდ, დანიშნავენ პრეზიდენტის ამჟამინდელ თანაშემწეს ეროვნული უშიშროების საკითხებში კონდოლიზა რაისს.

გაერო ფალუჯაში მშვიდობის დამყარებას მოითხოვს

გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა განაცხადა, რომ ეწინააღმდეგება შტურმის მიტანას ერაყის ქალაქ ფალუჯზე, რომელსაც ამბოხებულები აკონტროლებენ. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების საჯარისო ნაწილები უკვე შევიდნენ ამ დასახლებული პუნქტის გარეუბნებში და ემზადებიან ქალაქის ასაღებად.

ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და ერაყის მთავრობების მისამართით გაგზავნილ წერილში კოფი ანანი აღნიშნავს, რომ ფალუჯზე შტურმის მიტანამ, შესაძლოა კიდევ უფრო განარისხოს ერაყელები და შეუქმნას საფრთხე ამ ქვეყანაში არჩევნების გამართვას, რომელიც იანვრისთვის არის დაგეგმილი.

მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ფალუჯთან დაკავშირებული პრობლემა თვით ერაყმა უნდა გადაჭრას. „ეს არის ერაყის მთავრობის და ყველა იმ სახელმწიფოს წინაშე წამოჭრილი ამოცანა, რომლებსაც სურთ დაეხმარონ ერაყელ ხალხს“, – თქვა ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალურმა წარმომადგენელმა გაეროში რიჩარდ გრენელმა.

როგორც ერაყიდან იტყობინებიან, ამერიკელთა ჯარებმა გადაკეტეს ფალუჯისკენ მიმავალი ყველა გზა და ახლა ელიან ბრძანებას ერაყის პრემიერ-მინისტრისგან.

ამერიკელები და ერაყის ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ აუცილებელია მეამბოხეთა გაუვნებლება იანვრისთვის დანიშნულ არჩევნებამდე. ბაღდადიდან დასავლეთით 50 კილომეტრზე მდებარე ამ ქალაქში თავმოყრილია რამდენიმე ათასი მოთარეში. მათ ხელმძღვანელობენ სადამ ჰუსეინის არმიის ყოფილი ოფიცრები.

ფალუჯის მახლობლად განლაგებული ამერიკელთა სამხედრო ბაზის ჰოსპიტალმა უკვე მოამზადა მორგი, იქ აგრეთვე, ყველაფერი მზად არის მრავალი დაჭრილის მისაღებად, იტყობინება ასოშიეიტედ პრესის სააგენტო.

ამერიკელებმა ხელთ იგდეს 37 ტონა კოკაინი

ამ ბოლო ორი თვის განმავლობაში განხორციელებული მთელი რიგი წარმატებული ოპერაციების შედეგად, ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებამ შეძლო ზღვაზე ხელში ჩაეგდო კოკაინის უდიდესი პარტია – ჩამორთმეული ნარკოტიკული ნივთიერების საერთო წონამ 37 ტონა შეადგინა.

კოტიკს, ეს კი ნიშნავს, რომ დაკავებული პარტია მთელი ამ რაოდენობის დაახლოებით 10 პროცენტს შეადგენს.

კოკაინით ვაჭრობა კოლუმბიელი ამბოხებულების შემოსავლის მთავარი წყაროა, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში აწარმოებენ შეიარაღებულ ბრძოლას ქვეყნის

კოკაინის ასეთი პარტიის ფასი შავ ბაზარზე 2 მილიარდ დოლარს აღემატება. ნარკოტიკების გადაზიდვაში ეჭვმიტანილია 30-ზე მეტი კოლუმბიელი, რომლებიც ამჟამად დაპატიმრებული არიან.

ოპერაციის განხორციელებაში მონაწილეობდნენ ამერიკის შეერთებული შტატების სხვადასხვა ძალოვან სააგენტოთა და კოლუმბიის ხელისუფლების წარმომადგენლები.

ექსპერტთა შეფასებით, კოლუმბიაში ყოველწლიურად აწარმოებენ დაახლოებით 400 ტონა სხვადასხვა ნარ-

მთავრობის წინააღმდეგ. ამ ბიზნესს ეწევიან აგრეთვე, რადიკალური მარქსისტული დაჯგუფებები, ულტრა-მემარჯვენე მოთარეშეები და ცალკეული „ნარკო-ბარონები“, რომლებიც ქვეყანაში მოქმედებენ დიდი ნარკოტიკული კარტელების დროიდან.

კოლუმბიაში წარმოებული ნარკოტიკების მოცულობით თუ ვიმსჯელებთ, იქაური ამბოხებულები მსოფლიოში ფინანსურად, ალბათ, ყველაზე უკეთ უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ.

არაფატის მდგომარეობა „სტაბილური“ გახდა

საფრანგეთის პერსის სამხედრო ჰოსპიტლის ოფიციალურმა წარმომადგენელმა (ამ ჰოსპიტალში მოათავსეს იასირ არაფატი), განაცხადა, რომ პალესტინელთა ლიდერის მდგომარეობა სტაბილური გახდა. როგორც ცნობილია, მანამდე გავრცელდა ინფორმაცია, რომ არაფატი კომაში იმყოფებოდა.

„პრეზიდენტ იასირ არაფატის ჯანმრთელობის მდგომარეობა არ გაუარესებულა“, – უთხრა ჟურნალისტებს ჰოსპიტლის მთავარმა ექიმმა კრიტიან ესტრიპომ.

არაფატის თანაშემწეებმა აღიარეს, რომ იგი მართლაც იმყოფებოდა კომაში. ამავე დროს, პალესტინის წარმომადგენელმა საფრანგეთში ლეილა შაჰიდმა ფრანგული რადიოსათვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა: „გარწმუნებთ, რომ არაფატის ტვინი არ არის გათიშული“. თუმცა, პერსის სამხედრო ჰოსპიტლის წყაროები იტყობინებიან, რომ პალესტინელ ლიდერს სუნთქვა შეუძლია მხოლოდ სიცოცხლის უზრუნველყოფის სპეციალური სისტემის მეშვეობით. ამ ბოლო ხანებში ვრცელდება ხმები იმის თაობაზე, რომ არაფატის ოჯახის წევრები და მისი უახლოესი თანამოსაგრეები განიხილავენ ამ სისტემის გამოთიშვის საკითხს.

ამავე დროს, მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე მდებარე ქალაქ რამალაში, პალესტინის ლიდერის რეზიდენციაში, გრძელდება პალესტინის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა მოლაპარაკება იმის თაობაზე, თუ ვინ შეიძლება დაიკავოს არაფატის ადგილი ავტონომიის ხელმძღვანელობაში.

პალესტინის მინისტრთა კაბინეტის წევრმა საებ ერექათმა ბი-ბი-სის კორესპონდენტთან საუბრისას განაცხადა, რომ ავტონომიაში არ არის ხელისუფლების ვაკუუმი და მისი ხელმძღვანელობის სხვადასხვა ფრაქციას შორის არ უნდა მოხდეს უთანხმოება იმის შესახებ, თუ ვინ გახდება არაფატის პოლიტიკური მემკვიდრე.

როგორც მოელიან, სხვადასხვა ჯგუფების ლიდერებს შეხვედება პალესტინელთა მთავრობის მეთაური აჰმედ ქურეი. არაფატის ავადმყოფობის დროს პრემიერ-მინისტრს დაეკისრა პრეზიდენტის უფლებამოსილებათა ნაწილი, ახლა კი ქურეი, ფაქტობრივად, ასრულებს პრეზიდენტის მოვალეობას.

პარალელურად ვრცელდება ინფორმაციებიც იმის თაობაზე, რომ პალესტინის ავტონომიის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა მაჰმუდ აბასმა დაიკავა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციისა და „ფათჰის“ პარტიის ხელმძღვანელის პოსტები.

თვით არაფატს კი, წინათ საჯაროდ არ განუცხადებია, თუ ვისთვის აპირებდა პრეზიდენტობის გადაცემას.

ბოლო ცნობა

იასირ არაფატის სიკვდილის დროს დიპლომატები გადაწყვეტენ

საფრანგეთსა და ამერიკის შეერთებული შტატებს ინტენსიური კონსულტაციები აქვთ ისრაელისა და პალესტინის მთავრობებთან, რათა გადაწყვიტონ არაფატის დაკრძალვის შესაძლო ადგილი. მხოლოდ ამის შემდეგ გამორთავენ პალესტინის ლიდერს აპარატიდან, რომელსაც „კბილებით უჭირავს“ მისი სიცოცხლე.

ჩილეს არმიამ აღიარა, რომ მიმართავდა წამების მეთოდებს

ჩილეს არმიის ხელმძღვანელობამ პირველად აღიარა, რომ აუგუსტო პინოჩეტის მმართველობის დროს შეიარაღებული ძალები ახორციელებდნენ ეგრეთ წოდებულ სხვაგვარად მოაზროვნეთა მასობრივ დევნას.

მანამდე ჩილეს არმიის ოფიციალური პოზიცია ასეთი იყო: 1973-1990 წლების პერიოდში ქვეყანაში ადამიანის უფლებების დარღვევა იყო ცალკეული ოფიცრების დამოუკიდებელი ინიციატივის შედეგი.

გენერალმა ხუან ემილიო ჩეირემ, რომელმაც ჩილეს გაზეთში გამოაქვეყნა ოფიციალური განცხადება იმის თაობაზე, რომ არმიამ აღიარა ბრალეულობა, აღნიშნა, რომ სამხედროებისთვის ეს იყო „რთული, მაგრამ გარდუვალი“ გადაწყვეტილება.

ჩეირეს თქმით, არმია კისრულობს ფიზიკურ და მორალურ პასუხისმგებლობას „წარსულში ჩადენილი უმძიმესი შეცდომებისთვის, რის გამოც, ბრალეული პირები უნდა დასაჯონ“.

ჩილეს პრეზიდენტმა რიკარდო ლაგოსმა სამხედროთა მიერ გაკეთებულ ამ განცხადებას უწოდა „ისტორიული ნაბიჯი“ ქვეყნის ეროვნული ერთიანობის აღდგენის გზაზე.

◉ მსოფლიო თასი

დიდი ჭიდაობა სპორტის სასახლის სარბიელზე

(პირველი გვერდიდან)

ლაშამ მართლაც საკმაოდ ტექნიკურად იჭიდავა და ძლიერ ფრანგ მეტოქეს 4:0-ზე მოუგო. ომარი კი – ეს, მართლაც, ნიჭიერი და პერსპექტიული სპორტსმენი (ბატონი გურამ საღარაძის თქმით) ერთი თავით მაღლა აღმოჩნდა მეტოქეზე და შეხვედრაც სუფთად (10:0) მოიგო. ასევე სუფთად მოიგო თავისი შერკინება მეტოქესთან ირაკლი ჭოჭუამაც (55 კგ). რაც შეეხება ბადრი ხასაიას გამოსვლას, იგი ვერ აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე და 2:3-ზე დამარცხდა.

– აი, რას ნიშნავს წონის დაგდება, – მითხრა გურამ საღარაძემ, – ძალიან ნიჭიერი ბადრი წონის ხშირად მომატება-დაკლებამ ფიზიკურად გამოფიტა და ბევრი ძალისხმევა დასჭირდებათ მასსა და მის მწვრთნელს საჭირო კონდიციებამდე ასასვლელად.

84 კგ. წონაში ქულებით გაიმარჯვა მუხრან ვახტანგაძემ (3:1), 96 კილოში კი მართლაც დიდად გვასიამოვნა ათენის ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანმა რამაზ ნოზაძემ. უამრავი ფანდით მან თავბრუ დაახვია ფრანგ მეტოქეს, ქულებიც მრავლად მიითვალა და, ბოლოს, წმინდა გამარჯვება იზეიმა.

ასევე წმინდად გაიმარჯვა 105 კგ წონის ბუმბერაზების შერკინებაში მირიან გიორგაძემ და თავისი გუნდის გამარჯვება საბოლოოდ გააფორმა – 23:5.

პირველნი კი ამ გუნდურ ასპარეზობაში ირანისა და ბელორუსიის მოჭიდავენი ჩაებნენ. ირანელებს, როგორც ირკვევა, ქომაგთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი დესანტი ჩამოუყვანია თბილისში. მათი ქომაგების დამსახურებად უნდა ჩავთვალოთ, რომ ირანელებმა საბოლოოდ გატეხეს ბელორუსთა მედგარი წინააღმდეგობა და გაიმარჯვეს – 15:11.

შეგახსენებთ, რომ ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა გუნდურ შეჯიბრებაში ასევე ასპარეზობენ ამერიკელი ფალავნები.

გუშინ დღის მეორე ნახევარშიც გაგრძელდა შეჯიბრებები. გაუწყებთ ანგარიშებს: საქართველო – ირანი 18:8, აშშ – ბელორუსი 14:12, ირანი – აშშ 14:12, ბელორუსი – საფრანგეთი 17:9, საქართველო – ბელორუსი 19:4. დღეს კი საბოლოოდ გაირკვევა საკმაოდ ლამაზი მსოფლიო თასის მფლობელი გუნდის ვინაობა.

დღესვე გაიმართება საქართველოს ფალავნობა, რომელსაც, როგორც ამბობენ, უამრავი მაყურებელი დაესწრება.

ანზორ ბასილაია.

სურათებზე: ჭიდაობის ცნობილი სახეები მაყურებელთა შორის; ასპარეზობის მომენტები.

ავტორის ფოტო.



◉ ალპინიზმი

ორი დღე-ღამე მწვერვალის ტყვეობაში

მთაში ამინდს ძნელად თუ გამოიცნობ, ამიტომაც მწვერვალის დალაშქვრა და საიერიშო ბანაკში დაბრუნება შეზღუდულ დროში ხდება. ეს ყველა მთამსვლელმა იცის, თუმცა, ზოგიერთები მოულოდნელად ცვალებადი მეტეოროლოგიური პირობების გამო ხშირად მაინც მთის მარწუხებში ექცევიან, რაც არცთუ იშვიათად ტრაგიკულად მთავრდება.

ალპინიზმის ისტორიაში ცნობილია ისეთი ფაქტები, როცა ამინდს მწვერვალზე მთელი ჯგუფიც დაუტყვევებია, საშინელი ქარბუქისა და ნისლის ბურუსში მოუქცევია, გზა-კვალი აურევია და ბანაკში დაშვების საშუალება არ მიუცია.

ის შემთხვევა კი, რომელსაც ახლა მოგითხრობთ მწვერვალზე ღია ცის ქვეშ დარჩენილი მეკლდეურის შესახებ, ღრუბლებს ზემოთ გატარებული დროის ხანგრძლივობითა და ბედნიერი დასასრულით, ვფიქრობ, ქართული მთამსვლელობის ისტორიაში უნიკალურია.

შუახნის კაცია **თამაზ შარაშენიძე**, ოზურგეთში დაბადებულ-გაზრდილი, ქართველ მთამსვლელთაგან ერთ-ერთ პირველს რომ მიენიჭა „მთის ჯიქის“ საპატიო წოდება (ამ ტიტულს ატარებდნენ ისინი, ვისაც ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე 5 შვიდიათასიანი მწვერვალი ჰქონდა დაპყრობილი). იგი საკავშირო ჩემპიონატების ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორია. საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი ამჟამად თბილისის მერიის კულტურისა და სპორტის სამსახურის მე-5 სასპორტო სკოლის დირექტორად მუშაობს. ჰყავს მეუღლე და ხუთი შვილი, არის ჭეშმარიტი მართლმადიდებელი. მწვერვალების დასაპყრობად თავისი მოძღვრის – ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის მეუფე დანიელის ლოცვა-კურთხევით მიემგზავრება.

სხვადასხვა დროს მის ფეხქვეშ გართხმულა პამირში „კომუნიზმის“ პიკი (7495 მ.), ორ-ორჯერ „კორჟენევსკაიას“ (7105 მ.) და „ლენინის“ პიკები (7134 მ.) ასევე ორჯერ დაიპყრო ტიან-შანში „გამარჯვების“ პიკი (7439 მ.), ხოლო ხან-ტენგრიზე (7010 მ.) ექვსჯერ ავიდა, ორჯერ – მარტოდმარტო. ყოფილა ალპებში, ჩინეთსა და მსოფლიოს მრავალ დიდი მთის მასივებში, გარდა ჰიმალაისა.

ზემოთ აღნიშნული ასვლებისას მრავალი ადამიანის სიცოცხლე გადაურჩენია, რაც მთამსვლელისთვის უპირველეს მოვალეობად და მაღალ ღირსებად ითვლება.

წლეულს, ზაფხულს ქართველი ალპინისტებისგან შეიქმნა ექსპედიცია, რომელსაც „ლენინის“ პიკი უნდა დაელაშქრა. 20 წევრისგან შემდგარ ექსპედიციას (ხელმძღვანელი დათო ჩანტლაძე, ასვლის კურატორი აფი გიგანი) პამირში თამაზ შარაშენიძე ერთი კვირის დაგვიანებით შეუერთდა. აკლიმატიზაციის შემდეგ მხოლოდ ცამეტმა გადაწყვიტა ლაშქრობაში მონაწილეობა. მათ შორის იყო ბატონი თამაზიც. რომელმაც, მართალია, სრულყოფილად ვერ მოასწრო იქაურობასთან შეგუება, მაგრამ, როგორც დიდი გამოცდილებისა და ავტორიტეტის მქონეს, უარი ვერავინ უთხრა. მით უმეტეს, რომ ჯგუფი, ძირითადად, ახალგაზრდა მთამსვლელებით იყო დაკომპლექტებული (რომელთა შორის გახლდათ 21 წლის ლია ნოზაძე) და გამოცდილ აფი გიგანთან და ბიძინა გუჯაბიძესთან ერთად თამაზსაც უნდა უზრუნველეყო წარმატებული და მშვიდობიანი ასვლა პიკზე.

24 ივლისს საიერიშო ბანაკი 4400 მეტრ სიმაღლეზე მოეწყო. მეორე დღეს ჯგუფი 5300 მეტრზე ავიდა. მომდევნო ღამე 6100 მეტრზე გაათიეს. 27 ივლისს კი სწორედ ამ სიმაღლიდან დაიწყო მწვერვალზე შეტევა.

პიკამდე ნახევარი კილომეტრი იყო დარჩენილი, თამაზს დაღლილობა რომ დაეტყო, ტემპს უკლო და ძირითად

ჯგუფს ჩამორჩა. მწვერვალიდან დაბრუნებულ მეგობრებს იგი 7000 მეტრზე შეხვდა. აფი გიგანის თხოვნის მიუხედავად, თამაზმა გზა განაგრძო.

ორასიოდე მეტრის გავლას ქართველმა მთამსვლელმა 2 საათზე მეტი მოანდომა და 17 წლის შემდეგ კიდევ ერთხელ მოექცა თავზე ნაცნობ მწვერვალს, ოღონდ ამჯერად სხვა მარშრუტით. პიკზე იგი მცირე ხნით შეყოვნდა, ფოტოები გადაიღო და დაშვებაც დაიწყო.

– მოულოდნელად საშინელი ბურუსი ჩამოწვა, მწვერვალი მთლიანად სქელ ნისლში გაეხვია, – იგონებს თამაზ შარაშენიძე, – ვიცოდი, რომ ამ შემთხვევაში აჩქარება არ შეიძლებოდა, თუმცა, დიდხანს დაყოვნებაც არ იყო გამართლებული. მით უმეტეს, რომ ასეთ დროს ამინდის გაუარესების ალბათობა მეტია. ფრთხილად განვაგრძე დაშვება. სადღაც 7000 მეტრის სიმაღლეზე ქვეცნობიერმა ძალამ შემაჩერა, ცოტა ხნით თოვლში ჩავიმუხლე. მალე გამოიდარა – ნისლი გაიფანტა. ვხედავ, ნაპრალის პირას ვდგავარ. ნაბიჯის გადადგმაც სიკვდილის ტოლფასია. მივხვდი, რომ არასწორი მიმართულებით ვეშვებოდი – სამხრეთის ნაცვლად, დასავლეთით ამიღია გეზი. კვლავ ჩემს ნაკვალევს ავყევი. ისევ ბინდი ჩამოწვა. გზის გაგრძელება არ შეიძლებოდა. პატარა მოედანი შევარჩიე. რადგან უკვე ღამდებოდა, ზურგჩანთა მოვიხსენი და დასაძინებლად მივწექი. მეორე დილითაც ნისლი მიბრკოლებდა გზას, ამიტომ ნელა ვმოძრაობდი. ერთი სული მქონდა, ქედზე გავსულიყავი, იქიდან კი, ნისლი თუ გადაიყრებოდა, ბანაკს დავინახავდი და სამშვიდობოს იოლად გავაღწევდი. ისევ შემომაღამდა. სისუსტეს ვგრძნობდი. შოკოლადის პატარა ნატეხი კი მქონდა, მაგრამ მეორე დღისთვის შემოვინახე.

რთულ სიტუაციებში არაერთხელ მოვხვედრილვარ. „გამარჯვების“ პიკზეც გამითევია ღამე მარტოს, მაგრამ იქ კლდეს მაინც ამოვეფარებივარ და სუსხს ძალიან არ შევუწუხებივარ. აქ კი მოტიტვლებულ მწვერვალზე გავათიე ღამე. თბილად მეცვა, მაგრამ მაინც მციოდა. ბენო ქაშაკაშვილის ნაჩუქარმა ფეხსაცმელებმაც მიშველა, თორემ მონაყინ ფეხის თითებს სამუდამოდ დავკარგავდი. სხვა საშველი არ იყო – კვლავ ღია ცის ქვეშ უნდა დავრჩენილიყავი. მოვიხსენი ზურგჩანთა და ლოცვა წარმოვთქვი, უფალს შევთხოვე სულის სიმტკიცე.

დასაძინებლად მივწექი. შვილები და ოჯახი მომენატრა უსაზღვროდ, მერე საიერიშო ბანაკში დარჩენილი მეგობრები გამახსენდა. ვინ იცის, ჩემს გაუჩინარებას როგორ განიცდიდნენ. უამრავმა აზრმა გამიელვა თავში, მაგრამ სიკვდილზე არ მიფიქრია, რადგან მწვერვალებზე ნანახი მთამსვლელების გაყინული საფლავების ფონზე

ჩემი მდგომარეობა გაცილებით უკეთესი იყო. დარწმუნებული ვიყავი, რომ ბანაკში ჩასვლას თუ ვერ მოვახერხებდი, მეგობრები ამომაკითხავდნენ.

... დილით კვლავ დავიწყე დაშვება, მაგრამ ძალუმად დასუსტებული ზოგჯერ ვერ ვაცნობიერებდი, წინ მივიწევდი თუ ერთ ადგილას ვტკეპნიდი. ასეთ გაურკვეველ სიტუაციაში მყოფს უცებ ძახილი შემომესმა, ბიძინას ხმა ვიცანი და ენით აუწერელი განცდა დამეუფლა.

ბიძინას აფიც მოჰყვა და სამივენი ერთად დავეშვით ბანაკში. ჩვენს დანახვაზე უსაზღვრო იყო იქ მყოფთა სიხარული, სხვათა შორის, ის სიხარული, მოფერება და ლანძღვაც, რაც მეორე ღამისთევისას მწვერვალზე ვიხილე, ზუსტი ქრონოლოგიით საბაზო ბანაკში ამიხდა. თავს ძალიან ბედნიერად ვგრძნობდი...“

არ ვიცი, მკითხველისთვის რამდენად საინტერესო იყო პამირის მთებში გამარჯვებული ქართული ექსპედიციისა და მწვერვალზე დატყვევებული მთამსვლელის ეს ისტორია, მაგრამ, როცა შევიტყვე, ამ შემთხვევის შემდეგ თამაზ შარაშენიძე მეგობრის – პოლ ფერარის მიწვევით ამერიკაში ყოფილა, სადაც საკმაოდ რთული მწვერვალი შაშტი (5400 მ) დაულაშქრავს და ამ კონტინენტზე პირველ ქართველ მთამსვლელს ჩვენი ხუთჯვრიანი დროშა აუფრიალებია, გაისად კი ჩრდილოეთ ალიასკაში ამერიკის უმაღლეს მწვერვალზე – მაკინლიზე (6190) და ამერიკელ მეგობართან ერთად კვლავ „ლენინის“ პიკზე ასვლას აპირებსო, ამ უშიშარმა ადამიანმა ჩემში ჯერ გაოცება, შემდეგ კი აღფრთოვანება და უსაზღვრო პატივისცემა გამოიწვია.

სოსო ჩავლეიშვილი.

სურათებზე: ქართველი მთამსვლელი შაშტიზე ხუთჯვრიანი დროშით; თამაზ შარაშენიძე და ავთანდილ ცინცაძე მყინვარწვერზე.

◉ ჭრელაჭრულა

რატომ ჩაიშალა მატჩი?

ძალზე კურიოზული გამოდგა ის მიზეზი, რამაც მანჩესტერის საფეხბურთო ლიგის მატჩის ჩაშლა გამოიწვია. მორიგი შეხვედრის წინ სამოყვარულო გუნდის „ოლდ ტრაფორდის“ დამფუძნებელმა და დამრიგებელმა, 62 წლის ჯონ ბეილზიმ ტრადიციულად სამრეცხაოს მიაკითხა, რათა იქიდან გარეცხილი მაისურები წამოეღო. შემდეგ გუნდთან ერთად მანჩესტერის მეზობელ რაიონში, სტოკპორტში გაემგზავრა.

ადგილობრივ „იგლთან“ მატჩის დაწყების წინ ბეილზმა თეთრეულის პაკეტი გახსნა და ყველა მიხვდა,

რომ იმ დღეს მატჩი აღარ შედგებოდა. ტომარაში პირსაწმენდები, ზეწრები და სხვა ჭუჭყიანი თეთრეული აღმოჩნდა.

მსაჯთა კოლეგიამ გაიზიარა სამოყვარულო გუნდის გაჭირვება, დამარცხებად არ ჩაუთვალა და თამაში გადაიტანა.

შემდეგ ბეილზი მწარედ ხუმრობდა: „კიდევ კარგი, ტომარაში ბიუსტჰალტერები და ტრუსები არ აღმოჩნდა, თორემ, გვაიძულებდნენ მათ ჩაცმასა და მინდორზე სათამაშოდ გასვლას“.

ბედნიერი რვიანი?

იცით, როდის დაიწყება 2008 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშები, რომელსაც პეკინი უმასპინძლებს? – 8 აგვისტოს, საღამოს 8 საათსა და 8 წუთზე.

ვინაიდან აზიურ ქვეყნებში 8-იანი ბედნიერ ციფრად მიაჩნიათ, ამიტომაც ოლიმპიადის ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს თამაშების ამ დროს დაწყება ისე, რომ თარიღისა და დროის ჩანაწერი რვიანების ერთიან მწკრივს ქმნის: 2008 წლის მერვე თვის მერვე დღე.

თუმცა, აგვისტოს დასაწყისში ჩინეთში საკმაოდ ცხელა, მაგრამ ამერიკული ბეისბოლის პლეი-ოფის თამაშებისა და ჩოგბურთში ამერიკის ღია ჩემპიონატის განრიგმა „აიძულა“ ოლიმპიადის ორგანიზატორები, ასეთ ბედნიერ ვადებში დაეწყოთ თამაშები.

სიყვარულის „ფინტს“ ვერ გადაურჩა

საკურორტო რომანის შესახებ ბევრი თქმულა და დაწერილა. დასვენების დროს დაწყებული ნაცნობობა ხშირად მგზნებარე ურთიერთობაში გადაიზრდილა.

ასე დაემართა იტალიის „მილანის“ მცველს ჯუზეპე პანკაროსაც. მან მოდელი ვინჩენცე კაკაჩე წლევანდელი ზაფხულის დამდეგს სარდინიის პლაჟზე გაიცნო. მაშინ ყველა ფიქრობდა, რომ ეს ჩვეულებრივი საკურორტო გატაცებააო, ცხელმა ჰაერმა რომ ააგიზგიზა, ბუნებრივია, მაშინ ვერავინ იფიქრებდა, რომ მათი ურთიერთობა დიდხანს გაგრძელდებოდა.

მაგრამ, როგორც გამოირკვა, პანკარო გამოირჩევა ერთგულებით. მის მდგომარეობაში (ის ხომ იტალიის ჩემპიონი გახდა „მილანის“ შემადგენლობაში) ბევრს, ალბათ, „ვარსკვლავთ ავადმყოფობა“ დაემართებოდა.

ყოველ შემთხვევაში, ის ქალიშვი-

ლისადმი ძალზე კეთილშობილურად იქცევა. სეზონის დასაწყისში მან ვინჩენცე თავის თანაგუნდელებს წარუდგინა. ახლა კი, ნაცნობობის დაწყებიდან ოთხი თვის შემდეგ, ამ წყვილით მილანელებიც ხარობენ. მათ სასიქადულო ფეხბურთელი და მისი გულისსწორი ერთმანეთის შესაფერისად მიაჩნიათ.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 259, კვირა, 7 ნოემბერი, 2004 წელი.

ნატალია პუშკინა — რომანის ავტორი

ნიჟეგოროდის უნივერსალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში გაიმართა ალექსანდრე პუშკინის ქალიშვილის ნატალია პუშკინა-მერენბერგის წიგნის — „ვერა პეტრეს ასული. პეტერბურგული რომანი" წარდგინება.

ნიჟეგოროდელებს ნაწარმოები გააცნო პოეტის შვილთაშვილთაშვილმა, გრაფინია კლოტილდა ფონ მერენბერგმა. ამ რომანის ხელნაწერი — გოთური გერმანული ტექსტით შევსებული ძველი ქაღალდის ფურცლები დეიდისაგან მემკვიდრეობით მიიღო დიდი პოეტის შვილთაშვილმა, გრაფმა ფონ მერენბერგმა. ეგებ რომანს ვერც ეხილა დღის სინათლე, შემთხვევით რომ გრაფინია კლოტილდას არ აღმოეჩინა კარადაში დამტვერილი ხელნაწერი და არ დაედგინა, რომ ის დიდი ბებიის ნატალია ალექსანდრეს ასული პუშკინას (ფონ მერენბერგზე გათხოვილის) კალამს ეკუთვნის. რაც უფრო უღრმავდებოდა ტექსტს, მით უფრო სცნობდა რომანის გმირში, ვერა პეტრეს ასულში, ალექსანდრე პუშკინის უმცროსი ქალიშვილის ნატალიას თვისებებს, დედამისსა და სახლის დიასახლისში — ნატალია ნიკოლოზის ასულ პუშკინას, მამინაცვალში — გენერალ ლანსკის. თვით სიუჟეტი კი აგებულია პოეტის ქალიშვილის პირველი ქორწინების ნამდვილ ისტორიაზე.

გინესის წიგნის იუბილე

დღის სინათლე იხილა სახელგანთქმული გინესის რეკორდების წიგნის 50-ე გამოცემამ. განვლილ ნახევარ საუკუნეში მსოფლიო რეკორდების ეს კრებული უფრო სქელი, უფრო ინფორმაციული და, რასაკვირველია, უკეთ ილუსტრირებული გახდა. მთავარი რამ კი შეუცვლელი დარჩა — ადამიანები ადრინდებურად ესწრაფვიან იქ მოხვედრას. თუნდაც ბოლო გამოცემა ავიღოთ: სხვა ფენომენთა შორის ვხვდებით ისრაელელს, რომელსაც მსოფლიოში ყველაზე მძიმე ლიმონი მოუყვანია, ვხვდებით საკრედიტო ბარათის სიდიდის ბრიტანულ ქოფაკსაც...

გინესის რეკორდების წიგნი პირველად 1954 წლის აგვისტოში გამოჩნდა, ასეთი ცნობარის გამოშვების იდეა სერ ჰიუ ბივერს მოუვიდა თავში, ლუდის გამომხდელი კომპანიის „გინესის" მაშინდელ მმართველს. მისი ფიქრით, გამოცემა ფასდაუდებელ დახმარებას გაუწევდა ათასგვარი ვიქტორინის კითხვებზე პასუხების მაძიებლებს.

შარშან, ოქტომბერში, გაყიდული წიგნის რიცხვმა 100 მილიონ ცალს გადააჭარბა. ეს წელიწდეული თვითონ აცხადებს პრეტენზიას რეკორდზე: მსოფლიოში მხოლოდ ბიბლიისა და ყურანის გამოცემებია მეტი რაოდენობით გაყიდული.

2004 წლის გეგმა 3,5 მილიონი ეგზემპლარი გახლავთ, მსოფლიოს ხალხთა 23 ენაზე 100-ზე მეტ ქვეყანაში გამოცემული. საიუბილეო 50-ე გამოცემა, როგორც მოსალოდნელი იყო, საკოლექციოა. აქ არის მრავალი ინტერვიუ გამოჩენილ და ყველაზე დაუჯერებელი რეკორდების მფლობელ ადამიანებთან — კერძოდ, ბილ გეიტსთან, „სიმფსონების" შემქმნელ მხატვართან მეტ გრენინგთან, სერ პოლ მაკარტნისთან...

„სოპრანოს კლანმა" თავისას მიაღწია

ლოს-ანჯელესში შედგა ამერიკული სატელევიზიო პრემიის „ემის" გადაცემის 56-ე ცერემონიალი. ყველაზე მეტი ჯილდო შეხვდა HBO ტელეარხის სერიალს „ანგელოზები ამერიკაში", რომელიც 1990-იანი წლების აშშ-ში არსებულ შიდსის პრობლემაზე მოგვითხრობს. პრემიები მიენიჭათ მსახიობებს ალ პაჩინოს, მერილ სტრიპს, ჯეფრი რაიტსა და მერი-ლუიზა პარკერს, სცენარისტ ტონი კუშნერს და რეჟისორ მაიკ ნიკოლსს, თვით ტელეფილმი კი საუკეთესო მინი-სერიალად აღიარეს.

როგორც იქნა, საუკეთესო დრამატულ სერიალად სცნეს „სოპრანოს კლანი", ასევე გადაღებული HBO ტელეარხისათვის და უკვე ოთხჯერ ნომინირებული პრემიაზე. მასში ნათამაშევმა მსახიობებმა მაიკლ იმპერიოლიმ და დრეა დე მატეომ პრიზები მიიღეს, როგორც მეორე პლანის საუკეთესო მსახიობმა მამაკაცმა და მსახიობმა ქალმა. აი, „სოპრანოს კლანის" მთავარმა ვარსკვლავმა — ჯეიმს განდოლფინიმ და ედი ფალკომ წააგეს მსახიობებთან ჯეიმს სპეიდერთან და ელისონ ჯენისთან (ABC ტელეარხის სერიალი „პრაქტიკა" და HBC ტელეარხის სერიალი „დასავლეთ ფრთა").

ნომინაციაში „საუკეთესო კომედიური სერიალი" გაიმარჯვა FOX ტელეარხის ფილმმა „შენელებული განვითარება". ის ეჯიბრებოდა პოპულარულ ქალურ სერიალს „სექსი დიდ ქალაქში", რომლის ჩვენება ახლახან დასრულდა ამერიკაში. თუმცა დაუჯილდოებლად არც ეს სერიალი დარჩენილა — ნომინაციაში „საუკეთესო კომედიური მსახიობი ქალი" გაიმარჯვა მისმა მთავარმა გმირმა სარა ჯესიკა პარკერმა, ხოლო სინტია ნიქსონმა (ერთ-ერთი სამი განუყრელი დობილთაგანი) პრიზი მეორე პლანის საუკეთესო კომედიური როლისათვის მიიღო.

ორი ჯილდო ხვდათ კელსი გრემერსა და დევიდ ჰაიდ პირსს — მთავარი როლისა და მეორე პლანის როლის შესრულებისათვის სერიალში „ფრეიზერი ". რეჟისორ ანდრეი კონჩალოვსკის ტელეფილმმა „ლომი ზამთარში", რომელიც ინგლისის მეფის ჰენრიხ მეორისა და მისი მეუღლის არცთუ მარტივ დამოკიდებულებებზე გვიამბობს, პრემია მოიპოვა მხოლოდ „მინი-სერიალის საუკეთესო კოსტიუმისათვის". სხვა ნომინაციებში მან წააგო უფრო წარმატებულ მეტოქეებთან.

როდის მთავრდება კარიერა

მერილ სტრიპს ჰოლივუდის ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ და ყველაზე წარმატებულ მსახიობ ქალად მოიხსენიებენ. ის ორჯერ გახდა „ოსკარის" მფლობელი და ცამეტჯერ (!) იყო ამ ჯილდოზე ნომინირებული. თამაშობდა სულ სხვადასხვა როლს — ჰოლოკოსტის მსხვერპლი „სოფის არჩევანში", XIX საუკუნეში მცხოვრები მიმზიდველი ინგლისელი „ფრანგი ლეიტენანტის ქალში", პროფკავშირელი აქტივისტი „სილკვუდში", სენატორი ელინორ შოუ „მანჯურელ კანდიდატში" (სხვა ფილმებიდან გავიხსენოთ, თუნდაც, „ირმებზე მონადირენი" და „შეყვარებულები").

მერილის შრომისმოყვარეობაზე ლეგენდებს ჰყვებიან: „გულის მუსიკაში" ვიოლინოზე დაკვირის მასწავლებლის როლის სათამაშოდ მსახიობი ორი თვე, ყოველდღიურად, ხუთხუთი საათი მეცადინეობდა (ამ სურათში მადონა შეცვალა, რომელმაც „ევიტაში" დაიწყო გადაღება). მომწიფებული ასაკის ჰოლივუდელთა შორის მერილი ერთადერთია, რომელიც როლების ნაკლებობას არ უჩივის. ამას წინათ იგი გადაიღეს ფილმში „უსიამოვნო ამბების სერია", სადაც დეიდა ჟოზეფინა ითამაშა და ჯიმ კერის პარტნიორი გახლდათ. მსახიობმა უკვე მოაწერა ხელი კონტრაქტებს 2005 წელს ხუთ (!) და 2006-ში ორ სურათში გადაღებაზე.

„ვფიქრობ, თუ მსახიობ ქალს უნდა სულ ახალგაზრდა ქალიშვილივით გამოიყურებოდეს, მისი კარიერა დასრულებულია. ყოველი ნაოჭის გამო თუ სასოწარკვეთას მიეცემა და ნაოჭების წინააღმდეგ დაიწყებს ბრძოლას, სამუშაოდ აღარც ძალა ეყოფა და აღარც დრო. მე ეს არ მაინტერესებს. როცა ჩემთვის მნიშვნელოვანია რომელიმე გმირის თამაში, სულაც არ მაღელვებს მისი ასაკი", — ამბობს მერილ სტრიპი.

ეკრანის მიღმაც მსახიობის ცხოვრება ბედნიერად აეწყო, რაც ჰოლივუდისათვის ცოტა უჩვეულოცაა. 1979-ში მან მოქანდაკე დონ გუმარზე იქორწინა და ოთხი შვილი გააჩინა (უფროსი ვაჟი ჰენრი ახლა 25 წლისაა და როკმუსიკოსობას ეპირება, უმცროსი გოგონა ლუიზა კი ცამეტის). აგერ, 25 წელზე მეტია, რაც მერილი სამაგალითო ცოლად, ნაზ დედად და ჩინებულ დიასახლისად წარმოგვიდგება: და მაინც, თავის მთავარ ღირსებად ჩვეულებრივი ადამიანებივით ცხოვრების უნარს მიიჩნევს, რომელთაც კინოს სამყაროსთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ: „არ ვესწრები რაღაც საღამოებს და არც პრემიერებზე დავდივარ. უბრალოდ, შინიდან გადასაღებ მოედანზე მივემგზავრები, ვმუშაობ იქ, ან მეგობრებთან ვატარებ თავისუფალ დროს. ჩემი პროფესია მეხმარება გარდასახვაშიც და შეუმჩნევლად, ბრბოში გაუჩინარებულად დარჩენაშიც" — ესეც მერილ სტრიპის ნათქვამია...

სასწაულმოქმედი სტიმულატორი

საიდუმლო არ არის, რომ დღეს ბევრი ჩვენგანი ვერ ბედავს მიმართოს ექიმს. ამისი მიზეზი სხვადასხვაა, და არა მარტო ფინანსური. ადამიანების უმრავლესობას ეშინია, რომ ისინი შეიძლება მოხვდნენ დილეტანტის ან არაკეთილსინდისიერი მკურნალის ხელში. მაგრამ, მაინც არიან სპეციალისტები, რომლებთანაც პაციენტები მიდიან ღრმად დარწმუნებული იმაში, რომ ექიმი მათ აუცილებლად დაეხმარება. ერთ-ერთი ასეთი ექიმი არის მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, რესპუბლიკურ საავადმყოფოსთან არსებული პოლიკლინიკის სურდოლოგოპედიური განყოფილების გამგე, ერთი გამოგონებისა და რვა რაციონალური წინადადების ავტორი, ექიმი-ოტონარინგოლოგი, სხვადასხვა დაავადების მკურნალობის უახლესი მეთოდების დამფუძნებელი სამსონ აბრამიძე.

— სანამ მინიკომპიუტერის მეშვეობით მკურნალობის შესახებ დავიწყებდეთ საუბარს, თუ შეიძლება ორიოდე სიტყვით გვიამბეთ თქვენს შესახებ.

— დავასრულე ლენინგრადის მე-2 სამედიცინო ინსტიტუტი. შემდეგ, ვოლოგდის ოლქის ქალაქ ბელოზერსკში გავიარე სპეციალიზაცია ყელ-ყურ-ცხვირის დაავადებათა განხრით. სხვათა შორის, სწორედ იქ იღებდა შუკშინი თავის „წითელ ძახველს"... თბილისში დაბრუნების შემდეგ ვმუშაობდი ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში, პარალელურად ვსწავლობდი ასპირანტურაში, აკადემიკოს ხეჩინაშვილის ხელმძღვანელობით დავიცავი სადოქტორო დისერტაცია თემაზე „სმენისაღდგენითი ოპერაციები", რომლის შედეგიც გახდა კერამიკული პროთეზები. სამწუხაროდ, ამჟამად, ასეთი ოპერაციების გაკეთება ტექნიკური მიზეზების გამო შეუძლებელია. პარალელურად, ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებიდან, ვსწავლობდი აღმოსავლურ მედიცინას, იოგას.

— ანუ, ეს თქვენი გატაცებაა?

— არა, მთლად ასე არ გახლავთ. მე ამას სამეცნიერო ინტერესს ვუწოდებდი. 1993 წლიდან სურდოლოგოპედიური განყოფილების ბაზაზე, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, აკადემიკოს სულაქველიძესთან ერთად დავაარსეთ ბიოენერგეტიკული მეთოდების შემსწავლელი ლაბორატორია. თუმცა, უნდა ითქვას, რომ შესაბამისი დაფინანსების უქონლობის გამო, ლაბორატორია, უმეტესწილად, პირადი ენთუზიაზმის წყალობით მოქმედებს.

— კონკრეტულად რას შეისწავლით?

— ჩვენ ვსწავლობთ ადამიანის ორგანიზმზე კურორტის ფაქტორების, ბუნებრივი კომპონენტების ზემოქმედებას. განხორციელდა დიდი მუშაობა მუსიკა-თერაპიის სფეროში. როგორც ცნობილია, ყოველ ბგერას აქვს თავისი რხევის სიხშირე და, ორგანიზმზე ზემოქმედებით, იწვევს ამა თუ იმ ცვლილებას. სხვათა შორის, იგივე პრინციპი ჩადებულია ლოცვებშიც.

ამავე დროს, ჩვენთან, საქართველოში ოდითგანვე დაფასებული იყო კარგი ღვინო, როგორც ჯანმრთელობის წყარო. ხალხის გამოცდილებას დღეს სამეცნიერო მონაცემები ადასტურებს.

ძალზე საინტერესო შედეგები მივიღეთ ეგრეთ წოდებული წმინდა ადგილების მონახულებისას. რატომ? მაგალითად, წმინდანების საფლავებზე მიდის ათასობით გაჭირვებული, განკურნების იმედით. ამ ადგილებში ელექტრომაგნიტური წარმოშობის მძლავრი ენერგეტიკული გამოსხივება დაფიქსირდა. ასეთივე გამოსხივებას გამოსცემენ სასწაულთმოქმედი ხატები, წმინდა ნაწილები.

— თქვენს კაბინეტთან მუდამ რიგია. რა სასწაულებს ახდენთ ამ პატარა ხელსაწყოს მეშვეობით, რომელიც ტელეფონის აპარატს წააგავს?

— არანაირი საიდუმლო არ არის. თუმცა, ამ აპარატს საკმაოდ რთული სახელი აქვს. თვითკონტროლირებადი ელექტრონეიროადაპტური სტიმულატორი. მე ხომ გესაუბრეთ ელექტრომაგნიტური ველის შესახებ. ნერვულ უჯრედს, ანუ ნეირონს, როგორც ცოცხალი ორგანიზმის ერთეულს, შეუძლია ნერვული იმპულსის, ანუ ელექტრული ტალღის გადაცემა. პირველად ეს დაამტკიცა XVIII საუკუნის იტალიელმა მეცნიერმა ლუიჯი გალვანიმ. XX საუკუნის 70-იანი წლების დამლევს რუსეთში ამის საფუძველზე შექმნეს ეს სტიმულატორი. ხელსაწყო, იმ აკუპუნქტურულ ზონაზე ზემოქმედებით, რომელიც აგებს პასუხს ამა თუ იმ ორგანოსათვის, თვითონ არჩევს კონკრეტული პაციენტისთვის საჭირო ნეირომსგავს იმპულსს, ელექტრონული ჯაჭვით აწვდის მას ტვინს, ტვინი კი თვითონ აამოქმედებს განკურნების პროგრამას.

— სტიმულატორი ლიცენზირებულია?

— რა თქმა უნდა, ლიცენზირებულიცაა და ყველა საჭირო კლინიკური გამოცდაც გაიარა.

— თანამდევი ეფექტი თუ არსებობს?

— არა, არანაირი თანამდევი ეფექტი არ არის. სტიმულატორით მუშაობის მთელი პრაქტიკის განმავლობაში, ეს კი 2000 წლიდან დაწყებული პერიოდია, ჩემს კარტოთეკაში არ არის აღრიცხული რაიმე თანამდევი ეფექტის წარმოქმნის, ან მდგომარეობის გაუარესების არც ერთი შემთხვევა. კურნავს არა სტიმულატორი, მე ამას ვუმეორებ ყველა პაციენტს, არამედ თვით ორგანიზმი, ჩემი მინი-კომპიუტერი კი მხოლოდ ახდენს თვითრეგულაციის პროცესის სტიმულირებას, განკურნების პროგრამა მოჰყავს მოქმედებაში.

ის. მე-7 გვ.

ქ რ ო ნ ო გ რ ა ფ ი

1943 წლის 8 ნოემბერი

წითელი არმიის მხედართმთავრებისათვის უმაღლესი ჯილდოს სახით სსრ კავშირში დააწესეს „გამარჯვების" ორდენი. 30 ასეთი ორდენისათვის (სწორედ ამდენი დაამზადეს) საჭირო გახდა 400 ბრილიანტი და 9 კილოგრამი პლატინა. „გამარჯვების" ორდენით 17 დაჯილდოებულს შორის იყვნენ საბჭოთა კავშირის მარშლები ი. ბ. სტალინი, გ. კ. ჟუკოვი, ა. მ. ვასილევსკი (ეს უკანასკნელნი — ორჯერ), ამერიკელი გენერალი დ. ეიზენჰაუერი, იუგოსლაველი მარშალი ი. ბროზ ტიტო. დაჯილდოებულთა შორის აღმოჩნდა რუმინეთის მეფე მიხაი პირველიც, რომელიც რამდენიმე წლის შემდეგ დაამხეს კომუნისტებმა. 1978 წელს კი ორდენის კავალერი მოულოდნელად გახდა ლ. ი. ბრეჟნევი, მაგრამ 1989 წელს, ძვირფასი ორდენი ბრეჟნევის ოჯახს ჩამოართვეს.

1799 წლის 9 ნოემბერი



პარიზში დაიწყო სახელმწიფო გადატრიალება, რომელსაც მოგვიანებით ეწოდა „18 ბრიუმერის" გადატრიალება. მისი ორგანიზატორი იყო ბრწყინვალე მხედართმთავარი, თავგამოდებული ანტიმონარქისტი და საფრანგეთის რევოლუციის ქომაგი ნაპოლეონ ბონაპარტი. მაღალ ეშელონებში შეთქმულებისა და მისი ერთგული სამხედროების მხარდაჭერით, ბონაპარტმა არარსებული მტრებისგან რესპუბლიკის გადარჩენის საბაბით, საკუთარი თავი პარიზის სამხედრო ოლქის სარდლად გამოაცხადა, დაშალა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები, დაამყარა სამი კონსულის დიქტატურის რეჟიმი. პირველი კონსული, ანუ სახელმწიფოს ფაქტობრივი მეთაური, თვით ნაპოლეონი გახდა. 1802 წელს ბონაპარტს მიენიჭა სამუდამო კონსულის წოდება, ორი წლის შემდეგ კი — იმპერატორად გამოაცხადეს.

1983 წლის 10 ნოემბერი

გამოჩნდა პირველი კომპიუტერული ვირუსი, უფრო სწორად მისი პროტოტიპი. ამერიკის სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტის სტუდენტმა ფრედ კოენმა შეადგინა პროგრამა, მისი საშუალებით, შესაძლებელი იყო კომპიუტერის „დასნეულება" ვირუსით, რომელიც 5 წუთიდან 1 საათამდე სიჩქარით მრავლდებოდა. მომდევნო წელს კოენმა შექმნა ნაშრომი, რომელშიც იგი გვაფრთხილებდა არა მარტო საკომპიუტერო ქსელში ვირუსების გავრცელების საშიშროების შესახებ, არამედ ანტივირუსული პროგრამის შესაძლებლობებზეც წერდა. „ბრაიანის" სახელით ცნობილი პირველი ლაბორატორიული ვირუსი, რომელსაც შეეძლო მხოლოდ დისკეტის „დაავადება", გამოჩნდა 1986 წელს პაკისტანში. პირველი ანტივირუსული პროგრამა კი ორი წლის შემდეგ შეიმუშავეს.

1837 წლის 11 ნოემბერი



საზეიმო ვითარებაში გაიხსნა 24 ვერსის (25,6 კილომეტრი) სიგრძის პირველი რკინიგზა, რომელიც პეტერბურგს ცარსკოე სელოს უკავშირებდა. იმდროინდელ მატარებელს შეეძლო 288 მგზავრის გადაყვანა.

1717 წლის 12 ნოემბერი

გერმანელმა ალქიმიკოსმა, ექიმმა, მექანიკოსმა და — ლეგენდარულმა თაღლითმა — ავანტიურისტმა იოჰან ერნსტ ელიას ბესლერ-ორფირეუსმა, ცნობილი ფიზიკოსების თანდასწრებით, თავის მფარველს ლანდგრაფ კარლ ჰესენ-კასელელს უჩვენა მის მიერ გამოგონილი „მუდმივი ძრავა". ძრავა ოთახში ჩაკეტეს და, როცა ორი კვირის გასვლის შემდეგ შეამოწმეს, დარწმუნდნენ, რომ ბორბალი წინანდელი სიჩქარით ბრუნავდა. როცა ორი თვის შემდეგაც იგივე განმეორდა, ორფირეუსმა სახელი მთელს ევროპაში გაითქვა, თუმცა, იგი თავის საიდუმლოს არავის უმხელდა. და მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ მისმა მსახურმა ქალმა მაინც ახადა ფარდა თავისი ბატონის ხრიკს, თუმცა, თავის დროზე მან ორფირეუსს შეჰფიცა, რომ არავისთან კრინტს არ დაძრავდა. როგორც გაირკვა, „მუდმივი ძრავის" ბორბალი ბრუნვაში მოჰყავდათ მეზობელი ოთახიდან გამოჭიმული თოკის მეშვეობით.

1246 წლის 13 ნოემბერი



რომის პაპის ინოკენტ IV წარგზავნილთან, 64 წლის იტალიელ ფრანცისკანელ ბერთან ჯოვანი და პლანო დელ კარპინისთან ჩინგიზ-ყაენის შვილიშვილის დიდი ყაენის გუიუქის ხანმოკლე შეხვედრის შემდეგ, პაპის წარგზავნილს ყარაყორუმში გადასცეს წერილობითი პასუხი პონტიფექსის სახელზე. წერილი ასეთი ფრაზით მთავრდებოდა: „ჩვენ ვეთაყვანებით ჩვენს ღმერთს და მისი წყალობით დავანგრევთ მთელ მსოფლიოს აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე". ასე ჩაიშალა პაპის გეგმა, დაედო ზავი მონღოლებთან მუსლიმანების წინააღმდეგ, მაგრამ კარპინის მისიას, რომელმაც მისცა დასაბამი ევროპელების დიდ მოგზაურობებს აზიაში, თავისთავად, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

1888 წლის 14 ნოემბერი

პარიზში საფრანგეთის პრეზიდენტის ს. კარნოს თანდასწრებით საზეიმო ვითარებაში გაიხსნა პასტერის ინსტიტუტი, რომლის აშენებისა და აღჭურვისათვის დაიხარჯა საერთაშორისო ხელმოწერით შეგროვილი ხარჯები. ინსტიტუტის პირველ დირექტორად დანიშნეს მიკრობიოლოგიის ფუძემდებელი ლუი პასტერი, რომლის წარმატებული მუშაობისთვის იქმნებოდა კიდეც ეს სამეცნიერო დაწესებულება. 1888 წელს პასტერის წინადადებით, ინსტიტუტის ერთ-ერთ ლაბორატორიას სათავეში ჩაუდგა რუსი მეცნიერი ი. ი. მეჩნიკოვი. 1904 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მეჩნიკოვს ეკავა პასტერის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის თანამდებობა 1908 წელს კი მას მიენიჭა ნობელის პრემია მედიცინისა და ფიზიოლოგიის დარგში.

„№ 1 ქურდის" აღსარება

მის მსხვერპლთა შორის ყველაზე სახელგანთქმული ადამიანები იყვნენ

„გასაოგნებელი აღსარება! ვნებათაღელვისა და მოვლენათა განვითარების სიმძაფრით მას ვერ შეედრება ვერც ერთი სათავგადასავლო რომანი", — წერდა „დეილი მირორი". „მეისონი აღფრთოვანებას იწვევს", — ასე ეხმაურებოდა ამ მოვლენას ლონდონის გაზეთი „ტაიმსი".

უილიამ მეისონს — მემუარების ავტორს — უწოდებენ ისტორიაში ყველაზე დიდ ქურდს. მან გაძარცვა უმდიდრესი და ძალზე ცნობილი ადამიანები — მულტიმილიონერი არმანდ ჰამერი, რუსეთის და პირადად ლენინის დიდი მეგობარი, ოლიმპიური ჩემპიონი და ტარზანის როლის პირველი შემსრულებელი ჯონი ვაისმიულერი, ცნობილი კომიკოსი ბობი ჰოუპი და თვით ამერიკის მაფიის ბოსებიც კი...

ყველაზე ცნობილი და სახელმოხვეჭილი ადამიანები პატივად მიიჩნევდნენ ურთიერთობას დახვეწილი მანერების მქონე, წარმოსადეგ მდიდარ ადამიანთან, რომელიც ფლანგავდა მილიონებს და მუდამ უმაღლეს საზოგადოებაში ტრიალებდა.

ბოლოს და ბოლოს, მეისონიც მოხვდა საპყრობილეში, თუმცა, მოახერხა გაქცევა. იგი ხუთ წელიწადზე მეტ ხანს იმალებოდა, თუმცა ამ ადამიანზე გამოცხადებული იყო ძებნა მთელი ქვეყნის მასშტაბით, და მასზე ნადირობდნენ პოლიციისა და გამოძიების ფედერალური ბიუროს საუკეთესო აგენტები.

აი, ახლა გამოჩნდა „№ 1" ქურდის წიგნი, რომელიც ინგლისურენოვან ქვეყნებში ბესტსელერად იქცა: „ცხრა სიცოცხლე: ძვირფასეულობათა სუპერქურდის აღსარება". როგორც ავტორი წერს, წიგნი ეძღვნება იმ ადამიანებს, რომლებსაც „ყველაფრის მიუხედავად, მაინც ვუყვარვარ". გთავაზობთ რამდენიმე ნაწყვეტს ამ წიგნიდან.

იღბლიანი

„უკვე მქონდა ქურდის ბობოქარი ოცდაათწლიანი კარიერა. ჩემთვის არაერთხელ უსვრიათ, ერთხელ კინაღამ მომკლეს კიდეც, მე დავანგრიე ჩინებული ოჯახი, თუმცა, ამავე დროს, შევძელი ფეხზე დამეყენებინა ოთხი შვილი (მათი მამის, მეტი რომ არ ვთქვათ, უცნაური პროფესიის მიუხედავად). და ვერავინ ვერასდროს ვერ შეძლო ვემხილებინე დანაშაულში.

ამის გაკეთება იოლი არ იყო, თუნდაც იმიტომ, რომ მე, ერთი შეხედვით, არ მქონდა მოტივი ქურდობისათვის: ღარიბი არ ვიყავი, შეძლებულ, რესპექტაბელურ ოჯახში დავიბადე. ქურდობა კი დავიწყე ერთი უბრალო მიზეზის გამო — მე ეს მომწონდა. ჩემი წიგნი არ გეგონოთ ყოველივე იმის გამართლებად, რასაც ვაკეთებდი. მე დამნაშავე ვიყავი, ამიტომ, ამას გამართლება ვერ ექნება, ვერ ექნება იმ შემთხვევაში, თუ შენ არ შიმშილობ, ან არ ცხოვრობ იქ, სადაც არანაირი კანონი არ მოქმედებს.

თავი იღბლიან ადამიანად შეიძლება მივიჩნიო. ჩემს ერთ-ერთ ყველაზე დიდ წარმატებად ვთვლი არმანდ ჰამერის — ნავთობის გიგანტური კომპანიის „ოქსიდენტელ პეტროლეუმის" თავმჯდომარისა და დიდი ფილანტროპის აპარტამენტის გაძარცვას.

რამდენიმე კვირის განმავლობაში ვადევნებდი თვალყურს ჰამერების ოჯახურ წყვილს, ვსწავლობდი მათ ჩვევებს, დღის განრიგს. დავრწმუნდი, რომ ისინი შინ დარბაზობებიდან და მიღებებიდან ადრე ბრუნდებოდნენ — დაახლოებით საღამოს ათი საათისთვის. რა ხდებოდა მათ სახლში საღამოს რვიდან ათ საათამდე? მათ მოპირდაპირე სახლში ერთი ბინა მუდამ ჩაბნელებული იყო. შევიტყვე, რომ ეს ერთ-ერთი სოლიდური კომპანიის აპარტამენტი ყოფილა, რომელშიც სხვა ქალაქებიდან და ქვეყნებიდან ჩამოსული სტუმრები ჩერდებოდნენ.

დავიწყე „ბინის აღების" და, თუ არ გამიმართლებდა იმ შემთხვევაში, გაქცევის გეგმის შემუშავება. გადავწყვიტე დავლოდებოდი შტორმს, როცა სანაპირო დაცარიელდებოდა, ჭექა-ქუხილისა და კოკისპირული წვიმის ხმა კი ნებისმიერ ხმაურს ჩაახშობდა.

ნახევარი თვის შემდეგ, როგორც იქნა დადგა ჩემთვის სასურველი „ამინდი". როცა ირგვლივ შტორმი ბობოქრობდა, კაუჭისა და თოკის კიბის მეშვეობით მოვახერხე მეთხუთმეტე სართულზე აძრომა, სადაც განლაგებული იყო სტუმრებისათვის განკუთვნილი აპარტამენტები. სპეციალური იარაღებით გავაღე ჯერ კარი, შემდეგ — ფანჯარა, გადავძვერი აივანზე და შევაღწიე დოქტორ ჰამერის ბინაში. უნდა გამოგიტყდეთ, ძალზე „უსიამოვნო მოგზაურობა" იყო. კოკისპირულ წვიმაში მთლად გავილუმპე. ერთი ფეხი რომ დამცდენოდა, ყველ

ის. მე-7 გვ.

„№ 1 ქურდის“ აღსარება

(მეექვსე გვერდიდან)

არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ მე ვცდილობდი არ მოვხვედრილიყავი კამერების მხედველობის არეში, რომლებსაც სათვალთვალოდ იყენებდნენ დაცვის მუშაკები. ჩემს საქმეში ძალზე მნიშვნელოვანია, რომ დაძლიო საკუთარი შიში, თუმცა, არც სიფრთხილე უნდა დაგავიწყდეს, მუდამ ფხიზლად უნდა იყო, მაგრამ იმდენად არა, რომ ჩაშალო საკუთარი გეგმა.

რომ იცოდეთ, რა სიმშვიდე დამეუფლა, როცა ფეხი შევდგი ჰამერის აივანზე!

ბინაში შესვლისას, მალევე ვიპოვე ძვირფასეულობა, რომელიც საძინებელ ოთახში დიდ ყუთში იდო. როცა შინ დავბრუნდი, მხოლოდ მაშინ მივეცი საკუთარ თავს უფლება, ხეირიანად დამეთვალიერებინა ჩემი ნადავლი: უამრავი ბრილიანტის სამკაული, შესანიშნავი ოქროს სამაჯურები, ბეჭდები და საყურეები...

პოლიციამ ვერ შეძლო დაედგინა, თუ ვინ მოიპარა ყოველივე ეს. ახლა კი ვაღიარებ, რომ ქურდი მე ვიყავი“.

უიღბლობათა სერია

მეისონი თავის მემუარებში გვიამბობს, თუ როგორ გამოიქცა საპყრობილიდან და როგორ მოიარა მთელი ამერიკა, როცა ემალებოდა მართლმსაჯულებას. თუმცა, არც ამ პერიოდში დაუნებებია თავი „ძირითადი საქმისთვის“. მაგალითად, უილიამი შევიდა პოპულარული კომიკოსის ბობ ჰოუპის აპარტამენტში, რომელიც საქვეყნოდ იყო განთქმული თავისი სიძუნწით. მაგრამ ქურდს ხელი მოეცარა – იქ ვერაფერი იპოვა.

„ერთხელ, წერს ავტორი, გავიცანი მარგო ჰემინგუეი, და, მართალია, მიცვალებულებზე ცუდს არ ამბობენ, მაგრამ მაინც შევნიშნავ, რომ საშინელი ხასიათის ქალი იყო. ისეთი, როგორიც ჯერ არ შემხვედრია. იგი მუდამ მდიდრულ სამკაულებს ატარებდა, ყოველთვის – სხვადასხვას. როცა მარგო ერთ-ერთ წვეულებაზე დროს ატარებდა, მე შევედი თავის ბინაში, თუმცა, იქ რაიმე განსაკუთრებული ძვირფასი ნივთები ვერ ვიპოვე, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ოქროს სამშვენისს.

ელიზაბეტ ტეილორით უკვე კარგა ხანია დაინტერესებული ვიყავი. მას ჰქონდა ძვირფასი სამკაულების ლეგენდარული კოლექცია და ელიზაბეტი, ისევე, როგორც მისი მრავალი ქმარი და საყვარელი, ძალზე ზრუნავდნენ ამ საუნჯის უსაფრთხოებისთვის. მრავალი წლის განმავლობაში ვკითხულობდი ყველაფერს, რაც ამ მსახიობს ეხებოდა, და ვიცოდი, რომ როცა რიჩარდ ბარტონს იღებდნენ ფილმში „იგუანის ღამე“, მას და ელიზაბეტს ძალზე მოეწონათ პატარა ქალაქი მექსიკაში პუერტო-ვალარტა, სადაც იყიდეს სახლი. სულ იმაზე ვფიქრობდი, თუ როგორ „დამებომბა“ ეს რაიონი.

ბოლოს, ჩავფრინდი იქ ყალბი პასპორტით. ჩემი დამტვრეული ესპანურის წყალობით მალე შევიტყვე, პრაქტიკულად, ყველაფერი ტეილორის სახლის შესახებ. ამ პატარა ქალაქის მცხოვრებლებისთვის უჩვეულო არ ყოფილა, რომ ტურისტი დაინტერესდა ამით. არ მახსოვს, მაშინ ელიზაბეტი და რიჩარდი იყვნენ თუ არა დაქორწინებულები, მაგრამ მათ შორის მომხდარი დიდი უსიამოვნების შესახებ პუერტო-ვალარტაში ყველამ იცოდა. იმ დროისთვის ტეილორი იქ არ იყო და სახლში მხოლოდ მსახურები ცხოვრობდნენ.

მის საძინებელში მოხვედრა, რომელიც სახლის მეორე სართულზე იყო, არ გამიჭირდებოდა, ორჯერ შეუმჩნევლადაც კი მოვახერხე შემეღწია შენობაში, მაგრამ ვეჭვობდი, რომ იქ რაიმე ძვირფასეულობა დამხვედრებოდა. გადავწყვიტე, აღარ გამერისკა, რადგან რაიმე კვალის დატოვება ჩემს მდგომარეობაში მყოფი ადამიანისთვის, მაშინ დიდი წინდაუხედაობა იქნებოდა. აი, ელიზაბეტი რომ ჩამოსულიყო პუერტო-ვალარტაში, ამით იგი ძალზე დიდად შემიწყობდა ხელს.

უნდა გითხრათ, რომ კიდევ სამჯერ ჩავედი იმ ქალაქში მაშინ, როცა ჩემი გაანგარიშებით ტეილორი იქ უნდა ყოფილიყო, მაგრამ იგი პუერტო-ვალარტაში ჩემი ყოფნის დროს არც ერთხელ არ გამოჩენილა.

საპყრობილე და ახალი ცხოვრება

როცა ატლანტის აეროპორტში, როგორც იქნა შეიპყრეს უილიამ მეისონი, ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური გაზეთები პირველ გვერდებზე წერდნენ, რომ „დასრულდა მთელი ამერიკის მასშტაბით გამოცხადებული ხუთწლიანი ნადირობა“. მეისონი საგულდაგულოდ გამოკეტეს საკანში, რის შესახებაც იგი ასე წერს: „არ დაგიმალავთ, საკანში შემეშინდა. პატიმრობის პირველივე დღეებში უამრავი საშინელება მოვისმინე. მაგალითად, მომიყვნენ, თუ როგორ სცემდნენ მედილეგეები პატიმარს, რომელსაც შემდეგ ბორკილებით მიაჯაჭვებდნენ კარს და უყურებდნენ, თუ როგორ იცლებოდა იგი სისხლისგან.

საკანში ჩემთან ერთად იჯდა ხანდაზმული მამაკაცი. მაშინ ამ კაცის შესახებ არაფერი ვიცოდი, მაგრამ მრავალი წლის შემდეგ მისი ფოტოსურათები ვნახე გაზეთებში. პოლიციელებმა ამ ადამიანის ფერმაში ამოთხარეს ქალის გვამი. საკანში ჩემი მეზობელი სერიული მკვლელი ყოფილა.

დღეში ათჯერ ყველა პატიმარს საგულდაგულოდ ითვლიდნენ. კვირაში ერთხელ შეიძლებოდა ბანაობა ცივ შხაპში. დანარჩენ დროს კი თითოეული ჩვენგანი აკეთებდა ყველაფერს საიმისოდ, რომ როგორმე თავიდან აგვეცილებინა მორიგი ცემა. საპყრობილის მცველები საშინლად გვამცირებდნენ და გვცემდნენ ყოველგვარი მიზეზის გარეშე.

როცა გამანთავისუფლეს (ვადამდე – სანიმუშო ქცევისთვის) მე და ჩემი მეუღლე ნიუ-იორკში გადავბარგდით და ახალი ცხოვრება დავიწყეთ. ჩვენი შვილები უკვე დამოუკიდებლად ცხოვრობდნენ. ჩვენ ვიძენდით სხვადასხვა სამკაულს და ვცდილობდით მათ სარფიანად გასაღებას. პრინციპში, ეს „ჩემი“ ბიზნესი იყო, მაგრამ ჩვენ ვერ შევძლებდით ძველებურად ცხოვრებას თავის დროზე ნაქურდალი ძვირფასეულობის ნაწილი რომ არ გადამემალა. დროდადრო რაღაც ნივთს მივიტანდი ნიუ-იორკის 47-ე ქუჩაზე მდებარე ანტიკვარიატით მოვაჭრე მაღაზიაში ან „კრისტის“ და „სოთბის“ აუქციონებზე.

მსურს ვისარგებლო შემთხვევით და ამ წიგნით მოვუხადო ბოდიში ყველას, ვისაც ზარალი მივაყენე და გული ვატკინე.

ცხოვრების თავიდან დაწყება რომ შემეძლოს, ყველაფერს სულ სხვაგვარად წარვმართავდი. თუმცა, ვინ უწყის, ჩვენ ხომ მხოლოდ იმაზე შეგვიძლია ვილაპარაკოთ, რაც უკვე მოხდა...“.

„ლიტერატურნაია გაზეტა“.

ვინ რითი ერთობა?

ექვსი წლის შესვენების შემდეგ თეატრის სცენას დაუბრუნდა ალენ დელონი. იგი ასრულებს ოჯახის უფროსის როლს, რომელიც კაფეში გაეცნობა მარტოხელა ქალს.

სპექტაკლს ეწოდება „რუსული გორაკები“. როგორც ამბობენ, დელონი დიდ კინოსაც დაუბრუნდება: იგი თავის ფილმში მონაწილეობისთვის მიიწვია სოფი კოპოლამ, ცნობილი რეჟისორის ფრენსის კოპოლას ქალიშვილმა.

* * *

სანქტ-პეტერბურგის გუბერნატორი ვალენტინა მატვიენკო სანქტ-პეტერბურგის ღია ჩემპიონატის დროს კორტზე გამოვიდა მარატ საფინთან ერთად.

ამ წყვილის მეტოქეები იყვნენ რუსეთის ჩრდილოეთის დედაქალაქის ვიცე-გუბერნატორი სერგეი ტარასოვი და ჩოგბურთელი ირაკლი ლაბაძე. მატჩი ძალზე კორექტული გამოდგა: წყვილებმა თითო სეტი მოიგეს, და ამრიგად, შეხვედრა ფრედ დასრულდა.

* * *



ტომ კრუზი გახდა პირველი უცხოელი მსახიობი, რომლის ხელის ანაბეჭდი გაჩნდა იაპონიის „დიდების ხეივანში“.

* * *

ამერიკელი მომღერალი კრისტინა აგილერა მალე აამოქმედებს ტანსაცმლის გამომშვებ საკუთარ ხაზს. აგილერას კოლექციიდან „სიახლეების“ ყიდვა შესაძლებელი იქნება უკვე მომავალი წლის გაზაფხულზე.

ეს ინფორმაცია საკმაოდ საინტერესოა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ კრისტინა აგილერა სათავეში უდგას ყველაზე უგემოვნოდ ჩაცმული სახელგანთქმული ადამიანების სიას.

ინტერესის გამოხატვის მოთხოვნა
საქართველოს პირველადი ჯანდაცვის განვითარების პროექტი
საკონსულტაციო მომსახურება

კრედიტი № 3702-GE

საქართველოს მიღებული აქვს 20.34 მილიონი აშშ დოლარის ეკვივალენტის კრედიტი საერთაშორისო განვითარების ასოციაციისაგან საქართველოს პირველადი ჯანდაცვის განვითარების პროექტისათვის, ამ კრედიტის ნაწილი გამოიყენება ამ პროექტის ფარგლებში საქონლის, სამუშაოებისა და საკონსულტაციო ხარჯების დასაფარად. პირველადი ჯანდაცვის განვითარების პროექტის ძირითადი მიზანია გააუმჯობესოს საქართველოს მოსახლეობისათვის პირველადი ჯანდაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობა და მისი ხარისხი.

ამ პროექტის ძირითადი კომპონენტები შემდეგს მოიცავს: ა) პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების აღჭურვა/რაციონალიზაცია ქვეყნის ფარგლებში, შერჩეულ რეგიონებში; ბ) პირველადი ჯანდაცვის პოლიტიკის განვითარება და ჯანდაცვის დაფინანსების რეფორმირება; გ) ჯანდაცვის მართვის საინფორმაციო სისტემის განვითარება; დ) პირველადი ჯანდაცვისათვის ადამიანური რესურსების განვითარება; ე) ინფორმაციის, განათლებისა და კომუნიკაციების მიზანმიმართული კამპანიის ჩატარება.

საქართველოს ჯანდაცვისა და სოციალური პროექტების განმახორციელებელი ცენტრი იწვევს ადგილობრივ კონსულტანტებს თავიანთი ინტერესის გამოსახატად შემდეგი საქმიანობისათვის კონსულტაციის ჩასატარებლად:

საქართველოს პირველადი ჯანდაცვის სექტორში ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემაში ამჟამად არსებული, ან დაგეგმილი და განვითარების პროცესში მყოფი კომპიუტერული პროგრამების და ტექნიკის ტექნიკური აღწერილობის შექმნა.

შესასრულებელი სამუშაოების ზოგადი მიზნები:

1. ჯანდაცვის მართვის არსებული საინფორმაციო სისტემის შეფასება (კომპიუტერული პროგრამები და ტექნიკა);

2. ჯანდაცვის მართვის საინფორმაციო სისტემაში არსებული კომპიუტერული პროგრამის გამოყენების ანალიზი;

3. მომხმარებლის აზრის მოკლე მიმოხილვა არსებული და დაგეგმილი ჯანდაცვის მართვის საინფორმაციო სისტემის გამოყენების შესახებ;

4. არსებული ჯანდაცვის მართვის საინფორმაციო სისტემის სუსტი და ძლიერი მხარეების ამსახველი ანგარიში;

სავალდებულო კვალიფიკაცია:

1. უმაღლესი განათლება მართვის საინფორმაციო სისტემებში და/ან საინფორმაციო ტექნოლოგიებში;

2. არანაკლებ 5 წლის გამოცდილება ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემების შექმნასა და მართვაში;

3. არანაკლებ 5 წლის გამოცდილება ჯანდაცვის მართვის საინფორმაციო სისტემის შეფასებაში;

4. მსგავსი კომპლექსური სამუშაოების შეზღუდულ დროში შესრულების უნარი;

5. სასურველია გამოცდილება მსგავს სამუშაოებში აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში;

შესასრულებელი სამუშაოების სავარაუდო ვადაა 2 თვე.

კონსულტანტებს უნდა გააჩნდეთ ანალიზისა და მუშაობის, აგრეთვე გუნდთან თანამშრომლობის უნარი.

კონსულტანტები შერჩეულები იქნებიან მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელო დებულების სტანდარტების შესაბამისად:

მსოფლიო ბანკის მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება, 1997 წლის იანვარი (ხელახალი გამოცემა 1997 წლის სექტემბერი, 1999 წლის იანვარი, 2002 წლის მაისი).

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონ სამუშაოთა შესრულების შესაძლებლობის დამადასტურებელი დოკუმენტები (დიპლომების ასლები, თავფურცელი, რეზიუმე, მსგავსი ჩატარებული სამუშაოების აღწერა, წინა კლიენტების სულ ცოტა 2 სარეკომენდაციო წერილი).

ინტერესის გამოხატვის დამადასტურებელი საბუთები წარმოდგენილი უნდა იყოს არა უგვიანეს **2004 წლის 17 ნოემბრისა.**

საკონტაქტო პირი – ოფისის მენეჯერი, ეკა ეკიზაშვილი

ალ. ყაზბეგის გამზირი 23, 0160, თბილისი, საქართველო

ტელ/ფაქსი: +995 32 331934, 331839

ელ. ფოსტა: nforhealth caucasus. vet.

საქართველოს ჯანდაცვისა და სოციალური პროექტების განმახორციელებელი ცენტრი.

„ბუკერი“ მეორე ცდით

2004 წლის პრესტიჟული ბუკერის პრემიის ლაურეატი გახდა მწერალი ალან ჰოლინგჰერსტი – რომანისთვის „სილამაზის ხაზი“, რომელიც ჰომოსექსუალიზმისა და მარგარეტ ტეტჩერის მართვის ხანაზე მოგვითხრობს. ამ პრემიას წინა წლის საუკეთესო რომანისთვის ანიჭებენ ერთა ბრიტანული თანამეგობრობის ან ირლანდიის ტერიტორიაზე მცხოვრებ ავტორს.



გამარჯვებული რომანი ახალგაზრდა ინგლისელის ნიკ გესტის ცხოვრებაზე მოგვითხრობს, რომელიც 1983 წელს ჩასახლდა ბრიტანეთის პარლამენტის წევრის ჯერალდ ფადენსის ოჯახში. წლევანდელი ჟიურის თავმჯდომარის, ბრიტანეთის პარლამენტის თემთა პალატის წევრისა და ცნობილი საზოგადო მოღვაწის კრის სმიტის სიტყვებით, „წლეულს არაჩვეულებრივად ძნელი გამოდგა გადაწყვეტილების მიღება... გამარჯვებული რომანი დაწერილია წარმტაცად, ბრწყინვალედ, ღრმად იჭრება ტეტჩერული 80-იანი წლების კანქვეშ. სიყვარულის, სექსისა და სილამაზის ძიებები იმეიათად, რომ ასე შესანიშნავად იყოს აღწერილი“.

ჟიურის გადაწყვეტილება რომ შეიტყო, ჰოლინგჰერსტმა განუცხადა ასოშიეიტედ პრესს: „მიკვირს, ნაწარმოების დაწერის გრძელი და კამერული პროცესი როგორ მივიდა რაღაც მსგავს შედეგამდე...“

მომავალი მწერალი 1954 წლის მაისში დაიბადა ინგლისის გლოსტერშირის საგრაფოში. სწავლობდა და მერე კიდეც ასწავლიდა ოქსფორდში. ამჟამად ლონდონში ცხოვრობს. 10 წლის წინათ უკვე იყო წარდგენილი ბუკერის პრემიაზე. მაშინ ეგრეთ წოდებულ მოკლე სიაშიც შევიდა, მაგრამ ვერ გაიმარჯვა. რამდენიმე წლის განმავლობაში გაზეთ „ტაიმსის“ ლიტერატურული დამატების რედაქტორის მოადგილე გახლდათ.

ბუკერის პრემიის მოკლე სიაში წლეულს ექვსი წიგნი მოხვდა. გამარჯვებული რომანის გარდა, ეს არის ახმატ დანგორის „მწარე ხილი“, სარაჰოლის „ელექტრული მიქელანჯელო“, დევიდ მიტჩელის „ღრუბლების ატლასი“, კოლმ ტოიბინის „პატრონი“ და ჯერარდ ვუდვორდის „დასაძინებლად შუაღდისას დავწვები“. ფინალისტები, რომლებმაც პრემია ვერ მიიღეს, აგრეთვე არ დარჩებიან გულნაკლული. მათი წიგნები უკეთ გაიყიდება და პოპულარობაც გაიზრდება.

პრემიის 35-წლიანი ისტორია გვიჩვენებს, რომ „ბუკერის“ მფლობელი გაცილებით მეტ შესაძლებლობასა და უპირატესობას იღებს თავის ნაწარმოებთა გამოსაცემად და წინ წამოსაწევად. მაგალითად, შარშანდელი ლაურეატი გახლდათ დამწყები ავტორი პიტერ ფინლეი, რომელიც წერს ფსევდონიმით დი-ბი-სი პიერი (რომანისთვის „პატარა ღმერთი ვერნონი“). მისი წიგნი ბესტსელერად იქცა „ბუკერის“ მინიჭებისთანავე.

სხვათა შორის, ზოგიერთი ლაურეატისთვის პრემია ერთგვარი ტრამპლინიც გახდა უფრო მაღალი ჯილდოს მოსაპოვებლად. ასე იყო სამხრეთაფრიკელი მწერლის ჯ. მაქსველ კუტზეეს შემთხვევაში. ის ორჯერ ეღირსა „ბუკერს“ (1983 და 1999 წლებში) და შარშან პრემიის მოკლე სიაში შევიდა, 2003 წლის ოქტომბრის დასაწყისში კი ლიტერატურის დარგში ნობელიანტად გამოაცხადეს.

სასწაულმოქმედი სტიმულატორი

(მეექვსე გვერდიდან)

ცოცხალი ორგანიზმი, მით უმეტეს ისეთი მაღალგანვითარებული, როგორც ადამიანის ორგანიზმია, ურთულეს ბიოკომპიუტერს წააგავს, რომლის მთელი არსი ექვემდებარება ერთადერთ მიზანს – გადარჩენას. იგი, უბრალოდ, ვერ მიაყენებს საკუთარ თავს ზიანს. ავადმყოფობა არის შეფერხება ამ გადარჩენის პროგრამაში, თვითრეგულაციის დარღვევა.

– რატომ შევიტყვეთ ჩვენ ასე გვიან მინი-კომპიუტერის არსებობის შესახებ?

– ხელსაწყოს მხოლოდ 1991 წელს მოუხსნეს საიდუმლო გრიფი. მანამდე მისი არსებობის შესახებ მხოლოდ კრემლის გადაბერებულმა ელიტამ იცოდა. აპირებდნენ სტიმულატორი გამოეყენებინათ ისეთ ძვირადღირებულ და საპასუხისმგებლო კოსმოსურ პროექტებში, როგორც არის, მაგალითად, „ბურანი“.

– თუ შეიძლება, გვიამბეთ, რომელი დაავადება ექვემდებარება მკურნალობას?

– დაავადებათა რიცხვის მიხედვით, პირველ ადგილზე დგას ნევ- ნებიან ისეთი მტანჯველი დაავადებებისგან, როგორიც არის ფრონტიტი, ჰაიმორიტი. აღარ არის საჭირო ქირურგიული ჩარევა ტონზილატების დროს. ორი-სამი კურსის შემდეგ სიმპტომები, როგორც წესი, ქრება. მე, როგორც ყელ-ყურ-ცხვირის ექიმს, ძალზე მაინტერესებს, სმენის ნერვის ნევრიტის მკურნალობისას მიღებული შედეგები. უნდა ითქვას, რომ ეს დაავადება პრაქტიკულად განუკურნებელია და სმენის მკვეთრ დაქვეითებას იწვევს. ფაქტობრივად, ჩვენს წინაშეა ატროფირებული ნერვი. სტიმულატორით მკურნალობისას ხდება დარჩენილი ჯანმრთელი ბოჭკოების გააქტიურება და, როგორც ყოველივე ამის შედეგი, სმენის გაუმჯობესება. მკურნალობას ექვემდებარება აგრეთვე, ქვედა სასუნთქი გზების დაავადებები, ქრონიკული ხასიათის ტკივილი, კოსმეტოლოგიური პრობლემები, მცირდება ოპერაციისშემდგომი აღდგენითი პერიოდი.

– მაშასადამე, შეიძლება თქვენი მეთოდი შევუხამოთ ტრადიციულს, მედიკამენტოზურს?

– დიახ, რა თქმა უნდა. მაგრამ ეს ყოველთვის როდი არის საჭირო. ზოგჯერ სტიმულატორი საკ-

სებით საკმარისია ხოლმე. ნებისმიერ შემთხვევაში უპირატესობას ვანიჭებ ბუნებრივი წარმოშობის პრეპარატებს. მსურს აგრეთვე აღნიშნა, რომ ჩვეულებრივი სამკურნალწამლო საშუალებებისგან განსხვავებით, სტიმულატორს კიდევ ერთი დადებითი მხარე აქვს – სრულიად გამორიცხულია, რომ ორგანიზმი მას შეეჩვიოს. ამიტომ, ყველა როზები, როგორც პირველადი, ისე მეორადი წარმოშობის, აგრეთვე, ისინი, რომლებსაც ქრონიკული ხასიათი აქვს. ადამიანები აბსოლუტურად უმტკივნეულოდ განიკურ- საჭირო კურსი ერთნაირად ეფექტიანია ხოლმე.

ელენე კოვშოვა,
„არგუმენტი ი ფაქტი“.

ართრიტი?.. – ართრონი დაგვეხმარება

ახალი, მთლიანად ნატურალური პრეპარატი ართრონი არის ისრაელის მეცნიერთა მრავალწლიანი შრომის ნაყოფი. ამ პრეპარატის შემადგენლობაში შემავალი გულმოდგინედ შერჩეული ბიოაქტიური ნივთიერებები აღადგენენ ფოსფორ-კალციუმის ცვლას, სახსრების სტრუქტურას, თრგუნავენ თავისუფალი რადიკალების ტოქსიკურ აქტიურობას და ნორმალურს ხდიან სისხლის მიმოქცევას დაზიანებულ უბნებში. ამინომჟავათა კომპლექსს გამოაქვს სხეულიდან მძიმე ლითონები.

ართრონი არის ახალი პრეპარატი, რომელშიც გაერთიანებულია ბუნების ძალა და ადამიანის მეცნიერული აზროვნება.

წმინდა ფრანცისკი იატაკქვეშეთიდან გამოვიდა

პოლონეთში 40 წლის მანძილზე გამოკეტილი ელ გრეკოს ტილო, როგორც იქნა, ნახა ხალხმა. რამდენიმე ათწლეული პოლონელი კათოლიკე მღვდლები სურათს კომუნისტ ხელისუფალთ უმალავდნენ. სედლცის პატარა საწყმსოში „წმინდა ფრანცისკის შთაგონებამ“ ხელოვნების დამფასებელნი მთელი პოლონეთიდან და სხვა ქვეყნებიდანაც მოიზიდა. წმინდანი ყავისფერ უბრალო ქლამინდაშია გამოხატული. ხელისგულებზე მკაფიოდ ეტყობა სტიგმატები.

წმინდა ფრანცისკი ელ გრეკოს ერთ-ერთი საყვარელი პერსონაჟი გახლდათ. ტოლედოში მდებარე ფერმწერის სახელოსნოდან ასამდე მისი გამოსახულება გამოვიდა. იმაზე, თუ როგორ აღმოჩნდა ოსტატის სწორედ ეს ნამუშევარი პოლონეთში, ლეგენდებია შეთხზული. ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი ასეთია: ნაპოლეონის არმიის ჯარისკაცმა ტილო ეკლესიაში დატოვა რუსეთში ლაშქრობის წინ. ჭუჭყით დაფარულ და ოდნავ დაზიანებულ სურათს 1964 წელს მიაგნეს, სიძველეების საგნების აღწერას როცა ატარებდნენ. 10 წელი გავიდა, სანამ ელ გრეკოს ფუნჯი იდენტიფიცირებული იქნებოდა. კათოლიკური სამღვდელოება ტილოს მალავდა – ერთის მხრივ, არ უნდოდათ, რომ სურათი რომელიმე პარტიული ფუნქციონერის სასტუმრო ოთახში მომხვდარიყო, მეორეს მხრივ, შედევრის სათანადო ექსპონირებისთვის სახსრები არ გააჩნდათ. ახლა, ეროვნული ლატარეისგან მიღებული თანხისა და კერძო შემოწირულობათა წყალობით, გაჩნდა სურათის გამოფენის შესაძლებლობა, რასაკვირველია, უსაფრთხოების საიმედო ზომების დაცვით.

სიკვდილშემდგომი ფირფიტა

რეი ჩარლზის დუეტების ბოლო ალბომი პლატინისა გახდა – მილიონ ცალზე მეტი გაიყიდა, რასაც განსვენებულმა მუსიკოსმა მთელი 53-წლიანი კარიერის მანძილზე ვერ მიაღწია. სიკვდილშემდგომი კომპაქტ-დისკი Genius Lovei 31 აგვისტოს იყო გამოშვებული. 1964 წლიდან მოყოლებული, ის პირველი იყო ჩარლზის ალბომებიდან, რომელიც ამერიკაში პირველ ათეულში შევიდა.

სიცოცხლეში მუსიკოსმა ხუთი ოქროს ფირფიტა გამოუშვა, ყოველი მათგანი ნახევარ მილიონ ცალზე მეტი ტირაჟით გასაღდა. 73 წლის ჩარლზი ღვიძლის ძველი ავადმყოფობის გამწვავებისგან ივნისში გარდაიცვალა.



ერთ-ერთი დისკი, მას შემდეგ, რაც პირველ კვირაში მისი 202 ათას ცალი გაიყიდა, მეორე ადგილზე გავიდა ჟურნალ „ბილბორდის“ ჰიტ-აღლუმზე. რეი ჩარლზმა თავის კარიერაში 250 ჩანაწერი გააკეთა და 13-ჯერ მიიღო პრესტიჟული პრემია „გრემი“. მისმა შემოქმედებამ სრულიად გარდაქმნა სტილი „სოული“.

განცხადება

სააქციო საზოგადოება „მასპინძელის“ დირექტორატი საზოგადოების აქციონერებს იწვევს აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრებაზე.

კრება გაიმართება 2004 წლის 30 ნოემბერს, დღის 12 საათზე, საზოგადოების იურიდიულ მისამართზე – თბილისი, თარხნიშვილის ქ. 1.

დღის წესრიგი:

1. სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის შესახებ.

2. ცვლილებები სს „მასპინძელის“ სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში.

აქციონერთა სააღრიცხვო დღედ დადგენილია **2004 წლის 29 ოქტომბერი.** აქციონერებს შეუძლიათ შეამოწმონ კრებაში მონაწილეობის უფლება დამოუკიდებელ რეგისტრატორთან ICT დელამენში.

მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ. 153.

კვირა 7 ნოემბერი

08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.45 მოამბე**08.15** მხ. ფილმი **"ლოლიტა"** **10.00** იმღერე რამე**10.30** მოგზაურობა სასიტყვეთში**11.00** მრავალჟამიერ**11.30** სპა**12.15** მხ. ფილმი **"მოუსვენარი ზაფხული"14.00** სერიალი **"წვრილვარსკვლავთა ღამე"15.20** სპექტაკლი "ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი"**16.30** მსოფლიოს თასის გათამაშების ფინალური ეტაპი ბ.რ. ჭიდაობაში **19.30** "იმღერე რამე"**20.35** "ჩემი მშვენიერი ლედი"**20.55** სატ. კინოდარბაზი**22.00** ტვ-ლოტო**22.45** "ქრისტიანობის **20** საუკუნე საქართველოში"**00.55** მხ. ფილმი **"ძახილი"**

19.00 ამბები ჩვენზე**19.30** მოგზაურობა სასიტყვეთში**20.00** მუს. ოქტაგონი**21.00** სპა**21.25** "იმღერე რამე"**21.50** "აუდიტორია"**22.35** მხ. ფილმი **"ლოლიტა"**

08.00 კლასიკა**08.30** მულტსერიალი "დათვების ქალაქის ზღაპრები"**09.00, 12.00, 15.00, 00.10** კურიერი**09.20** "ჯეტექსი"**11.00** სერიალი "დაკარგული ქალაქის მაძიებლები"**12.20** დოკ. ფილმი (ბი-ბი-სი)**12.50** მხ. ფილმი **"აგონია" 15.20** მხ. ფილმი **"ვედრება"17.00** სერიალი **"მარკო პოლო"18.00, 21.00, 01.40** კურიერი**18.20** პატრული – დაიჯესტი**18.45** მხ. ფილმი **"ვიქტორი, ვიქტორია"**. მთ. რ-ში: ჯულიან ენდრიუსი (**18**)**22.00 60** წუთი**22.20** ჯეოსელის გათამაშება**23.00** "გაიღიმეთ ფარული კამერაა"**23.40** "ჯეოსელის კინოკლუბი" - **"ბუზი" 877 45-79-25** რომი შნაიდერი, ალენ დელონი (**18**), **"თეთრი ქვიშები" 877 45-79-26** უილიამ დეფო, მიკი რურკი (**18**) **"მახვილთა პრინცესა" 877 45-79-27** იუმიკო შაკი, ხიდეაკი იტო (**18**)ც**02.00** პატრული-დაიჯესტი**02.30** მხ. ფილმი **"ტურბულენტურობა-3: ჰევი მეტალი"** (**18**).

09.00 ანიმაციური ფილმი "იოსები და მოსასხამი" **1-2**ნ.**09.50** მხ. ფილმი **"ორმოები"** (ს. უიველნი)**12.30 12** პლუსი**11.45** "დილის ფოსტა"**12.40, 13.15, 03.35 ტვ**-მარკეტი**13.00, 15.00, 17.00, 19.00, 23.15** ქრონიკა**13.40** მხ. ფილმი **"ქალის გული"** (ე. ევსტიგნეევი)**16.15, 04.05** იმედის მელოდიები**16.30** სპ. პროგრამა "ასი"**17.10** დოკ. სერიალი "მშვიდობით მე-**20** საუკუნევ" **18.05** "ერთხელ ჰოლივუდში"**18.20** "არტ-ბულვარი"**19.45** ქართ. ფილმი **"დათა თუთაშხია"** მე-**5** ს.**21.00** "დროება"**22.30 ფეხბურთი**. იტალიის ჩემპიონატი. "მილანი"-"რომა"**00.20** ეროვნ. საკალათბ. ასოციაცია "ტორონტო"–"პორტლენდი"**02.40** სერიალი **"ნეშ ბრიჯესი"**

09.00 მუსიკა მზეზე**09.30** მულტსერიალი "სქელი ძაღლი მენდოზა"**10.00** საბ. სერიალი **"ჩემი მეგობარი უცხოპლანეტელია"10.30** სერიალი **"დაკარგული ქვეყანა"11.30** საბ. პროგრამა "ეტალონი"**12.30** შემეცნებითი-გასართობი პროგრამა "ფოკუსის ისტორია"**13.00** სერიალი **"კარაბინერები"14.00, 17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა"**14.15** მხ. ფილმი **"მილიონზე მონადირენი"** **16.15** მუსიკა მზეზე**16.30** "ფარული კამერა"**17.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი"**17.50** შემეცნებითი პროგრამა "ყველაზე, ყველაზე"**18.50** მუსიკა მზეზე**19.00** სერიალი **"დაკარგული ქვეყანა"20.30** სერიალი **"კარაბინერები"21.30** ფეხბურთი. პრიმერა დივიზიონი.**23.30** მხ. ფილმი **"ბედის საჩუქარი"** (**15**) (ოლივია უილიამსი).

18.00 მხ. ფილმი **"უდარდელი ცხოვრება"** **20.00** დოკ. ფილმი**21.00** კონცერტი**22.15** მხ. ფილმი **"ურიგა"**

14.00 მხ. ფილმი **"უცნობი ქალი"** **17.00** ვარსკვლავები გვამცნობენ **18.00** ქართული მუსიკა**19.00** საბ. გადაცემა "ინკოგნიტო"**20.00** ინდ. მხ. ფილმი **"ქვიშის რაჯა"23.00** "ჯაზ-პარნასი"**23.30** მუსიკა

09.00 საინფორმაციო დაიჯესტი**09.20** საბავშვო კომედია **"სტიუარტი ლიტლი" 2** ნ.**10.35** მხ. ფილმი **"გენიოსი" 13.05** დოკ. ფილმი**13.40** მელოდრამა **"მე იქ ვიქნები" 15.20** ბოევიკი **"შეშლილი ექვსეული" 16.55** "სამყარო მშვენიერია" ბავშვთა გალერეა**17.05** მულტფილმი**18.10** სათავგადასავლო ფილმი **"პლუტო ნეში"** **19.45** დოკუმენტური ფილმი**20.30** საინფორმაციო გამოშვება**21.00** მელოდრამა **"ყველა ნამდვილი გოგონა" 22.50** მუსიკა**00.00** მისტიკური თრილერი **"ან-აზაპტა"**

ადამიანურიც და სასეიროც

საქვეყნოდ ცნობილი „შნობელის პრემიის“ ლაურეატები მეთოთხმეტედ დაასახელეს

ჰარვარდის (აშშ) თეატრში „სანდერსი“, ამ დღეებში, უცნაური რამ ხდებოდა. მომხიარულე ხალხი უზარმაზარ დარბაზში ქაღალდის თვითმფრინავუკებს აფრენდა, სცენაზე კი წარმოსაჩენი, მიწებებულცხვირიანი და ბუტაფორულსათვალიანი ბატონები სწავლულ კაცებსა და მანდილოსნებს ფოლგისგან გაკეთებულ მედალიონებს გადასცემდნენ.

ეს გახლდათ ანტინობელის პრემიის (რუსეთში „შნობელის პრემიად“ ცნობილის) მინიჭების ცერემონია. ამერიკაში ერთ-ერთ ყველაზე მხიარულ და პოპულარულ ჯილდოს, დებულების მიხედვით, მიაკუთვნებენ „იმ მიღწევებისთვის, რომლებიც არ შეიძლება და არც უნდა გამეორდეს“.

„შნობელის პრემიას“, რომელიც „ჯერ გაგაცინებს, მერე დაგაფიქრებს“, ანიჭებს მეცნიერული ჟურნალი-პაროდია „დაუჯერებელი გამოკვლევების ანალები“.

ფსიქოლოგიაში ჯილდო ხვდათ დანიელ სიმონსსა და კრისტოფერ ჩაბრისს, რომლებმაც გამოარკვიეს, რომ ერთი რამით დაკავებულ ადამიანებს ხშირად გამორჩებათ ხოლმე რაღაც ექსტრაორდინარული. ასეთ დასკვნამდე ისინი მივიდნენ მას შემდეგ, რაც ფსიქოლოგთა საცდელი სუბიექტების მეტმა ნაწილმა, ბურთის მოთამაშეთა ცქერისა და ტყორცნების დათვლის დროს, ვერც შენიშნა, თუ როგორ შემოდიოდა ოთახში გორილას კოსტუმით შემოსილი ქალი...

პრემია საზოგადოების ჯანმრთელობაზე ზრუნვისთვის მიიღო ჯილიან კლარკმა, რომელმაც დაადგინა, რომ ზოგიერთი წარმოდგენა საჭმლის უსაფრთხოების თაობაზე მცდარია: მკვლევარმა ქალმა რამდენჯერმე გადააგდო ნამცხვარი კაფელის იატაკზე და არცთუ სანუგეშო რამ დაასკვნა – სასუსნავი, რომელიც იქ თუნდაც ხუთ წამზე ნაკლები დევს, ჩვენი ჯანმრთელობისთვის საშიში ხდება...

სტივენ სტაკი და ჯეიმს გუნდლახი მედიცინის დარგში გამოირჩეოდნენ – მათ გამოიკვლიეს კანტრის სტილში მუსიკის გავლენა თვითმკვლელობათა სიხშირეზე. ის ხელს უწყობს თვითმკვლელობათა რიცხვის ზრდასო, – გამოიტანეს „ვერდიქტი“. ოღონდღ, თუ აღნიშნული სტილის მუსიკას „უკუღმა“ მოუსმენთ, მაშინ „დაგიბრუნდებათ გაქცეული ძაღლი და წასული ცოლი და ახალ სამუშაო ადგილს იშოვით“...

ქიმიის დარგში ჯილდო მიაკუთვნეს არცთუ უცნობ კომპანიას „კოკა-კოლა“. არ იკითხავთ, რისთვის? „ონკანის წყლის გადაქცევისთვის ბოთლებით გასაყიდ ძვირ სასმელად“. ასეთია ამ უჩვეულო პრემიის ლაურეატთა არასრული სია.

ჯილდოს დამაარსებელ მარკ აბრაჰამსს ასეთი დევიზი ჰქონდა: „მეცნიერება ერთობ ადამიანურია, თავშესაქცევი და მნიშვნელოვანი იმისათვის, რომ არ ვიცინოთ მასზე“. თუმცა, „შნობელის პრემიის“ მთავარი მიზანია სიცილმა ინტერესი გააღვიძოს მეცნიერებისა და სხვადასხვა გამოკვლევებისადმი.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 259, კვირა, 7 ნოემბერი, 2004 წელი.

ალბომი

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი

ქ. თელავის ქალაქვაჭრობის მუშაკთა ერთი ჯგუფი 7 ნოემბრის დღესასწაულის შემდეგ ლენინის ძეგლთან. 1938 წელი.

მოგვაწოდა რომან დავითაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

ფოტოების მომწოდებელთ ვთხოვთ, რომ დაბეჭდვიდან ერთი კვირის ვადაში მოაკითხონ რედაქციას გამოქვეყნებული სურათების წასაღებად.

გამოფენა

ჯაფარიძეთა ნიჭის ბრწყინვალება

ეროვნულ გალერეაში გაიხსნა ცნობილი ქართული ოჯახის წევრების ნამუშევრების გამოფენა. ამ ოჯახის თავკაცის შემოქმედებამ საფუძველი დაუდო ახალი ხელოვნების — გობელენის წარმოჩენას საქართველოში 60-იანი წლების დასაწყისში. ეს გახლავთ მხატვარი თენგიზ ჯაფარიძე, რომლის შვილებმაც დავითმა და ეკამ გააგრძელეს მამის გზა. სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ გამოფენა დავით ჯაფარიძის ხსოვნას მიეძღვნა.

„ახალი სიტყვა მსოფლიო ხელოვნების ისტორიაში" (ქართული გობელენი, ფერწერა, ბატიკა) — ასე ჰქვია გამოფენას. ახალი სიტყვა იყო დათოს სადიპლომო თემაც, რომელიც 1997 წელს წარმატებით დაიცვა — „ქართული ფერწერული გობელენი მოთელვის ტექნიკით". დათო ჯაფარიძე მხატვართა კავშირის წევრი იყო, სისტემატურად მონაწილეობდა სხვადასხვა გამოფენებში. წლების მანძილზე იგი აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა საქართველოს რკინიგზელთა კულტურის ცენტრში, სადაც ჩამოაყალიბა სახვითი და დეკორატიული ხელოვნების სტუდია, რომელსაც ხელმძღვანელობდა გარდაცვალებამდე.

ეკა ჯაფარიძემ დაამთავრა ქსოვილების მხატვრული გაფორმების ფაკულტეტი და ამჟამად ბატიკის დარგში მუშაობს. მასალისა და ტექნიკის დაუფლებასთან ერთად ამ მეთოდიკის უმთავრეს მიზნად იქცა სვლა მარტივიდან რთულისაკენ. სახვითობის სპეციფიკის მიგნება და გამოსახვის ხერხებთან მისი შეთანხმება წარმოადგენს ეკა ჯაფარიძის ბატიკის ამოცანასაც, რომლის რეალიზება გვარწმუნებს, რომ სახვითი ბატიკა მხატვრული ნაწარმოებია.

პედაგოგიურ მოღვაწეობას თენგიზ ჯაფარიძე 1960 წლიდან იწყებს ხატვის კათედრაზე. მისი ფერწერული ტილოები დაცულია სხვადასხვა მუზეუმებში. მან 1965 წელს საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ბატიკის დამკვიდრებას და გაამდიდრა შემდეგ თავისი თვითმყოფადობით.

თემო გოცაძე: „ის, რაც აქ არის გამოფენილი, უაღრესად ნაციონალური ხელოვნებაა — დამყარებული ქართული ფარდაგის ბაზაზე, წმინდა ფერწერული ამოცანები ლამაზად და ინტენსიურად გადაწყდა ახალ მასალაში. მე წარმოვიდგენ ამას, როგორც მონუმენტურ შემოქმედებას, რომელსაც ყველანაირი ამოცანის გადაწყვეტა შეუძლია".

ზია ბუღაძე: „ბატონი თენგიზი მოვლენაა ქართულ სახვით ხელოვნებაში, მან მართლაც უნიკალური და ურთულესი გზა მოძებნა, ეს არის „შეუთავსებლის შეთავსება" და მე არ ვიცი ამას როგორ მიაღწია".

„აღფრთოვანებული ვარ თქვენი ნიჭით მადლცხებული ოჯახის ხელოვნებით. მე საქართველოს ვულოცავ იმ ბედნიერებას, რომ ასეთი ოჯახები კიდევ არსებობენ ჩვენს მიწა-წყალზე" — ეს სიტყვები ჩაწერა შთაბეჭდილებების წიგნში ვახუშტი კოტეტიშვილმა.

ფონდმა ღია საზოგადოება-საქართველომ, რომელმაც გამოფენა მოაწყო, კარგი საქმე გააკეთა იმითაც, რომ გამოსცა კატალოგი, სადაც დავით, ეკა და თენგიზ ჯაფარიძეების ნამუშევრებია წარმოდგენილი. დათოს ცხოვრების გზა სულ 30-მდე წელს ითვლის, მაგრამ მისი ხელოვნება ცოცხალია და ის, რაც თენგიზ ჯაფარიძემ და მისმა ოჯახმა შესძინა ქართულ კულტურას ისტორიაში დარჩება.

ნანული ზოტიკიშვილი.

ყველაფერი ჯანმრთელობაზე

წითურა მეტად საშიშია

თუ ბავშვობაში წითურა არ გადაგიტანიათ (ეს ეხება განსაკუთრებით მომავალ დედებს), მაშინ წითურაზე აცრა აუცილებელია, ამასთან არა

უგვიანეს სამი თვისა ორსულობის დაწყებამდე, ჩვეულებრივ, გინეკოლოგი პირველ გასინჯვაზე აკეთებს ტესტს წითურაზე, რომელიც მეტად საშიშია ჩვილისათვის — შესაძლოა გამოიწვიოს გულის მანკის პროვოცირება, სიბრმავე, სიყრუე, ფსიქიკური აშლილობა და სიკვდილიც კი.

ანტისხეულები, რომლებიც მომავალი დედის სისხლში აცრის შემდეგ წარმოიქმნებიან, საიმედოდ დაიცავენ დედასაც და შვილსაც ამ მეტად საშიში შედეგებისაგან.

ცისტიტი არ გამოგეპაროთ

ცისტიტი უთუოდ მოითხოვს მკურნალობას. ეს ხომ საშარდე ბუშტის ლორწოვანი გარსის ანთებაა. დაავადების ძირითადი სიმპტომებია ტკივილი, სიმძიმის შეგრძნება მუცლის ქვეშ, ხშირი შარდვა. ცოტა ოდენობით გამოყოფა შარდისა, რომელიც გარეგნულად ამღვრეულია, ზოგჯერ შეიცავს ჩირქოვან ძაფებსა და ფარტენებს: შესაძლოა შარდში სისხლიც გამოჩნდეს. ყოველივე ამასთან უარესდება საერთო გუნება-განწყობილება.

ინფექციის ამგზნებები შარდის ბუშტში სხვადასხვა გზით აღწევენ: სასქესო ორგანოებიდან და საშარდე არხიდან, სისხლიდან და ლიმფიდან, ინფექციის ქრონიკული კერებიდან (კარიოზული კბილები, ტონზილიტები, ოტიტები, ჰაიმორიტი, ბრონქიტი). დაავადების მიზეზი შესაძლებელია პირადი ჰიგიენის დარღვევებიც გახდეს.

დაავადების ფორმისა და სიმძიმის შესაბამისად საჭირო იქნება აგრეთვე სხვადასხვა დრო განსაკურნებლად, ამიტომ უთუოდ უნდა ეჩვენოთ გინეკოლოგ ექიმს, რომელიც მკურნალობას დაგინიშნავთ.

ზურგი გტკივათ? მიაკითხეთ ექიმს

ზურგში ტკივილს ხშირად უკავშირებენ ოსტეოქონდროზს ან რადიკულიტს, რომლებიც მსგავსი სიმპტომების ხშირი მიზეზია. მაგრამ ტკივილი შესაძლოა გამოიწვიოს სხვა, უფრო სერიოზულმა დაავადებებმა, რომლებიც ექიმმა უნდა გაარკვიოს. ამიტომ მასთან მისვლას ნუ გადადებთ.

წელში ტკივილი თირკმელების, აგრეთვე სასქესო ორგანოების ანთებითი დაავადების შედეგად ჩნდება. ამიტომ, თუ ტრავმატოლოგი ან ნეფროლოგი თქვენში ვერ იპოვიან „თავიანთ" პათოლოგიებს, მაშინ შემდეგი გამოკვლევისათვის გინეკოლოგს მიმართეთ. ძალზე ხშირად საშვილოსნოს დანამატებისა და ლულას ანთება ერთიან პროცესად მიმდინარეობს მცირე მენჯში, კვერცხების ცისტებთან, ენდომეტრიოზულ და მცირე მენჯში ვენების ვარიკოზულ გაგანიერებასთან ერთად. თუ ამ დაავადებებს თავიანთ ნებაზე მიუშვებთ, მათ შეუძლიათ გამოიწვიონ გართულებანი, რომლებიც უნაყოფობას (უშვილობას) უწყობენ ხელს.

მიკროელემენტები უნაყოფობას მკურნალობენ

ინფექციის მიზეზად ითვლება მიკრობი, მაგრამ სინამდვილეში მხოლოდ ნაწილობრივ. ინფექცია — ეს მხოლოდ აისბერგის მწვერვალია და მას საფუძვლად უდევს ორგანიზმის თანდათანობით გამოფიტვა და მისი იმ უნარის შესუსტება, რომ წინააღმდეგობა გასწიოს, კერძოდ, აღმოიფხვრას მიკროელემენტების დეფიციტი, რომელთა როლი ყველა ორგანოსა და სისტემის მუშაობაში უზარმაზარია.

როდესაც ამა თუ იმ მიკროელემენტების უკმარობაა, ორგანიზმში იწყება სხვადასხვანაირი მიკროტეხა, რომელსაც იგი ეწინააღმდეგება შუალედურ ნივთიერებათა სინთეზის მეშვეობით, ე.ი. გაცილებით უფრო გრძელი ენერგეტიკული გზით, რის გამო ორგანიზმი გაცილებით მეტ ენერგიას ხმარობს და უფრო სწრაფად ხარჯავს თავის რეზერვებს. მისი ადაპტაციური შესაძლებლობანი მცირდება. რამდენადაც ადამიანი მუდმივად სხვადასხვაგვარი სტრესის მდგომარეობაში იმყოფება, სწორად არ იკვებება, არახელსაყრელი ეკოლოგიური გარემოს ზეგავლენას განიცდის, ყველაფერი ეს მის ცხოველუნარიანობას აზიანებს. საბოლოოდ იგი ავადდება.

ისეთ ინფექციურ დაავადებებს, როგორიც არის ქალებში დანამატი, ხოლო მამაკაცებში — წინამდებარე ჯირკვალი, ჩვეულებრივ ანტიბიოტიკებით მკურნალობენ.

მოდა

თათანაკას ქართული სული ასაზრდოებს

მოსკოვის მხატვრის სახლში გამართული მოდის საერთაშორისო კვირეული მხოლოდ ავთანდილ ცქვიტინიძემ როდი დაიპყრო. ამ დეფილეზე კიდევ ორი ქართველის — დები თამარ და ნატა სურგულაძეების სახელიც გამობრწყინდა, რომლებიც რამდენიმე წელიწადია ინგლისში მოღვაწეობენ და ევროპაში ყველასთვის სასურველ, საუკეთესო დიზაინერებადაც ითვლებიან.

რუსული მოდის კვირეულის მე-5 — ბრიტანული დღე სწორედ ქართველი დების, **თათანაკას** საფირმო ნიშნით ცნობილმა, გაზაფხული-ზაფხულის კოლექციამ გახსნა. ეს საფირმო ნიშანი ევროპაში მაღალ მოდას გულისხმობს, მაგრამ ბევრმა, ალბათ, არც იცის, რომ მისი მწარმოებლები ქართველი გოგონები არიან. აღსანიშნავია, რომ რუსეთელებისთვის **თათანაკას** შემოქმედება არახალია. საქართველოში კი, სამწუხაროდ, მათი დებიუტი არ შემდგარა.

თათანაკას გამორჩეულ კოლექციას ქართული, ეროვნული სული ასაზრდოებს, ასე შეაფასეს მოდის კრიტიკოსებმა თამარ და ნატა სურგულაძეების ნამუშევრები. ქართულ, ეროვნულ სულს კი მათ მიერვე შექმნილი ქსოვილებიც განსაზღვრავენ, რაზეც, ძირითადად, ზღვა, მცენარეები, ეკლესია და ვაზია გამოხატული.

ქართველი დების შემოქმედება ზედმიწევნით თვითმყოფადია და ამდენად, განსაკუთრებული ორიგინალობით გამოირჩევა. ისინი, სხვა დიზაინერების მსგავსად, არ იზიარებენ მოდის კანონმდებელთა მიერ დამკვიდრებულ ამა თუ იმ მიმართულებას და ესკიზების შექმნისას, ძირითადად, საკუთარ ფანტაზიას ეყრდნობიან. ამიტომაც ითვლებიან მათი კოსტიუმების მუდმივ მომხმარებლებად ოზი ოზბორნი, ნატალი იმბურგლია, სარა-ჯესიკა პარკერი და სხვა.

თათანაკას მიერ წარმოდგენილი მოდელები ფერადოვნებით, სხვადასხვა ქსოვილის ფაქიზი შეხამებით, ჰაეროვნებით და ქალურობით გამოირჩევა. თითოეული კოსტიუმი საზეიმო და მხიარულ განწყობილებას უქმნის მნახველს და ბუნებრივია, მომხმარებელსაც. აქ თითქმის არ არის გამოყენებული მუქი, სევდიანი ფერები — შავი, ნაცრისფერი ან ყავისფერი. რუსეთის პოდიუმის შემფასებლები, სწორედ, მკვეთრი, გამომწვევი ფერების და ქართული, ეროვნული ელემენტების დახვეწილი სინთეზით მოიხიბლნენ.

— ჩვენს ქვეყანაში ჩვეულებრივ ფეშენ-შოუს გამართვას არ ვაპირებთ, თბილისში გრანდიოზულ ჩვენებას ვგეგმავთ, რისთვისაც კიდევ უფრო დიდი პასუხისმგებლობა და მომზადება გვმართებსო, ამბობენ მოდელიერი გოგონები.

გასულ კვირას რუსული პრესის ერთ-ერთი მთავარი თემა ქართველი დიზაინერების წარმატება გახლდათ. წამყვანი რუსეთული ჟურნალ-გაზეთების გარეკანს ავთანდილ ცქვიტინიძის, თამარ და ნატა სურგულაძეების მოდელები ამშვენებდნენ.

ლელა დონაძე.

სურათებზე: თამარ და ნატა სურგულაძეები და მათი მოდელები.

გიხაროდეთ!

ოჯახში რვა შვილიშვილი იზრდება



მაღონა ცოგოშვილს საქართველოს საპატრიარქოს თბილისის წმინდა იოაკიმესა და ანას სახელობის სამშობიარო სახლში ბიჭი შეეძინა, — ნიკოლოზ თავაძე. იგი მასწავლებელ ნათელა ნანობაშვილის მერვე შვილიშვილია. თავად ქვრივმა პედაგოგმა ქალმა 4 შვილი აღზარდა: ნანა, თემური, პავლე და დუგლასი. ნიკოლოზი სწორედ დუგლასის შვილია. ნიკოლოზს შინ უფროსი ძმა ლაშა დახვდება.

ნათელა მასწავლებელს ახლა 8 შვილიშვილი ეზრდება. თავად მასწავლებლის რთული პროფესიის მქონე ქალი შვილიშვილებს ყურადღებას არ აკლებს, ქვეყნის მომავალს შეჰხარის, როგორც ზემოთ დასახელებულ სამშობიარო სახლიდან, ისე დედოფლისწყაროდან, გვაცნობა ჩვენი გაზეთის საკუთარმა კორესპონდენტმა ნანა ჭიჭინაძემ.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

ცოტაც გავიღიმოთ...

თუკი შენ გადაწყვეტილების ნაწილი არა ხარ, მაშინ პრობლემის ნაწილი ხარ.

* * *

სიზარმაცე ყველა უკეთურების დედაა, მშობელ დედას კი პატივისცემა უნდა.

* * *

მთავარი ფულია, თორემ ჯანის სიმრთელე ხან ასეა, ხან ისეა.

* * *

მთავარია ადამიანობა, თუ ფული გაქვს, სიმართლე არ დაგეკარგება.

* * *

დარდი გეძალება, როცა სასაფლაოზე მიდიხარ. თუ იქ რჩები, ხომ ნუღა იტყვი.

* * *

— გესმის, რა სუნი აქვს რეჰანს?
— მესმის, მესმის, ყრუ კი არა ვარ.

* * *

— რატომ აქვს სპილოს წითელი თვალები?
— რატომ და, პამიდვრებში რომ კარგად დაიმალოს.
— მერედა გინახავს ოდესმე სპილო პამიდვრებში?
— მართლა კარგად იმალება, არა?

* * *

მტრის დამარცხება თუ გინდა, უნდა დაუმეგობრდე.

* * *

მმართველის ბიუროში:
— სიძე, თანახმა ხართ ცოლად შეირთოთ მარინე ძვლივიძე?
— დიახ,
— პატარძალო, თანახმა ხართ ცოლად გაჰყვეთ გივი ბადრიძეს?
— აბა, არა? მეშვიდე თვეში ვარ!

* * *

— ბედნიერი ხარ?
— შენ რა, შეხვედრიხარ ოდესმე უზედურ იდიოტს?!

* * *

— რაშია ცხოვრების აზრი?
— ამ წუთს ვერ გეტყვი. ინტერნეტი გამორთულია.

* * *

კაცი-გინეკოლოგი იმ ავტომექანიკოსსა ჰგავს, რომელსაც თავისი მანქანა არა აქვს.

* * *

ამერიკის შეერთებულ შტატებში არჩევნების ღამე. იტალიის პრემიერი სილვიო ბერლუსკონი და რუსი პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი თვალყურს ადევნებენ არჩევნებს. ბერლუსკონი ზის და ღვინოსა წრუპავს, პუტინი კი კაბინეტში ბოლთასა სცემს და, როცა ეკრანზე ბუშსა ხედავს, ნერვიულობს და უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავს:
— სულელი კოვბოი, ვირიშვილი იანკი, ტეხასური ნეხვი. ო, როგორ ვერ ვიტან!
ხოლო როცა ბუში ერთ-ერთ შტატში იმარჯვებს, პუტინი გავშვივით გახარებულია:
— ვაშა! ვიმარჯვებთ! ეგრე, ჩემო ჯორჯ! მიდი, მიდი!
დილით ბერლუსკონიმ ველარ მოითმინა:
— ვალოდია, ვერ გამიგია, რა ხართ ეს რუსები, თქვენი სულის გამოცნობა ძნელი საქმეა. თან ეგრე გეჯავრება ბუში და თანაც მაგის გამარჯვება გინდა.
— იცი რა, სილვიო, სულ უბრალო ამბავია. აქ ჩვენი სულის გამოცნობა არაფერ შუაშია. მართალი ხარ, ჭირის დღესავით მეჯავრება ბუში. ეგ არც ჩემს მთავრობას უყვარს, არც ჩვენს პარლამენტს და ჩემს ხალხსაც გულში არ უზის, მაგრამ ნავთობზე მაგისი ფასი გვიყვარს!

ბარათი ჰოლანდიიდან

საბავშვო ანსამბლს მადლობას უხდიან

გასულ თვეში — თხუთმეტიდან ოცდახუთ ოქტომბრამდე — თბილისში ისტორიის მუზეუმში გახსნილი იყო ფოტოგამოფენა — **„რისკიანი მოგზაურობა".** იგი წარიმართა დევიზით **„ქართველი მიგრანტები ნიდერლანდებში".** მაშინ ამ გამოფენასა და სურათების ავტორებს მაღალი შეფასება მისცა პრესამ და სიტყვა თქვეს სპეციალისტებმაც. ნიშანდობლივი იყო, რომ გამოფენის დაფინანსება თავის თავზე აიღო ნიდერლანდების საელჩომ საქართველოში.

გალერეა „ქარვასლაში" მოწყობილ ამ ფოტოგამოფენაზე წარმოდგენილი ფოტოები ასახავდნენ ქართველების ცხოვრებას ჰოლანდიაში. მის ორგანიზებაში მონაწილეობდნენ აგრეთვე ჰოლანდიაში მცხოვრები ქართველები. კერძოდ, ჩემი ნაცნობები და მასპინძლები როტერდამში სტუმრობისას, ცოლ-ქმარი პაატა და მარინა ღვინიაშვილები.

პაატა წარმოშობით თბილისელია, მარინა კი ბათუმელი, მისი ქალიშვილობის გვარია მესხი. სწორედ მათი ინიციატივით გამოფენაზე ბათუმიდან მიიწვიეს ხალხური შემოქმედების ცენტრის ფოლკლორული, საბავშვო ანსამბლი „თოლია" (ხელმძღვანელები ეთერ და ბადრი დარჩიძეები). ჰოლანდიელი სტუმრები და ქართველი დამთვალიერებლები მოიხიბლნენ აჭარიდან წარგზავნილი მეჭიბონეების, სალამურზე დამკვრელების, მომღერლებისა და მოცეკვავეების მაღალი საშემსრულებლო ხელოვნებით. ნორჩებმა შეასრულეს ნაწარმოებები, როგორც კლასიკური ოპერებიდან, ასევე ხალხური „სალაღობო", „თუშური სატრფიალო", „განდაგანა", „ხორუმი" და სხვ. მოულოდნელი იყო ჰოლანდიური ხალხური სიმღერის „ჩემი ნიდერლანდების" ჰანგების გაგონება სტუმრებისათვის. განსაკუთრებით მოეწონათ ჰოლანდიელებს ამ ერთხმიანი სიმღერის სამ ხმაში შესრულება. ამის თაობაზე თავისი აზრი გამოთქვა და ბათუმელ ვირტუოზებს ჰოლანდიური სიმღერის საუკეთესო შესრულებისათვის მადლობა გადაუხადა ჰოლანდიის ელჩმა საქართველოში, ბატონმა ჰ არი მიულერმა.

და აი, გუშინ, როტერდამიდან, აჭარის ხალხური შემოქმედების ცენტრის დირექტორის ილია ესიტაშვილის სახელზე მოვიდა მადლობის ბარათი. თბილისში მოწყობილი გამოფენის — „რისკიანი მოგზაურობა" — ორგანიზატორები მადლობელი ვართ გამოფენის გახსნის დღეს თქვენი ანსამბლის მიერ გამართული კონცერტის გამო. თქვენმა ბავშვთა ანსამბლმა საოცარი ჰარმონიულობით შეავსო გამოფენის გახსნის ცერემონიალი. თქვენი ბავშვები საოცარი ხელოვანები არიან. მათი მონაწილეობა გამოფენის გახსნის ცერემონიალში დიდად მნიშვნელოვანი იყო. პატივისცემით **პანს ზისერი — საეკლესიო გაერთიანებული ცენტრის პასტორი".**

„თოლია" ახალ პროგრამაზე მუშაობს. ქართული ხალხური სიმღერებისა და ცეკვების გარდა ახალი რეპერტუარი ქართული საოპერო სპექტაკლებიდან საუკეთესო სოლო ნაწარმოებებისგანაც იქნება შედგენილი.

ამირან კილურაძე, „სრ" საკ. კორ.

მეუღლე გუგული ქილიფთარი, შვილები ნათია, ნატო, სიძე ვახტანგ მეგრელაძე, შვილიშვილები დავით, გიორგი მეგრელაძეები, და ლამარა, სიძე იური, ცოლისძმა ზაურ ქილიფთარი, მძახალი სოსო მეგრელაძე ოჯახებით, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დიმიტრი მიხეილის ძე დარჩია

პანაშვიდი 7, 8 XI 16 სთ-ზე, დაკრძალვა 9 XI 14 სთ-ზე.

მისამართი: ვაჟა-ფშაველას 95.

ლია გრიგოლია და ზაურ ქილიფთარი უდიდეს მწუხარებას გამოხატავენ სიძის

დიმიტრი დარჩიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

შოთა დავითაშვილი ოჯახით მწუხარებით იუწყება ღვაწლმოსილი მეცნიერის, ეკონომიკის მრავალი თაობის აღმზრდელის, პროფესორ

ოთარ სალარეიშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!

საქართველოს რესპუბლიკა
Sakartvelos Respublika
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები
გამომცემელი – შპს „ახალი საუკუნე"
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი
რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი
რუსუდან ლორთქიფანიძე.

ინდექსი 66434, მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge
ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika